მაქს ვებერი

*

პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა

*

გერმანულიდან თარგმნა
გიორგი ბარამიძემ

რედაქტორი
თემურ ფიფია

*

თბილისი
გონი
1994

მაქს ვებერის თხზულება „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა“ მოგვითხრობს პოლიტიკის რაობისა და პოლიტიკოსის დანიშნულებაზე. იგი განკუთვნილია პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების და საერთოდ, პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანთა ფართო წრისათვის.

M a x W e b e r

*

P o l i t i k
a l s
B e r u f

*

Aus dem deutschen ubersetzt von
Giorgi Baramidse

Hera .sgegeben
Temur Pipia

*

T b i l i s s i
G o n i
1 9 9 4

მაქს ვებერი

მაქს ვებერი დაიბადა 1864 წელს შეძლებული გერმანელი ბიურგერის ოჯახში. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, სადაც საფუძვლიანად დაეუფლა იურისპრუდენციას, ფილოსოფიას, პოლიტეკონომიასა და ეკონომიკის ისტორიას. 1894 წლიდან იგი ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო 1896 წლიდან ჰაიდელბერგისა. ორი წლის შემდეგ მძიმე სულიერი აშლილობის გამო თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და მას მხოლოდ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე უბრუნდება. ამჯერად უკვე მიუნხენის უნივერსიტეტში. მაქს ვებერი გარდაიცვალა 1920 წელს.

„ფორმალური რაციონალობა"

მაქს ვებერი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც უნივერსალურად განსწავლული საზოგადოებათმცოდნე; უწინარეს ყოვლისა, ის არის ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების ანდა, როგორც თვითონ უწოდებს, კაპიტალიზმის თეორეტიკოსი, და ამავე დროს, მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსი.

რა არის კაპიტალიზმი? ანუ, როგორც ვებერი ამბობს, რაშია მისი გონი? კაპიტალიზმის, ანდა სამოქალაქო საზოგადოების გონი არის „რაციო", გონება. მაგრამ რა არის თავად ამ გონების არსი? საზოგადოდ, გონების არსება არის წესრიგი; ამ კერძო შემთხვევაში კი ე.ი. სამოქალაქო საზოგადოებასთან არსობრივ მიმართებაში, გონება სხვა არაფერია, თუ არა კალკულაცია ე.ი. ზუსტი გამოთვლა და ანგარიში.

სამოქალაქო საზოგადოება განიმარტება, როგორც აღებ-მიცემობაზე დამყარებული სოციუმი. მაგრამ რაღაცნაირი აღებ-მიცემობა საზოგადოებრივი განვითარების ყოველი ეტაპისთვის იყო დამახასიათებელი. რა განასხვავებს აღებ-მიცემობის, ანდა გაცვლის „სამოქალაქო ტიპს" მისი სხვა ფორმებისაგან? ის, რომ სამოქალაქო აღებ-მიცემობა ემყარება „აბსოლუტური კალკულაციის", ანდა „უკიდურესობამდე მიყვანილი" ანგარიშის პრინციპს. კაპიტალიზმი არის რაციონალური ანუ ანგარიშიანი მისწრაფება კაპიტალის ანდა სარგებლის მოხვეჭისაკენ.

თავისთავად აღებული, „სარგებლისადმი მისწრაფება" არ არის სამოქალაქო საზოგადოების სპეციფიკური ნიშანი, რაკი ასეთი მისწრაფება ყველა გარდასულ ეპოქაშიც არსებობდა და ახლაც არსებობს. მაქს ვებერი მას უწოდებს „ირაციონალურ სწრაფვას"; ხოლო კაპიტალიზმის გონს შეადგენს სწორედ

ამგვარი „ირაციონალური სწრაფვის“ მოთოკვა, მისი „რაციონალური რეგლამენტირება“.

ამრიგად, „სამოქალაქო სოციუმის“ სპეციფიკა არის „ფორმალური რაციონალობა“. რაში მდგომარეობს იგი? რაციონალობაზე უკვე ითქვა, რომ იგი ნიშნავს გასაგალ-შემოსავლის ზუსტ კალკულაციას, ე.ი. მის ამომწურავ რაოდენობრივ გაანგარიშებასა და აღრიცხვას. ხოლო რაც შეეხება „ფორმალურს“, ვებერის მიერ იგი გააზრებულია იმგვარი „მატერიალურისადმი“ დაპირისპირებაში, რაგვარადაც იგი ფენომენოლოგიას ესმის. ამ აზრით „მატერიალური“ იგივეა, რაც შინაარსი, მიზანი, რომელიც რაიმე ქმედების მიღმა ძევს და ამ ქმედებას საზრისით აღავსებს. ამრიგად „არამატერიალური“, ანდა „ფორმალური“ ქმედება ეს ისეთი რამაა, რასაც თავისი თავის მიღმა არა აქვს არავითარი შინაარსი თუ მიზანი; ისაა შინაარსისგან და მიზნისგან დაცლილი მოქმედება. ე.ი. „ფორმალური რაციონალობა“ არის თვითკმარი, თვითშინაარსისა და თვითმიზნის მქონე რაციონალობა, ანდა მოკლედ — თვითმიზნური რაციონალობა; რაციო ანდა ზუსტი კალკულაცია თვით არის თავისი თავის ფორმაცა და შინაარსიც.

ამ ძირითადი ნიშნის ე.ი. „ფორმალური რაციონალობის“ მიხედვით მაქს ვებერი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი ტიპის საზოგადოებას: ტრადიციულს და ინდუსტრიულს. ტრადიციულ საზოგადოებათა თუ მეურნეობის ტრადიციულ ფორმათა ძირითადი ნიშანი ისაა, რომ ისინი მატერიალურად არიან ორიენტირებულნი, მატერიალურის ზემოთ დახასიათებული მნიშვნელობით; ე.წ. „ფორმალური რაციონალობა“ კი „ინდუსტრიული სოციუმის“ სპეციფიკაა.

რაღაც ფორმით და დოზით „რაციონალობა“ ადამიანთა თანაცხოვრების ყოველ ეტაპისა და დონისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ თანაცხოვრების ევროპული წესისათვის მის თანამედროვე მდგომარეობაში ნიშანდობლივია ის, რომ ამგვარი თანაცხოვრება თავად არის მოწყობილი და ორგანიზებული, როგორც უზენესი კაპიტალისტური საწარმო; ცხოვრება წარმოებაა, რომლის ყველა შრე, დაწყებული ეკონომიკურიდან დამთავრებული რელიგიურით გამსჭვალულია სრული და უპირობო რაციონალიზმით. რამ გამოიწვია „რაციონალიზმის“ ამგვარი უკიდურესი ფორმის ნამოყალიბება? სწორედ ამ პუნქტში მაქს ვებერის გონითს თვალსაწიერში შემოდის ისეთი მომენტი, რომელიც მას „სამოქალაქო საზოგადოების“ თეორეტიკოსიდან მის ყველაზე მწვავე კრიტიკოსად აქცევს; ეს არის ადამიანური ყოფიერების რელიგიური ასპექტი.

„რაციონალური რელიგიურობა“

მაქს ვებერი თვლის, რომ ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ემყარება აზროვნების განსაკუთრებულ ტიპს ე.წ. „სამეურნეო აზროვნებ“ს“, რასაც

იგი „მეურნეობის ეთოსს“ უწოდებს; იგი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა თანაცხოვრების ამა თუ იმ წესის „მეურნეობრივი ზნეობა“. „სამეურნეო ეთოსისა“ თუ „მეურნეობრივი ზნეობის“ ბირთვს ქმნის „რელიგიური ორიენტირი“. ამრიგად, ყოველი საზოგადოების სამეურნეო წყობას აფუძნებს „რელიგიური ეთოსი“. მაქს ვებერის მთავარი ნაშრომის: „მსოფლიო რელიგიათა სამეურნეო ეთიკა“ დედა-აზრი სწორედ ესაა. მსოფლიო რელიგიები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ რომელი საწყისი სჭარბობს ამა თუ იმ მათგანში. ვებერი ოთხი სახის საწყისს განასხვავებს; ესენია: 1—რიტუალურ-საკულტო; 2—ასკეტური; 3—მისტიკურ-ჰვრეტითი; და 4—ინტელექტუალურ-დოგმატური. მსოფლიო რელიგიათა სტრუქტურაში მან აღმოაჩინა ე.წ. „რაციონალიზაციის ტენდენცია“. ამგვარი ტენდენცია ჩანასახის ფორმით თითქმის ყველა რელიგიაშია, მაგრამ სისტემური პრინციპის სახე მან მხოლოდ ქრისტიანობის ერთ-ერთ აღმსარებლობაში, კერძოდ კი პროტესტანტიზმში მიიღო. სწორედ პროტესტანტობისთვის დამახასიათებელმა „აღმსარებლობის რაციონალიზაციამ“ განაპირობა „ფორმალური რაციონალობის“ დაფუძნება, რაც თავის მხრივ წარმოადგენს „სამოქალაქო სოციუმის“, ანდა კაპიტალიზმის გონს. თანამედროვე დასავლეთისთვის დამახასიათებელია რელიგიურობის განსაკუთრებული ტიპი ე.წ. „რაციონალური რელიგიურობა“. რაში მდგომარეობს იგი? ვებერი მიიჩნევს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, გაიხსნას რელიგიური „ხსნის მექანიზმი“. ხსნა ანდა ცხონება ორნაირად შეიძლება მიიღო: პიროვნული ძალისხმევით, ისე, როგორც ესაა ბუდიზმში; ანდა შუამავალის ე.ი. ეკლესიის გზით, როგორც ეს ქრისტიანობაშია. ხსნის ორივე ამ თეორიის არსობრივი შერწყმის შედეგად, ვებერის თანახმად, დასავლეთში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული რელიგიურ-ეთიკური პოზიცია პროტესტანტიზმის სახით, რომელმაც ადამიანური თანაცხოვრების მთელი სამეურნეო-ეკონომიკური სისტემა არათუ მარტო ჩართო „სულის ცხონების“ თეორიაში, არამედ ამ თეორიის ბირთვადაც აქცია. ეკონომიკური სარგებლის მოპოვება პროტესტანტიზმის მიერ განიხილება, როგორც ღვთაებრივი მოწოდება ყოველი ინდივიდუალურ-პიროვნულად მეურნე ადამიანისათვის. პროტესტანტიზმში თავი მოიყარა და ერთადერთი მაფუძნებელი პრინციპის სახე მიიღო რაციონალობის ყველა ტრადიციულმა ნაირსახეობამ; მასში ერთმანეთს შეერწყა ანტიკური ფილოსოფია, რომელიც იმთავითვე ორგანულ კავშირშია მათემატიკასა და ტექნიკასთან; რომაული რაციონალური სამართალი და მეურნეობის წარმართვის რაციონალური ბერძნული, რომელიც წარმოიშვა სამუშაო ძალის წარმოების საშუალებისაგან მოწყვეტის შედეგად. რაციონალობის სამივე ამ ელემენტის საფუძველია ე.წ. „რაციონალური რელიგიურობა“ ანდა რელიგიური ხსნის მაკალკულირებელ-საგამომთვლელო თეორია. „ფორმალური რაციონალობა“ და „რაციონალური რელიგიურობა“ განაპირობებს ადამიანის ადამიანზე ბატონობისა და ამ

ბატონობის ლეგიტიმაციის განსაკუთრებულ ტიპს ე.წ. „რაციონალურ ლეგიტიმურობას".

„რაციონალური ლეგიტიმურობა"

აუცილებელია მივუთითოთ იმ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს ერთი მხრივ რაციოს, გონებასა და მეორე მხრივ, რელიგიურ, თეოლოგიურ საწყისს შორის. ამ წინააღმდეგობის გაცნობიერებამ, როგორც მკვლევარები შეუთითებენ, განაპირობა თავად ჰაჯს ვებერის, ~~როგორც აქტიური სოციალ-~~ ტიკოსის (იგი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო) მძაფრი შინაგანი ტრაგიზმი. რაშია ამ წინააღმდეგობის არსი? იმაში რომ სახელმწიფოებრივი, იურიდიული თუ სამეურნეო გონება არ არის თვითკმარი საფუძველის მქონე; როგორც ასეთი, იგი შინაგანად ყოველთვის ესწრაფვის „რელიგიური ეთოსის" მხრივ თეოლოგიურ დაფუძნებას, ე.ი. მთავარი საკითხი არის არა რაციოს, გონების მხრივ სოციუმის დაფუძნება, არამედ ის, თუ რა ტიპის „რელიგიური ეთოსის" მიერაა დაფუძნებული თავად ეს გონება. ზუსტად ასევეა ბატონობის ლეგიტიმაციის შემთხვევაშიც.

საზოგადოდ, ლეგიტიმური ბატონობა, ეს არის ძალაუფლების ისეთი ტიპი, რომლის კანონიერება მომდინარეობს იმ პირთა თავისუფალი ნებიდან, რომელთა მიმართაც ეს ბატონობა ხორციელდება; მასში მთავარია ე.წ. „მოლოდინის ეფექტი" ე.ი. „ბატონობის სუბიექტი" თავის ქმედებაში ელის იმას, რომ ბატონობის მისეული უფლება აღიარებული და გაზიარებული იქნება. მაგრამ საიდან მომდინარეობს ბატონობის ამგვარი უფლება?

მისი წყარო შეიძლება იყოს ტრადიცია, რომელიც ოდითგანვე არსებობს რელიგიურად ხელდასხმული წესრიგისა და სახელისუფლო წეს-ჩვეულებათა სახით. ტრადიციული ბატონობის ყველაზე გავრცელებულ სახეობად ვებერი მიიჩნევს ე.წ. „პატრიარქალურ ბატონობას". მისი სტრუქტურა ასეთია: რელიგიურად ხელდასხმული ხელისუფალი — მსახურები და ქვეშევრდომები. ლეგიტიმურობის ეს ტიპი განსაკუთრებული სიმტკიცითა და მდგრადობით გამოირჩევა.

შეიძლება ბატონობის წყაროდ გვეელინებოდეს „ხარიზმა", ანდა „ღვთაებრივი ნიჭი", ეს იქნება ე.წ. „ხარიზმატული ბატონობა". იგი ემყარება ადამიანის ექსტრაორდინალურ პიროვნულ უნარს, ბატონობის ამ ტიპისთვის ნიშანდობლივია წინასწარმეტყველური ფორმა: „გესმათ რამეთუ თქმულ არს... ხოლო მე გეტყვით თქვენ..."; „მე გეტყვით..." გულისხმობს რელიგიურად ხელდასხმული თუ კანონით გარანტირებული წესრიგის წინააღმდეგ გამოსვლას. ამიტომ ვებერის მიერ „ხარიზმა" განიხილება როგორც „რევოლუციური ელემენტი".

ბატონობის ორივე ეს ტიპი, ტრადიციული და ხარიზმატული, ხასიათ-

დება ერთი საერთო ნიშნით; იგი ემყარება მებატონისა და ბატონობაში მყოფის პიროვნულ მიმართებებს ე.ი. მათში მთავარია პიროვნული მომენტი.

ბატონობის მესამე ტიპია ე.წ. „ლეგალური ბატონობა", რომელშიც მთავარია არა პიროვნული, არამედ ფორმალურ-სამართლებლივი საწყისი. ე.ი. კანონი; იგი გულისხმობს ადამიანებს შორის ბატონობითი ურთიერთობის კალკულაციას, ე.ი. მის წარმართვას მეთოდურად, ზუსტი ანგარიშის პრინციპზე დამყარებით. კანონის საფუძვლად აღებულია „მაკალკულირებელი გონება" და არა „თეოლოგიური ელემენტი". ბატონობის ეს ფორმა დამახასიათებელია თანამედროვე ევროპული სახელმწიფოებისათვის. „ლეგალური ბატონობის" ყველაზე წმინდა ტიპია ე.წ. „ბიუროკრატიული აპარატი". მაგრამ ვებერი ყველგან ხასგასმით მიუთითებს, რომ ბატონობის ბიუროკრატული ტიპი მაინც არ არის თვით საფუძველის მქონე; ბიუროკრატიული აპარატის თავში დგას ან მემკვიდრეობითი მონარქი; ან საყოველთაო სახალხო არჩეულებით არჩეული პრეზიდენტი, ანდა პარლამენტი.

ვებერის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ ბატონობის ეს სამი ტიპი არსად გვხვდება. წმინდა სახით, სულაც არ არის უწყინარი მოვლენა; არამედ იგი შეიცავს მითითებებს არსობრივი ხიფათის თაობაზე: ბატონობის იდეალური ტიპის სრული ემპირიული ხორცშესხმისა და განხორციელებისაკენ მისწრაფება ყოველთვის მთავრდება აბსოლუტური პოლიტიკური კატასტროფით. ამიტომაც იყო, რომ ვებერი არაერთგზის დაეინებით მიუთითებდა თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოებში ლეგიტიმურობის უმყარსა და სუსტ ხასიათზე; მიუხედავად იმისა, რომ ლეგიტიმურობის ბიუროკრატიულ ფორმას იგი ყველაზე შესაფერისად მიიჩნევდა ინდუსტრიული საზოგადოებისათვის; მაინც აღიარებდა მისი „გამაგრების" საჭიროებას; ლეგიტიმურობის ამგვარი „გამმაგრებლის" როლში თავისი სამშობლოსათვის მას წარმოედგინა მონარქის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის შენარჩუნება. ეფიქრობთ, უპრიანი იქნებოდა ქართველი პოლიტიკოსები უფრო ჩაღრმავებოდნენ ბატონობის ლეგიტიმაციის არსსა და მის პერსპექტივებს ჩვენი ქვეყნისათვის. „ფორმალური რაციონალობა", „რაციონალური რელიგიურობა" და „რაციონალური ლეგიტიმურობა" თავს იყრის „სამოქალაქო რაციონალიზმში", რომელიც მაქს ვებერის მიერ განიხილება, როგორც „ევროპის ჩვედრი". ამიტომ, თუ საქართველო ნამდვილად მიისწრაფვის გახდეს ევროპული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, მაშინ აუცილებელია ჩაეუკვირდეთ ევროპის ხვედრს, რაციონალიზმს და მეორე მხრივ — ძირეულად გამოვიკვლიოთ ამჟამადაც და ისტორიულადაც რა გვხდომია წილად, რა არის ჩვენი ხვედრი. **ამგვარ დაფიქრებაში მაქს ვებერი ჩვენი თანამედროვეა.**

მისი თხზულება: „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა" სწორედ ერთ-ერთი ისეთი ნაწარმოებია, რომელიც დასახელებული მიმართულებით ბევრ

ანალოგიას ბადებს და სერიოზულ საფიქრალს აღძრავს. ეს თხზულება მაქს ვებერმა მოხსენების სახით წაიკითხა 1918 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში. მის უშუალო მიზანს წარმოადგენდა, ეჩვენებინა სტუდენტებისათვის, თუ რაში მდგომარეობს მათი, როგორც მომავალი მეცნიერებისა და პედაგოგების დანიშნულება.

თხზულების მთელი „გონითი ღერძი" აგებულია სიტყვა „Beruf"-ის ორმნიშვნელოვნებაზე; ვებერი მიიჩნევს, რომ ამგვარი ორმნიშვნელოვნება არ არის შემთხვევითი მოვლენა, იგი მომდინარეობს პროტესტანტობიდან; რომელშიც ყოველი ხელობა განიხილება, როგორც ღვთაებრივი მოწოდების, დანიშნულის აღსრულება ამ ქვეყნად. ქართულში სიტყვა „ხელობას", ბუნებრივია, არა აქვს ამგვარი დატვირთვა. ამიტომ მთარგმნელმა Beruf გადმოიტანა ორი სიტყვით: „მოწოდება და ხელობა".

პირველი რაც თვალში გვეცემა ვებერის ამ თხზულების წაკითხვის შემდეგ, ისაა, რომ სპეციფიკურმა ისტორიულმა პირობებმა და ჩვენმა ხასიათმაც შედეგად ის მოიტანა, რომ ჩვენში ყველა ან თითქმის ყველა თვლის თავს მოწოდებით პოლიტიკოსად; მაგრამ არავინ, ან თითქმის არავინ არის ხელობით პოლიტიკოსი ე.ი. „პროფესიონალი პოლიტიკოსი", ხოლო იმ ხალხის არ ყოფნა, რომელთათვისაც პოლიტიკა ერთდროულად მოწოდებაცაა და ხელობაც, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე არსებითი ნაკლი, გნებავთ მისი ტრაგიზმია.

ჩვენი პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრების ასევე არსობრივი წინააღმდეგობაა დაპირისპირება ე.წ. „დარგის" მნეებსა და პოლიტიკურ მოხელეებს შორის. ეს ის ვითარებაა, როცა ერთ დროს არალეგალური, ახლა კი პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსული პარტიის რომელიმე სტაჟიან მოხელეს პრეტენზია აქვს სახალხო მეურნეობის ესა თუ ის დარგი მართოს; ანდა პირიქით, როცა ძველი სისტემის სტაჟიან სამეურნეო მუშაკს, რაკი მისი მოდერნიზებული პარტია ხელისუფლების სათავეში მოსულა, ებადება ამბიცია იმისა, რომ წამყვანი ადგილი დაიჭიროს ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. ეს წინააღმდეგობანი ჩანასახში მყოფი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველ ძალას შეიცავენ და ამიტომ აუცილებელია მათი გაცნობიერება.

ამ და მსგავს წინააღმდეგობათა გაცნობიერებაში ქართველ მკითხველს დაეხმარება მაქს ვებერის თხზულება, რომლის ქართულ თარგმანსაც მას ვთავაზობთ.

თემურ ფიფია
გიორგი ბარამიძე

მოხსენება, რომელიც თქვენი სურვილით უნდა წავიკითხო, ბევრ რამეში უთუოდ იმედებს გაგიცრუებთ. რაკი პოლიტიკას, როგორც მოწოდებასა და ხელობას უნდა შევეხო, ალბათ, უნებლიეთ მოელით, რომ დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე ვილაპარაკებ. მაგრამ ასეთი რამ, და ისიც სრულიად ფორმალურად, მხოლოდ დასკვნით ნაწილში მოხდება; როცა ზოგიერთ ისეთ საკითხს გავარჩევ, ცხოვრების მდინარებაში პოლიტიკური საქმის მნიშვნელობას რომ ეხება. ხოლო დღევანდელი მოხსენებიდან საჭიროა, გამოირიცხოს ყველა ის თემა, რომელიც იმის გამორკვევას უკავშირდება, თუ როგორ პოლიტიკას ეწევიან და რა შინაარსებს ანიჭებენ ხოლმე თავიანთ პოლიტიკურ ქმედებას. ვინაიდან ყოველივე ამას არანაირი კავშირი არა აქვს ზოგად საკითხთან, თუ რა არის ან რას შეიძლება ნიშნავდეს პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა. შევუდგეთ საქმეს!

რა გვესმის პოლიტიკაში? ეს ცნება არაჩვეულებრივად ფართოა და თავისთავად მართული მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს. ლაპარაკობენ ბანკების სავალუტო პოლიტიკაზე, საიმპერიო ბანკის დისკონტურ პოლიტიკაზე, პროფკავშირის პოლიტიკაზე გაფიცვის დროს, საქალაქო თუ სასოფლო თემთა სასკოლო პოლიტიკაზე, გაერთიანების ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე ამ გაერთიანების მართვის საქმეში, და ბოლოს — ჭკვიანი ქალის პოლიტიკაზეც კი, რომელიც ცდილობს მართოს თავისი ქმარი. ბუნებრივია, დღევანდელ განაზრებებს საფუძვლად არ უდევს პოლიტიკის ასეთი ფართო გაგება. ამჯერად, პოლიტიკაში გვინდა, გვესმოდეს პოლიტიკური კავშირის, გინა სადღეისოდ, სახელმწიფოს მართვა ან ამ მართვაზე ზეგავლენა. მაგრამ რა არის „პოლიტიკური“ კავშირი, თუკი სოციოლოგიურად განვიხილავთ? რა არის „სახელმწიფო“? შეუძლებელია, სახელმწიფო სო-

ციოლოგიურად განისაზღვროს მისი საქმიანობის შინაარსთა საფუძველზე. რაკი თითქმის არ არსებობს ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც თავის თავზე არ აეღოს პოლიტიკურ კავშირს. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისეთი ამოცანა არსებობს, რომლის შესახებაც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ მისი გადაწყვეტა ყოველ დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიტიკური კავშირის უფლებაა, რომელსაც დღეს სახელმწიფოს უწოდებენ ან კიდევ იმ კავშირებისა, თანამედროვე სახელმწიფოს წინამორბედებად რომ ითვლებიან. უფრორე შესაძლებელია, რომ სახელმწიფო სოციოლოგიურად განისაზღვროს იმ სპეციფიკური ღონისძიების საფუძველზე, რომელიც ისევეა საკუთრად მისი თვისება, როგორც ყოველი სხვა პოლიტიკური კავშირისა; ეს ღონისძიება ფიზიკური ძალადობაა. „ყოველი სახელმწიფო ძალადობას ემყარება"-ო, თქვა თავის დროზე ტროცკიმ ბრესტ-ლიტოვსკში. და ეს მართლაც ასეა. მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სოციალური წარმონაქმნები რომ არსებულიყვნენ, რომელთათვისაც უცნობია ძალადობა, ვითარცა ღონისძიება, უკუგდებული იქნებოდა „სახელმწიფოს" ცნება და დაისადგურებდა ისეთი რამ, რასაც „ანარქიას" უწოდებენ ხოლმე ამ სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობით. ბუნებრივია, სულაც არ არის ისე, თითქოსდა ძალადობა სახელმწიფოს ნორმალური ან თუნდაც ერთადერთი ღონისძიება იყოს. ამაზე კი არარის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ ძალადობა მისი სპეციფიკური ღონისძიებაა. სახელმწიფოს მიერ ძალადობის შესაკუთრებამ განსაკუთრებული ინტიმურობა სწორედ სადღეისოდ შეიძინა. გვარიდან მოყოლებული წარსულის ყველა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გაერთიანებისათვის ფიზიკური ძალადობა სავსებით ნორმალურ ღონისძიებად ითვლებოდა. სადღეისოდ კი საჭიროა განვაცხადოთ, რომ სწორედ სახელმწიფოა ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც ერთი, მისთვის ნიშანდობლივი არეს შიგნით თავის ხელში იღებს (და წარმატებითაც) მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე. თანამედროვეობის სპეციფიკა სწორედ ისაა, რომ იგი ფიზიკურ ძალადობაზე უფლებას მხოლოდ იმ

ზომად მიაკუთვნებს. ხოლმე ყოველ კავშირსა თუ ცალკეულ პერსონას, რა ზომითაც ამას, თავის მხრივ, სახელმწიფო უშვებს. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ითვლება ძალადობაზე „უფლების“ ერთადერთ წყაროდ. ამიტომ ჩვენთვის „პოლიტიკა“ სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ; სულ ერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით — ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ყოველი ბატონობა, რომელიც წარმოებადაა ორგანიზებული და მუდმივ მმართველობას საჭიროებს, ერთი მხრივ მოითხოვს, რომ ადამიანებმა თავიანთი ქმედებები განაწყონ იმ მბრძანებელთადმი მორჩილებაზე, რომელთაც თავიანთი თავი ლეგიტიმური ძალაუფლების მატარებლად მიუჩნევიათ; ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია, ამ მორჩილების გზით თავიანთ განკარგულებაში იქონიონ ის ქონება, მოცემულ შემთხვევაში ფიზიკური ძალადობის განსახორციელებლად რომაა საჭირო: — მმართველობის პერსონული შტაბი და მისი ნაირგვარი ნივთიერი საშუალება. პოლიტიკის ასეთი გაგება არსობრივ შესატყვისობაშია ჩვეულებრივ სიტყვათხმარებასთან. როცა რომელიმე საკითხზე ამბობენ, „პოლიტიკური“ საკითხიაო, მინისტრსა თუ მოხელეზე — „პოლიტიკური“ მოხელეაო, გადაწყვეტილებაზე — „პოლიტიკურადაა“ განპირობებულიო, იგულისხმება, რომ „პოლიტიკური“ საკითხის გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღებას თუ დასახელებული მოხელის მოღვაწეობის სფეროს დადგენას იგივე ინტერესები განსაზღვრავს, რანიც ძალაუფლებაში მონაწილეობას, მის გადანაწილებასა თუ შენარჩუნებას წარმართავენ. ის, ვინც პოლიტიკაშია ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება — სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისთვის“, რათა დატკბეს პრესტიჟულობის იმ გრძნობით, რასაც ადამიანს იგი ანიჭებს.

სახელმწიფოც, ისევე როგორც მისი წინამორბედი პოლიტი-

კური კავშირები, ადამიანის ადამიანზე ბატონობის ისეთი ურთიერთობაა, რომელიც ლეგიტიმურ (გინდა ლეგიტიმურად მიჩნეულ) ძალადობას ემყარება. მისი არსებობისათვის აუცილებელია, რომ დამონებული ადამიანები გაბატონებულთა პრეტენზიულ ავტორიტეტს ემორჩილებოდნენ. როდის და რად სჩადიან ისინი ამას? რა და რა შინაგან მიზეზებსა და რომელ გარეგან საშუალებებს ემყარება ეს ბატონობა?

ბატონობას სამგვარი შინაგანი გამართლება აქვს, ანუ არსებობს მისი ლეგიტიმურობის სამგვარი საფუძველი. დავიწყოთ მათი გარჩევით. პირველი ესაა, „მარადიული ნამყოს", ე. წ. „ტრადიციული" ავტორიტეტი, რომელსაც პატრიარქი და პატრიმონალური თავადი ნერგავდა ჩვეულებებით ნაკურთხი ზნის შენარჩუნებასა და მის ძველთაუძველეს ღირებულებაზე ორიენტაციის გზით. შემდეგია, არაჩვეულებრივი პიროვნული მადლის (ხარიზმა), გინდა იმ პიროვნების ავტორიტეტი, ვისაც ბუნებამ პიროვნულად მიამადლა და უშუალოდ აზიარა უეცარ გასხივოსნებებს, გმირობასა და ბელადობის სხვა თვისებებს. ესაა „ხარიზმატული" ბატონობა, რომელსაც ახორციელებს წინასწარმეტყველი, ანდა პოლიტიკურ სარბიელზე — არჩეული მხედართმთავარი თუ პლებისციტური მბრძანებელი, დიდი დემაგოგი თუ პოლიტიკური პარტიის ბელადი. და ბოლოს — ბატონობა ლეგალობის საფუძველზე; იგი ემყარება ლეგალური წესდების ღირებულებისადმი რწმენას და იმ საქმიან „კომპეტენციას", რომელიც დაფუძნებულია გონებით შექმნილ წესებზე; ე.ი. განწყობილია ისეთ მორჩილებაზე, რომელსაც გვაკისრებს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებანი. ბატონობის ამ სახეობას იყენებს თანამედროვე „სახელმწიფო მოსამსახურე" და ძალაუფლების მატარებელი ყველა ის პირი, რომელიც ამ მხრივ მიხი მსგავსია. თავისთავად ცხადია, რომ რეალურ ცხოვრებაში მორჩილება განპირობებულია შიშისა და იმედის უაღრესად უხეში მოტივებითა და ნაირგვარი ინტერესებით; ყოვლის უწინარეს, ესაა შიში მაგიურ ძალთა თუ მბრძანებელთა მხრივ შურისგებისა და იმედი ამქვეყნიური თუ საიმ-

სოფლიო ჯილდოსი. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მაგრამ თუკი ვინმეს ამ მორჩილების ლეგიტიმურობის საფუძვლები აინტერესებს, მაშინ, რასაკვირველია, ყველგან ამ სამ „წმინდა“ ტიპს წააწყდება. ლეგიტიმურობის შესახებ წარმოდგენებსა და მის შინაგან დაფუძნებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბატონობის შინაგან სტრუქტურაში. რაღა თქმა უნდა, სინამდვილეში ვერსად შეეხვდებით ლეგიტიმურობის საფუძველთა ასეთ წმინდა ტიპებს. მაგრამ ამ მოხსენებაში შეუძლებელია გამოწვლილვით გაირჩეს ყველა ის უაღრესად რთული ნაირსახეობა, რომელიც წარმოიშობა ამ ტიპების კომბინაციებითა და მათი ურთიერთ გადასვლებით; ეს ზოგადი სახელმწიფოთ-ს-წავლების ამოცანაა. ახლა კი, უმთავრესად, გვაინტერესებს მეორე ტიპი: ბატონობა, როგორც მორჩილთა თავდადება „ბელადების“ წმინდა პიროვნული ხარიზმისათვის. ეგ იმიტომ, რომ სწორედ აქედან მომდინარეობს აზრი „მოწოდების“ შესახებ, ამ სიტყვის ყველაზე სრულყოფილი მნიშვნელობით. წინასწარმეტყველის, მხედართმთავრის, ეკლესიისა თუ პარლამენტური დემაგოგის ხარიზმისათვის თავდადება იმას ნიშნავს, რომ ამ ხარიზმის მატარებელი პიროვნულად ანდა შინაგანი „მოწოდებით“ ითვლება ადამიანთა ხელმძღვანელად, რომ ადამიანები მას მორჩილებენ არა ზნისა და წესდების გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ სწამთ ამ ხელმძღვანელისა. და თუ იგი უფრო მეტია, ვიდრე გარემოებათა წამიერი გადაჯაჭვის შედეგად დაწინაურებული, შეზღუდული და მედიდური მატრაკვეცა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ საქმით სულდგმულობს და „მთელი არსებით მას მისცემია“. მისი პერსონა და პიროვნული თვისებები მაშინ მართლაც ღირსია მიმდევართა თავდადებისა; ასეთი მიმდევრები კი შეიძლება იყვნენ მოწაფეები, თანამოაზრენი, თუ პირადად მისი ერთგული პარტიული დამქაშები. ბელადობა ისტორიის ყველა სფეროსა და ეპოქაშია ცნობილი წარსულის ორი პერსონაჟის სახით; ეს პერსონაჟებია: ერთი მხრივ გრძნეული და წინასწარმეტყველი, ხოლო მეორე მხრივ, არჩეული მხედართუფროსი, ბანდის მეთაუ-

რი და კონდოტიერი. ამ შმთხვევაში კი ჩვენ ყველაზე მეტად ის პერსონაჟი გვაინტერესებს, რომელიც დასავლეთისათვისაა დამახასიათებელი; ესაა პოლიტიკური ბელადი, ჯერ თავისუფალი „დემაგოგის" სახით, რომელიც საკუთრივ დასავლური, უწინარეს ყოვლისა კი ხმელთაშუაზღვის კულტურისათვის ნიშანდობლივ ქალაქ-სახელმწიფოს ნიადაგზე აღმოცენდა; ხოლო მეორე — პოლიტიკური ბელადობა პარლამენტური „პარტიის ბელადის" სახით, რომელიც ასევე დასავლეთში ფესვგადგმული კონსტიტუციური სახელმწიფოს საფუძველზე წარმოიშვა. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო „მოწოდებით" პოლიტიკოსები, ამ სიტყვის უსაკუთრივესი გაგებით, არსად წარმოადგენენ მთავარ პერსონაჟებს ძალაუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის გაწამაწიაში. უფრო მეტი, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რა და რა დახმარე საშუალებებია მათ გარკარგულებაში, რითი იწყებენ პოლიტიკურად გამბატონებული ხელისუფალნი თავიანთ ბატონობაში განმტკიცებას? ეს შეკითხვა ეხება ბატონობის ყველა ფორმასაც, ტრადიციული იქნება ის, ლეგალური თუ ხარიზმატული. მმართველობის შტაბი წარმოებად გამართული პოლიტიკური ბატონობის გარეგნული გამოვლინებაა, ზუსტად ისევე, როგორც ესაა ნებისმიერი სხვა წარმოების შემთხვევაში, მაგრამ ამ შტაბის მორჩილებას საკუთარი მბრძანებლებისადმი როდი განაპირობებს ლეგიტიმურობის შესახებ მარტოოდენ ის წარმოდგენები, რომლებზეც უკვე ვილაპარაკეთ; არამედ ორნაირი საშუალება არსებობს ასეთი განპირობებისა პირადი ინტერესებით რომ აპელირებენ; ესენია: მატერიალური საზღაური და სოციალური პატივი. ვასალთა ლენი, პატრიმონალურ მოხელეთა შემოსავლიანი თანამდებობები, სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირი, რაინდული დიდება, წოდებრივი პრივილეგიები, მოხელეთა ღირსება — ყველაფერი ეს გასამრჯელოს ნაირსახეობანია. ხოლო ბრძოლა იმის გამო, რომ იგი ხელიდან არ გამოეცალოთ ყარმოადგენს საბოლოოსა და უმთავრეს მიზეზს, რომელიც მბრძანებლებისადმი მმართველობის შტაბის სოლიდარობას აფუძნებს. და ეს ასეა ხარიზმატული ბელა-

დობის შემთხვევაშიც; მხედრული დიდება და ნადავლი მებრძოლებს, ხოლო „Spoils“, გინდა დამორჩილებულთა ძარცვა თანამდებობათა მონოპოლიზების გზით, პოლიტიკურად განპირობებული სარგებელი და წამახალისებელი პრემიები განკუთვნილია დემაგოგიური ამალისათვის.

ძალადობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად ზუსტად ისევეა საჭირო გარკვეული მატერიალური და გარეგნული ნივთიერი საუნჯეები, როგორც ყოველი სხვა სამეურნეო დაწესებულების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოებრივი მოწყობის ყოველი ფორმა ერთმანეთისაგან ერთი პრინციპის თანახმად განსხვავდება. ეს პრინციპი იმის დადგენას გულისხმობს, რომ ადამიანთა დასახელებული შტაბი, სულ ერთია, ვინ იქნებიან ისინი — მოხელეები თუ სხვა რამ ჯურის მსახურნი, რომლის მორჩილების იმედადაც არის მბრძანებნლი — საკუთრივ ფლობს თუ არა ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა ფული, შენობა-ნაგებობანი, საბრძოლო მასალა, მანქანების პარკი თუ სხვა რამ ამდაგვარი; თუ საქმე პირიქითაა, მართვის შტაბი „მოწყვეტილია“ მმართველობის საშუალებებს, მსგავსად იმისა, როგორც სადღეისოდ კაპიტალისტურ საწარმოში მოსამსახურე და პროლეტარი „მოწყვეტილია“ წარმოების ნივთიერ საშუალებებს. ისიც შეიძლება, რომ მბრძანებელი თავად ქმნის პირად გამგეობას ანუ მართავს პერსონალური მსახურების, დანიშნული მოხელეების და იმათი საშუალებით, ვინაც მისთვის პიროვნულად სასურველია და მისი ნდობითაა აღჭურვილი; ისინი არ არიან წარმოების ნივთიერ საშუალებათა მფლობელები, არა აქვთ მათზე კერძო მესაკუთრეობის უფლება, მათ მბრძანებელი ხელმძღვანელობს; ანდა ეს პრინციპი პირუკუ ურთიერთობასაც გულისხმობს. ასეთი განსხვავებები გამსჭვალავენ მმართველობის ორგანიზაციათა წარსულში არსებულ ყოველ ფორმას.

პოლიტიკური გაერთიანების იმ სახეობას, რომლის დროსაც მმართველობის ნივთიერი საშუალებები, მთლიანად ან ნაწილობრივ, მბრძანებელზე დამოკიდებული მმართველი შტაბის პირად

ძალაუფლებაში იმყოფება, ჩვენ „წოდებრივად“ დანაწევრებულ კავშირს ვუწოდებთ. ფეოდალურ კავშირში მაგ. ვასალი მისდამი რწმუნებულ ოლქში საკუთარი სახსრებით ფარავს მართვისა და მართლმსაჯულების ხარჯებს, თვითონ აიარაღებს და სურსათ-სანოვაგით ამარაგებს ჯარს ომის დროს. მისდამი დაქვემდებარებული ვასალებიც ამასვე სჩადიან. რა თქმა უნდა, ასეთი რამ გარკვეულ ზიანს აყენებდა ბატონის ძლევამოსილებას, რაკი იგი ადამიანებთან მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ემყარებოდა, თუმც კი ამ პირების მიერ ლენთა ფლობის „ლეგიტიმურობის“ წყარო ისევ და ისევ ბატონი იყო.

თვით უძველეს პოლიტიკურ წარმონაქმნებშიც კი ყველგან ბატონის პირადი მმართველობა გვხვდება, რომელიც პიროვნულად მასზე დამოკიდებულ ადამიანთა მეშვეობით ხორციელდება. ესენი არიან: მონები, სახლეულები, მოსამსახურეები და ის პირები, ბატონის კეთილგანწყობით რომ სარგებლობენ. იგი მათ პირადი საკუთნაოდან და მამულიდან მიღებული სახსრებით აძლევს ნატურალურსა თუ ფულად გასამრჯელოს, რათა თავის ხელში აიღოს მართვის სადავეები; ყოველგვარ ხარჯებს საკუთარი ჯიბიდან და მემკვიდრეობით მიღებული საგვარეულო შემოსავლიდან სწევს, რათა ისეთ ბატონად იქცეს, რომელსაც ლაშქარი პირად დაქვემდებარებაში ჰყავს, რაკი მას სურსათ-სანოვაგითა და იარაღით საკუთარი საწყობებიდან, სათავსოებიდან და თოფხანებიდან ამარაგებს. თუ „წოდებრივ“ კავშირში მბრძანებელი ბატონობას ანხორციელებს თვითმყოფადი „არისტოკრატიის“ დახმარებით, ვისაც უნაწილებს კიდეც ხელმწიფებას, მაშინ პირადი მმართველობის დროს იგი ან შინაყმებს ემყარება, ანდა პლებეებს; ესენი არასმქონე და პირად სოციალურ ღირსებას მოკლებული ფენებია, რომელნიც მატერიალურად მთლიანად ბატონზე არიან დამოკიდებულნი და გამოცლილი აქვთ საყრდენი საკუთარი კონკურენტუნარიანი ძალაუფლების სახით. ბატონობის ეს სახეობა მოიცავს მის პატრიარქალურ და პატრიმონალურ ფორმებს, სულ-

თანურ დესპოტიასა და სახელმწიფო-ბიუროკრატიულ წყობას; განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელს, გინა იმ წყობას, რომელიც მისი ყველაზე უფრო რაციონალური სახით თანამედროვე სახელმწიფოსათვის და სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი.

თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ყველა ქვეყანაში იმით დაიწყო, რომ მთავრებმა ექსპროპრიაცია მოუწყვეს სამმართველო ძალაუფლების ყველა დამოუკიდებელსა თუ „პრივატულ" მატარებელს; ჩამოართვეს კერძო მფლობელებს მართვის, ომის თუ ფინანსური საშუალებანი და ყველა ჯურის სხვა საუნჯე, რომლის პოლიტიკური გამოყენებაც იყო შესაძლო. ეს პროცესი მიმდინარეობს პარალელურად კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელ მეწარმეთათვის წარმოების საშუალებათა თანდათანობითი ჩამორთმევის გზით. საბოლოოდ ისა ჩანს, რომ თანამედროვე სახელმწიფოში პოლიტიკური წარმოების ყველა საშუალება თავმოყრილია ერთადერთი უფლის ხელში, არც ერთი მოხელე აღარ არის იმ ფულის კერძო მფლობელი, რომელსაც ხარჯავს, არც იმ შენობის, სათავსოების, ხელსაწყოების და საომარი მანქანებისა, რომელთაც იგი განაგებს. მაშასადამე, თანამედროვე „სახელმწიფოში" — და ეს არსებითია მისი ცნებისათვის — საბოლოოდ განხორციელდა მმართველი შტაბის, სამმართველოს მოხელეებისა და მუშაკების „მოწყვეტა" წარმოების ნივთიერ საშუალებათაგან; მაგრამ ამ მომენტიდანვე იწყება განვითარების ის ყველაზე უახლესი პროცესი, რომელიც აშკარად ცდილობს, თავად ამ ექსპროპრიატორებს მოუწყოს პოლიტიკური საშუალებებისა და თვით პოლიტიკური ძალაუფლების ექსპროპრიაციაც კი. ასეთი რამ რევოლუციამაც მოახდინა, სულ ცოტა იმდენად მაინც, რამდენადაც დანიშნული უფროსების ნაცვლად ხელისუფლებაში მოვიდნენ ბელადები, რომლებმაც ადამიანთა პოლიტიკურ შტაბსა და ნივთიერ საუნჯეთა აპარატზე გამგეობის უფლება უზურპაციისა თუ არჩევნების გზით მოიპოვეს; და რომელთა ლეგიტიმურობაც, მიუხედავად უფლებრივი სხვაობებისა, მაინც დამორჩილე-

ბულთა ნებიდან გამომდინარეობს. სხვა საკითხია, იმ წარმატების საფუძველზე, რომელიც სხვა თუ არაფერი, მოჩვენებითი მაინცაა, შეიძლება თუ არა მოველოდეთ იმას, რომ ექსპროპრიაცია კაპიტალისტური მეურნეობის საწარმოებშიც განხორციელდება, რომელთა მართვაც, მიუხედავად ღრმა ანალოგიისა, მაინც სრულიად სხვაგვარ შინაგან კანონებს მისდევს, ვიდრე პოლიტიკური მმართველობა. ამის შესახებ დღეს არას ვამბობთ. მინდა მხოლოდ, ამ საკითხის წმინდა კონცეპტუალურ მხარეზე ვილაპარაკო. თანამედროვე სახელმწიფო ადამიანებს შორის ბატონობითი ურთიერთობის ისეთი კავშირია, რომელიც წარმოებადაა გამართული და რომელმაც ერთ სფეროში წარმატებით განახორციელა ლეგიტიმური ფიზიკური ძალაუფლების, როგორც ბატონობის საშუალების მონოპოლიზება. ამ მიზნით მან თავისი საკუთარი წინამძღოლების ხელში გააერთიანა წარმოების ნივთიერი საშუალებანი; ხოლო ექსპროპრიაცია უყო ყველა წოდებრივ ფუნქციონერს, რომლებიც წარმოების ნივთიერ საშუალებებზე უფლებას იჩემებდნენ, ანდა მათ თვითნებურად განაგებდნენ; ამ ფუნქციონერთა ნაცვლად სახელმწიფომ უზენაეს მმართველად თავისი თავი დაადგინა.

პოლიტიკური საშუალებებით საკუთრების ჩამორთმევის პროცესში, რომელიც მთელი დედამიწის ზურგზე ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირი წარმატებით მიმდინარეობდა, თავდაპირველად სწორედ მთავრის კარზე გამოჩნდა იმ ყაიდის ხალხი, რომელთა ხელობაც პოლიტიკა იყო, „მოწოდებისა და ხელობის" (Beruf) მეორე მნიშვნელობით. ხარიზმატული ბელადებისაგან განსხვავებით მათ არ სურდათ თავად ყოფილიყვნენ ბატონები, არამედ უნდოდათ მხოლოდ, პოლიტიკურ ხელისუფალთა სამსახურში ჩამდგარიყვნენ და მხარი მიეცათ მათთვის პოლიტიკურ ბრძოლაში. პოლიტიკის წარმოება ამ ხელოსნებს ცხოვრების მატერიალურ სახსარსაც აძლევდა და იდეალური შინაარსითაც აღავსებდა. აღსანიშნავია, რომ ხელოსან პოლიტიკოსთა ამ ჯილაგს მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთში ვხვდებით, არა თუ

მარტო მთავართა, არამედ სხვა ხელისუფალთა სამსახურშიც. წარსულ დროებშიც ეს ხალხი იყო მათ ხელში უმთავრესი ხელსაწყო ძალაუფლების ჩამოსართმევად და პოლიტიკური ექსპროპრიაციის ჩასატარებლად.

სანამ მათ გამოწვლილვით გარჩევაზე გადავიდოდეთ, საჭიროა, ყოველ მხრივ თვალნათლივი გავხადოთ ის ვითარება, რაც „ხელობით პოლიტიკოსთა" არსებობას განაპირობებს. პოლიტიკას შეიძლება ეწეოდე ანუ ესწრაფვოდე პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის ან რომელიმე ერთი წარმონაქმნის შიგნით ძალაუფლების განაწილებაზე ზეგავლენას, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ხარ „გარემოებათა გამოისობით" პოლიტიკოსი, ასევე მაშინ, როცა იგი შენი არაძირითადი ანდა ძირითადი ხელობაა. მოკლედ, ზუსტად ისევეა, როგორც ეკონომიკურ ხელობათა სფეროში. „გარემოებათა გამოისობით" პოლიტიკოსი ყველა ჩვენგანია, როცა ურნაში საარჩევნო ბიულეტენს ვუშვებთ ან ნების სხვა ამდაგვარ გამოვლინებას ვახდენთ, როგორიცაა მაგ. „პოლიტიკური" სიტყვის წარმოთქმა, „პოლიტიკურ" შეკრებაზე მოწონებისა ან პროტესტის გამოხატვა და სხვა. ადამიანთა უმრავლესობისათვის პოლიტიკასთან დამოკიდებულება სწორედ ამგვარი რამეებით ამოიწურება. „შეთავსებით" პოლიტიკოსები არიან პარტიათა პოლიტიკური კავშირების რწმუნებულები და გამგეობის წევრები, რომლებიც პოლიტიკას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მისდევენ ხოლმე და რომელთათვისაც, არც მატერიალურ, არც იდეალურ პლანში პოლიტიკა არ არის ძირითადი „სასიცოცხლო მოთხოვნილება". ზუსტად ასევეა სახელმწიფო საბჭოსა და სხვა სათათბირო ორგანოთა წევრების მიმართაც, რომლებიც თავიანთს საქმიანობას მხოლოდ მოთხოვნით ასრულებენ. ეს კი არა და, ჩვენი პარლამენტარების საკმაოდ ფართო ფენებიც კი პოლიტიკას მხოლოდ პარლამენტის სესიებზე ეწევიან. წარსულში ასეთი ფენები უმთავრესად წოდებათა შორის არსებობდნენ. „წოდებებად" მოვიხსენიებთ მილიტარულ თუ მმართველობისათვის საჭირო სხვა ნიეთიერ საშუალებათა სრულუფლებიან მფლობელებს ან იმ პი-

რებს, რომელნიც მთავრისმიერი ხელისუფლებით არიან აღჭურვილნი. მათი უმრავლესობისათვის სრულიად უცხო იყო ის, რომ სიცოცხლე მთლიანად თუ არა, უპირატესად მაინც ან მეტადრე, ვინემ ამას გარემოებები მოითხოვენ, პოლიტიკისთვის შეეწირათ. თავიანთს ბატონკაცურ ძალაუფლებას ისინი იმისთვის იყენებენ, რენტა ან პირდაპირ რომ ვთქვათ, სარგებელი მიეღოთ; პოლიტიკური კავშირის სამსახურში პოლიტიკურ ძალისხმევას კი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენდნენ, როცა ამას მისგან მთავარი, ანდა მისი წოდებისმიერი ამხანაგები მოითხოვდნენ. ასევე იქცეოდა დამხმარე ძალთა ის ნაწილი, რომელსაც მთავარი ისეთი კერძო პოლიტიკური დაწესებულების შექმნისათვის ბრძოლაში აბამდა, პირადად მას რომ უნდა დამორჩილებოდა. ამავე ჯურისანი იყვნენ „სასახლის საბჭოები“ და ცოტათი უფრო ადრე ის მრჩევლები, რომლებიც „კურიაში“ და მთავრის სხვა სათათბირო ორგანოებში შედიოდნენ. მაგრამ რა თქმა უნდა, მთავარი ვერას გახდებოდა მარტო გარემოებებზე დამოკიდებული და შემთავსებელი პოლიტიკური ძალების ამარა. მას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა შეექმნა შტაბი იმ დამხმარე ძალებისაგან, რომელთაც ერთი ძირითადი ხელობა ექნებოდათ და მთელი არსებით მხოლოდ მთავრის სამსახურს მიეცემოდა. და არა მარტო ეს-ესაა აღმოცენებული დინასტიური პოლიტიკური წარმონაქმნის სტრუქტურას, არამედ შესაბამისი კულტურის იერსახესაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ის, თუ რა ძალებით აკომპლექტებდა მთავრი თავის შტაბს. იმავე აუცილებლობის წინაშე იდგნენ ის პოლიტიკური გაერთიანებებიც, რომლებიც მთავრის ძალაუფლების სრული გაუქმების ან მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის პირობებში პოლიტიკურად ჩამოყალიბდნენ, როგორც (ეგრეოწოდებული) „თავისუფალი“ ერთობები. მაგრამ ეს „თავისუფლება“ არ გულისხმობს ძალისმიერი ბატონობისაგან განთავისუფლებას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ადამიანთა ასეთს ერთობაში არ არსებობს ტრადიციის საფუძველზე ლეგიტიმური (უპირატესად რელიგიურად ხელდასხმული) მთავრის ძალაუფლება, ეი-

თარცა ყოველი ავტორიტეტის უმთავრესი წყარო. ამგვარ გაერთიანებათა სამშობლო მარტოოდენ დასავლეთია; ხოლო ჩანასახოვანი ფორმით იგი გვხვდება ქალაქში, ვითარცა იმნაირ პოლიტიკურ კავშირში, რანაირადაც იგი თავდაპირველად ხმელთაშუა ზღვის კულტურულ არეალში წარმოიშვა. რას წარმოადგენდა ადამიანთა ყველა ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში ის პირი, ვისთვისაც პოლიტიკა „ძირითადი ხელობა“ იყო?

ორნაირად შეიძლება კაცმა პოლიტიკა ხელობად გაიხადოს: ან ისე რომ იცოცხლო პოლიტიკის„თვის“ ან კიდევ ისე, რომ იცხოვრო პოლიტიკ„ით“. ამასთანავე, ამ ორ გვარეობას შორის განსხვავება არ არის აბსოლუტური ხასიათისა. იდეალურ პლანშიც, მაგრამ მეტადრე მატერიალურში, ორივე მათგანს მისდევენ ხოლმე. ის, ვინაც პოლიტიკის„თვის“ ცოცხლობს, ამით „ცხოვრებასაც იწყობს“ ხოლმე, ამ სიტყვის ერთობ ღრმა მნიშვნელობით. ასეთი პირი ან მის მიერ განხორციელებული ძალაუფლების სრული ფლობით მოგვრილ ტკბობას მისცემია, ან კიდევ მისი სულიერი წონასწორობისა და ღირსების გრძნობას იმის შეგნება ასაზრდოებს, რომ პოლიტიკური „საქმის“ სამსახური, ცხოვრებას მისას საზრისით აღავსებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველი დარბაისელი პიროვნებაც ასეა; ისიც იმ საქმით ცხოვრობს, რომელსაც ემსახურება. მაშასადამე, ზემოთ დასახელებულ ორ გვარეობას შორის სხვაობა უკავშირდება ბევრად უფრო მნიშვნელოვან, ეკონომიკურ სფეროს. პოლიტიკ„ით“, როგორც ხელობით, ისა ცხოვრობს, ვინაც ესწრაფვის იგი შემოსავლის მუდმივ წყაროდ გაიხადოს, ხოლო პოლიტიკის„თვის“ ის ცოცხლობს ვინაც ასეთს რასმე არ სჩადის. ისეთს საზოგადოებრივ წყობაში, რ ოცა კერძო საკუთრებაა გაბატონებული საიმისოდ, რათა ვინმემ პოლიტიკის„თვის“ სიცოცხლე შეიძლოს, აუცილებელია თუ გნებავთ, ძალზე ტრივიალური რამდენიმე წანაშძღვრის არსებობა. ნორმალურ პირობებში, ეს პირი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ შემოსავალზე, რომელიც შესაძლოა, მას პოლიტიკამ მოუტანოს. ამრიგად, საქმე ძალზე მარტივადაა. იგი ან

შეძლებული პიროვნება უნდა იყოს, ანდა ცხოვრებაში ისეთი კერძო მდგომარეობა უნდა ეჭიროს, რომელსაც მისთვის საკმარისად მყარი შემოსავალი მოაქვს. ასე ხდება ხოლმე ნორმალურ პირობებში. რა თქმა უნდა, ამალას იმ მთავრისას, რომელიც იმავე დროს მხედართუფროსიცაა, ისევე ჰკიდია ფეხებზე ნორმალური მეურნეობრიობის პირობები, როგორც — ქუჩის რევოლუციური გმირის რაზმს. ორივე მათგანი ცხოვრობს ნადავლით, ძარცვით, კონფისკაციებით, კონტრიბუციებით თუ თავს მოხვეული და იძულებითი გადახდის სხვა ისეთი ღონისძიებებით, რომელიც გატარებაც ამ რაზმებს არად ულირთ. მაგრამ ამ ღონისძიებებს განსაკუთრებულ პირობებში მიმართავენ ხოლმე; სადღეგრძელოდ მეურნეობრიობის პირობებში კი შემოსავლის წყარო ამა თუ იმ პიროვნების მხოლოდ და მხოლოდ პირადი შეძლებულობაა, ოღონდ ესეც როდია საკმარისი; შეძლებული პიროვნება, ამავე დროს მეურნეობრივად „მოცლილიც“ უნდა იყოს, ანუ მისი მუდმივი შემოსავალი არ უნდა იყოს იმაზე დამოკიდებული, რომ მან თავისი სამუშაო ძალა და აზროვნება გამუდმებით თუ არა, უპირატესად მაინც კერძო საწარმოს მოახმაროს. ამ აზრით, ყველაზე მოცლილია რანტიე, პირი, ვინაც სრულიად უშრომელ შემოსავალს იღებს; წარსულ ეპოქებში ასეთი პირები იყვნენ მემამულე და დიდი მიწათმფლობელი, ხოლო დღეს ესაა, დიდმესაკუთრე მთავარი; მათი შემოსავლის წყაროა მიწის რენტა; ანტიკურობასა და შუასაუკუნეებში აგრეთვე — მონებისა და ყმებისათვის შეწერილი ღალა; სადღეისოდ კი — ფასიანი ქაღალდები და რენტის სხვა ამდაგვარი საშუალებანი. ძალზე საყურადღებოა, რომ ასეთი გაგებით მოცლილი არც მუშაა, არც მეწარმე და მით უფრო, არც თანამედროვე დიდმეწარმე. სწორედ რომ იგია, ყოვლის უწინარეს, თავის საწარმოზე შიჯაჭვული და სრულიად მოუცლელი; და ეს მეტადრე ეხება სამრეწველო მეწარმეს, ვიდრე — სოფლის მეურნეობრივს, -რაკი ეს უკანასკნელი სეზონური ხასიათისაა. ბევრად უფრო ძნელია ის, რომ ვინმემ, თუნდაც დროებით, დაიჭიროს წარმოებაში სამრეწველო მეწარმის ადგილი. ასე-

ვე შეუცვლელია ეკონომიკა; და მით უფრო ძნელია მისი შეცვლა, რაც უფრო ნიჭიერი და დასაქმებულია იგი. წმინდა საწარმოო-ტექნიკური-მიზეზებით. ბევრად უფრო ადვილია ადვოკატის გამოთავისუფლება სამსახურიდან; ამიტომაც იყო, რომ იგი, ეითარცა პროფესიონალი პოლიტიკოსი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანსა და ხშირად მთავარ როლსაც კი თამაშობდა. ჩვენ აღარ გვინდა განვაგრძოთ ეს კაზუისტიკა, არამედ გვსურს, საჩინოვყოთ მისგან გამომდინარე რამდენიმე დასკვნა.

როცა სახელმწიფოს ან პარტიას ის ხალხი ხელმძღვანელობს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკის „თვის" ცოცხლობს (ამ სიტყვის ეკონომიკური მნიშვნელობით) და არ ცხოვრობს პოლიტიკ„ით", მაშინ ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ განხორციელებულა პოლიტიკურად მმართველ ფენებში „ბლუტოკრატიული" გაწვევა. მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, არაფერით იგულისხმება ნათქვამის საპირისპიროც, ოითქოსდა ასეთი ბლუტოკრატიული ხელმძღვანელობისას პოლიტიკურად გაბატონებული ფენები პოლიტიკ„ით" ცხოვრებასაც არ ესწრაფვოდეს; ოითქოსდა იგი კერძო ეკონომიკური ინტერესებისოვისაც არ იყენებდეს თავის პოლიტიკურ ბატონობას. ლაპარაკი ამაზე კი არ არის, არამედ იმაზე, რომ თითქმის არ არსებობს პოლიტიკური ფენა, რომელსაც ასეთი რამ არ ჩაედინოს. ზემოთთქმული მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პირი, ვისთვისაც პოლიტიკა მოწოდებაცაა და ხელობაც, არ არის უპირობოდ იძულებული, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გასამრჯელო ეძიოს, მაშინ როცა უქონელი პოლიტიკოსი სწორედაც იძულებულია ასე მიიქცეს. მაგრამ, მეორე მხრივ, საქმე სულაც არ არის ისე, თითქოსდა უქონელ პოლიტიკოსს მხოლოდ და მხოლოდ ან ოუნდაც უპირატესად მხედველობაში ჰქონდეს ის, რომ პოლიტიკის საშუალებით როგორმე თავის პირად ბეჟონეობას მიხედოს, თიოქოსდა იგი პოლიტიკურ „საქმეზე" სულაც არ ნაღელობდეს, ან უპირატესად მასზე არ ფიქრობდეს. ამის თქმა უდიდესი შეცდომა იქნებოდა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ „უშიშროებაზე"

ზრუნვა, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებულია თუ არა ეს, შეძლებული ადამიანის ცხოვრებისეული ორიენტაციის კარდინალური პუნქტია. ამასთანავე, არსებობენ ადამიანთა ისეთი ფენები, რომლებიც ეკონომიკურ შეძლებულობას მოკლებულნი არიან და ამის გამო არც ამოძრავებთ მოცემული საზოგადოების ეკონომიკური წესრიგის შენარჩუნების ინტერესები. სწორედ მათში, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, თავს იჩენს ხოლმე მოურიდებელი და სრულიად დაუსაბუთებელი პოლიტიკური იდეალიზმი; მეტადრე ეს ითქმის არაჩვეულებრივ, გინა რევოლუციურ ეპოქებზე. ამრიგად, თუკი არ არის განხორციელებული პლუტოკრატიული გაწვევა პოლიტიკური ძალაუფლების მაძიებელთა, ბელადებისა თუ მათი ამალის რიგებში, მაშინ თავისთავად იგულისხმება, რომ პოლიტიკურ თანამდებობათა მაძიებლებს წარმოებად გამართული პოლიტიკიდან რეგულარული და საიმედო შემოსავალი უნდა შემოსდიოდეთ. რამდენიმე ვარიანტი არსებობს; პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიძლება დაეკისროს ამა თუ იმ პირს, როგორც „საპატიო მოვალეობა", მაგრამ მაშინ აუცილებელია, რომ იგი იყოს ე.წ. „თავისუფალი" პერსონა ანდა რანტიე; პოლიტიკის გაძღოლა შეიძლება მინდობილი ჰქონდეს უქონელ ხალხს და მაშინ აუცილებელია ისიც, რომ მათ გასამრჯელო ეძლეოდეთ. ისე რომ, პროფესიონალი პოლიტიკოსი, გინდა ის, ვინაც პოლიტიკით ცხოვრობს, ან „შემოსავლიან ადგილზე" მოკალათებული პირი, ან ჯამაგირის მქონე მოხელეა. ამ შემთხვევაში მისი შემოსავლის წყაროა ან ის ბეგარა და გადასახადი, რასაც სავალდებელო სამსახურისთვის იღებს, ხოლო „ფეხის ქირა" „და საცოდავი ძღვენი" მხოლოდ და მხოლოდ არარეგულარული და ფორმალურად არალეგალური ნაირსახეობანია დასახელებული კატეგორიის შემოსავლებისა; ანდა იგი მტკიცე ნატურალური ანაზღაურებისა თუ ფულადი ჯამაგირის მქონე მოხელეა, ან არა და ისიც შეიძლება რომ ორივეს ერთად ღებულობდეს. ასეთი ყაიდის პოლიტიკოსი შეიძლება „მეწარმესაც" ჰგავდეს როგორც კონდოტიერი ან არენდატორი; იგი შეიძლება წააგავდეს წარსულ ეპოქებში

თანამდებობათა ფულზე მყიდველსაც და თანამედროვე ამერიკელ ბოსსაც, რომელსაც მიაჩნია, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალდაბანდება, რაც მას პირადი პოლიტიკური გავლენის მეშვეობით გარკვეულ სარგებელსაც მოუტანს; ანდა ისე უნდა იყოს, რომ ასეთი პოლიტიკოსი მტკიცე ხელფასს იღებდეს, როგორც პოლიტიკური გაზეთის რედაქტორი თუ პარტიის მდივანი ან როგორც თანამედროვე მინისტრი თუ პოლიტიკური მოხელე. წარსულში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა ხოლმე მთავართა, დამპყრობთა, თუ პარტიების იღბლიან წინამძღოლთა მიერ თავიანთი ამალისათვის ლენის მიცემა, მიწის ნაკვეთების ჩუქება თუ სხვადასხვა შემოსავლიანი ადგილების ბოძება. ფულადი მეურნეობის განვითარებასთან ერთად ტიპურ მოვლენად იქცა ისეთი თანამდებობებით დამწყალობება, რომელიც ფულადი გადასახადის აკრეფასთან იყო დაკავშირებული. დღეს კი, ერთგული სამსახურის სანაცვლოდ პარტიული ხელმძღვანელები თავიანთს დამქაშებს სხვადასხვა თანამდებობაზე ამწესებენ ხოლმე პარტიათა სამდივნოებში, ამა თუ იმ თემსა თუ შტატში. გამძვინვარებული ბრძოლა პარტიათა შორის როდი ჩაღდება ხოლმე მარტოოდენ საბოლოო მიზანთა გამო, არამედ, ყოვლის უწინ, ესაა ბრძოლა თანამდებობრივი პატრონაჟის მოსაპოვებლად. გერმანიაში პარტიკულარისტულ და ცენტრისტულ მიმდინარეობათა შორის ყოველი დავის მთავარი საგანი, ყოვლის უწინარეს ისიცაა, თუ ვის უპყრია ხელთ თანამდებობრივი პატრონაჟის სადავეები ბერლინის, მიუნხენის, კარლსრუისის თუ დრეზდენის პოლიტიკურ ძალებს. პარტიები ბევრად უფრო მტკივნეულად განიცდიან ხოლმე მათი თანამდებობრივი ინტერესების უგულებელყოფას, ვიდრე ხელის შეშლას მთავარი მიზნების აღსრულების საქმეში. საფრანგეთში პარტიულ — პოლიტიკური მიზეზით პრეფექტის შეცვლა ყოველთვის უდიდეს გადატრიალებად ითვლებოდა და ამის გამო მუდამ უფრო დიდი აურზაური ტყდებოდა ხოლმე, ვიდრე სამთავრობო პროგრამის მოდიფიკაციათა გამოისობით, რომელთაც ძალზე ხშირად მარტოოდენ ფრაზე-

ოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდათ. ამერიკაში, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც ჩაცხრა ძველებური შეხლა-შემოხლა კონსტიტუციის განმარტების თაობაზე, ზოგიერთი პარტია მხოლოდ თანამდებობებზე მონადირე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა. ისინი თავიანთს პროგრამებს წამდაუწუმ ცვლიან იმის მიხედვით, თუ საარჩევნო ხმათა მონადირების რა შანსებს ფლობენ. ესპანეთში უკანასკნელ დრომდე ისე ხდებოდა, რომ ორ უდიდეს პარტიას შორის შეთანხმების საფუძველზე ზემოდან ფაბრიცირებული „არჩევნების“ გზით ისინი რიგ-რიგობით მოდიოდნენ ხელისუფლების სათავეში, რათა თავიანთი მომხრეები თანამდებობებით უზრუნველეყოთ. ესპანეთის კოლონიურ ოლქებში, როგორც ე.წ. „არჩევნები“, ისე ე.წ. „რევოლუციები“ შემოსავლიან თანამდებობათა ყულაბად განიხილება, რომლიდანაც თავთავიანთ წილს იღებენ ხოლმე ძლევამოსილ პარტიათა მომხრეები. შვეიცარიაში, პროპორციული არჩევნების გზით პარტიები მშვიდობიანად ინაწილებენ ხოლმე თანამდებობებს. ჩვენშიც სცადეს ამ სისტემის გადმოღება და მისი გავრცელება აღმასრულებელი ხელისუფლების სამსახურზე; ეს კარგად ჩანს კონსტიტუციათა ზოგიერთი „რევოლუციური“ მონახაზიდან, რომელთაგანაც ერთ-ერთი პირველი მაგ. ბადენს შესთავაზეს; მაგრამ ასეთი პოზიცია იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და მისი სამსახურები განიხილება, როგორც დაწესებულება, რომელიც დაინტერესებული პირების შემოსავლიანი თანამდებობებით უზრუნველყოფას ემსახურება. ამ საქმეში განსაკუთრებულ თავგამოდებას იჩეხდა ცენტრისტული პარტია, რომელმაც თავის პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად შეიტანა კიდეც თანამდებობათა განაწილება პოლიტიკურ აღმსარებლობათა მიხედვით, მიუხედავად არჩევნებში წარმატებაწარუმატებლობისა. საყოველთაო ბიუროკრატიზაციის პირობებში, რაც უფრო მატულობს თანამდებობათა რიცხვი და რაც უფრო იზრდება მადა მათი, ვითარცა არსებობის განსაკუთრებით უზრუნველყოფილ ფორმათა დაუფლებისა, მით მეტად უმძაფრდებათ პარტიებს დასახელებული ტენდენცია, რის შედეგადაც თავად

ისინი მათი დამქაშებისათვის მხოლოდღა საშუალებად იქცევიან ხოლმე ასეთი უზრუნველყოფილი არსებობის მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

მაგრამ სადღეისოდ არსებობს მძლავრი საპირისპირო ტენდენცია თანამედროვე სახელმწიფო მოხელეობის სახით, რომელმაც ხანგრძლივი სასკოლო წრთობა გამოიარა და მაღალკვალიფიციურ გონითს მუშაკთა ერთობად ჩამოყალიბდა; მას ახასიათებს უაღრესად განვითარებული წოდებრივი ღირსების გრძნობა, მათივე ინტეგრაციის ინტერესებს რომ ემსახურება; უამისოდ თავს ბედისწერად დაგვატყდებოდა საზარელი კორუფცია და მდაბალი მეშჩანურობა; ამასთანავე, საფრთხეში აღმოჩნდებოდა სახელმწიფოებრივი აპარატის ქმედითუნარიანობა, რომლის მნიშვნელობაც მეურნეობის მართვის საქმეში განუხრელად იზრდება და კვლავაც მოიმატებს, მით უფრო დღევანდელი მზარდი სოციალიზაციის პირობებში. Sivil service reform — ამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო მოუღო დილეტანტურ მმართველობას, რომელსაც ნადავლზე დაგეშილი პოლიტიკოსები ანხორციელებდნენ და რომლის საფუძველზეც იმის მიხედვით, თუ რა შედეგით მთავრდებოდა საპრეზიდენტო არჩევნები, ათასობით მოხელე იცვლებოდა ხოლმე თვით ფოსტალიონების ჩათვლითაც კი. ასეთი განვითარება მმართველობის წმინდა ტექნიკურმა და აუცილებელმა საჭიროებებმა განაპირობეს. ევროპაში ხუთასწლიანი განვითარების შედეგად აღმოცენდა ისეთი პროფესიული მოხელეობა, რომელიც შრომის განაწილების პრინციპს ემყარებოდა. ამ მოვლენას დასაბამი მისცეს იტალიურმა ქალაქებმა და სენიორებმა; ხოლო მონარქიათაგან იგი პირველად გაჩნდა ნორმანთა დამპყრობლურ სახელმწიფოში. მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა მთავრის კარზე ფინანსთა მართვის საქმეში. გადავავლოთ თვალი კაიზერ მარკის მიერ გატარებულ მმართველობის რეფორმას და დავინახავთ, თუ რარიგ უძნელდებოდათ მოხელეებს უკიდურესი შეპირვებისა და თურქთა ბატონობის პირობებში მთავრისათვის უფლებამოსილებათა ჩამორთმე-

ვა. სწორედ რომ ფინანსთა სფეროში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთავარი ჯერ ისევ რაინდად ითვლებოდა. შემდგომში სამხედრო ტექნიკის განვითარებამ განაპირობა პროფესიონალი ოფიცრის წარმოშობა, ხოლო სამართალწარმოების დახვეწამ — სწავლული იურისტისა. საბოლოო გამარჯვება კი პროფესიულმა მოხელეობამ მე-16 საუკუნის განვითარებულ სახელმწიფოებში მოიპოვა. წოდებათა მიმართ მთავრის აბსოლუტური თვითმპყრობელობის გაძლიერებასთან ერთად დაიწყო პროფესიონალ მოხელეთათვის თვითმმართველობის თანდათანობითი გადაცემის პროცესი, რამაც საბოლოოდ შესაძლებელი გახადა კიდეც წოდებებზე გამარჯვება.

პროფესიული მოხელეობის გაფურჩქვნასთან ერთად დაიწყო „ხელმძღვანელ პოლიტიკოსთა“ ფენის ჩამოყალიბებაც; თუმც კი ეს პროცესი ბევრად უფრო შეუმჩნეველად მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, მთავრის კარზე ოდითგანვე ყველა ქვეყანაში არსებობდა მრჩეველი ე.ი. პირი, რომელიც ყოველგვარ საქმეში ზომისმდებელი იყო. აღმოსავლეთის ქვეყნებში იმის საჭიროებამ, რომ სულთანისათვის შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინათ მისი ხელმწიფების შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობა, „დიდვეზირის“ ტიპური ფიგურა წარმოშვა; დასავლეთში დიპლომატიას, როგორც ხელოვნებას ხელი მიჰყვეს მხოლოდ კარლოს V — ისა და მაკიაველის ხანაში; ეს მოხდა ყოვლის უწინარეს, ვენეციელ დესპანთა უწყებების ზეგავლენით, რომელთაც ხარბად ეწაფებოდნენ პროფესიულ დიპლომატიურ წრეებში; უპირატესად ჰუმანიტარულად განსწავლული ადეპტები დასავლური დიპლომატიისა თავიანთ თავს განდობილთა სწავლულ ფენად რაცხდა, იმგვარად როგორც ეს დამახასიათებელი იყო ჩინეთის ჰუმანიტარულად განათლებული სახელმწიფო კაცებისათვის იმ ეპოქაში, როცა იქ ის-ის იყო ბოლო ეღებოდა ცალკეულ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას. იმის აუცილებლობამ, რომ საშინაო პოლიტიკითურთ პოლიტიკის მთელი სფერო ფორმალურად მაინც ერთ სახელმწიფო მოხელეს ემართა, ერთხელ და სამუდამოდ თავი

იჩინა კონსტიტუციური განვითარების შედეგად მართალია, პოლიტიკურ სარბიელზე მანამდეც გამუდმებით გამოლიოდნენ ხოლმე ცალკეული პირები, როგორც მთავრის მრჩეველები ან უფრო მეტი, როგორც მათი ფაქტიური გამგებლები; მაგრამ ხელისუფლების ორგანიზაცია თვით უაღრესად განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი სრულიად სხვა გზით წარიმართა. ამ სახელმწიფოებში აღმოცენდა უზენაესი ხელისუფლების სათათბირო ორგანოები; მათ მუშაობას პირადად მთავარი წარმართავდა და საბოლოო გადაწყვეტილებაც მასვე გამოჰქონდა; ასე იყო მეტადრე თეორიულ პლანში, ვიდრე პრაქტიკულში, რაკი მთავრის ძალაუფლება სულ უფრო და უფრო იკვეცებოდა. თავის მხრივ მთავარი, რომელიც დილეტანტის საეალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა გამუდმებით ცდილობდა, როგორმე დასხლტომოდა მოხელეთა განუხრელად მზარდ პროფესიონალიზმს და თავის ხელში მოექცია უმაღლესი ხელმძღვანელობა. ორი საშუალება ჰქონდა მას საამისოდ; ჯერ ერთი ისა, რომ დამყარებოდა იმ კოლეგიალურ ორგანოთა სიტემას, რომელსაც გამოჰქონდა ხოლმე გადაწყვეტილება თუ კონტრგადაწყვეტილება, უმცირესობით თუ უმრავლესობით მოტივირებული დასკვნა; და მეორეც ისა, რომ თვინიერ ამ ოფიციალური უმაღლესი ორგანოსი მთავარი იკრებდა ხოლმე პირადად მის ერთგულ ხალხს ე.წ. „კაბინეტის“ სახით, რომლის საშუალებითაც მას განაჩენი გამოჰქონდა სახელმწიფო საბჭოსა, თუ სახელმწიფოს რომელიც გნებავთ სხვა უზენაესი ორგანოს გადაწყვეტილებაზე. ყველგან, მთელი პლანეტის მასშტაბით მიმდინარეობდა ეს იდუმალი ბრძოლა პროფესიულ მოხელეობასა და თვითმპყრობელობას შორის. საქმის არსი მხოლოდ პარლამენტებთან და ძალაუფლებაზე პრეტენზიების მქონე მათს პარტიებთან მიმართებაში იცვლებოდა. სხვადასხვა ქვეყანაში, მართალია, საამისო სხვადასხვანაირი პირობები არსებობდა, მაგრამ შედეგი, გარეგნულად მაინც, ყველგან ერთნაირი იყო. რასაკვირველია, სხვადასხვაობებს ეს შედეგიც გულისხმობდა. იქ სადაც (და განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანიაზე) დინასტიას ხელთ ეპყრა რე-

ალური ძალაუფლება, მთავრის ინტერესები სოლიდარულად იყო გადაჯდობილი მოხელეთა ინტერესებთან, პარლამენტისა და ძალაუფლებაზე მისი პრეტენზიების საპირისპიროდ. მოხელეები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ თავად ყოფილიყვნენ სამსახურებრივად დასაწინაურებელთა რიგებში და მინისტრთა პოსტები თუ სხვა ხელმძღვანელი თანამდებობები მათვე დაეკავებინათ. თავის მხრივ მთავარიც იმით იყო დაინტერესებული, რომ მისცემოდა შესაძლებლობა, რათა მინისტრები პირადი შეხედულებისამებრ დაენიშნა მოხელეთა იმ ფენებიდან, რომლებიც მისდამი ერთგულებით იყვნენ გამსჭვალულნი. ორივე მათგანის ინტერესის მთავარ საგანს კი ის შეადგენდა, რომ პარლამენტს საქმე ჰქონოდა ერთიან და შეკრულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და მმართველობის კოლეგიალური სისტემა ერთიანი კაბინეტის მეთაურით შეცვლილიყო. გარდა ამისა, რათა მონარქი ფორმალურად მაინც განრიდებული ყოფილიყო პარტიათა შორის ბრძოლიდან და მათი მხრივ თავდასხმებიდან, საჭირო იყო ისეთი საგანგებო პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი, რომელიც მას პარლამენტიდანაც დაიცავდა, პასუხსაც მიაგებდა ყველას, ვინც მონარქს უპირისპირდებოდა და პოლიტიკურ პარტიებთანაც მოლაპარაკების წარმოება შეეძლებოდა. ყველა ამ ინტერესმა თავი მოიყარა იმ მიმართულებით, რომელმაც განაპირობა კიდეც მოხელეთა ერთი მეთაური მინისტრის წარმოშობა. საპარლამენტო ძალაუფლება კიდევ მეტად იღწვოდა ამ მიმართულებით იქ, სადაც, ისე როგორც ინგლისში, მისი ძალაუფლება მონარქისას აჭარბებდა. ინგლისში ჩამოყალიბდა „კაბინეტი", რომელსაც ხელმძღვანელობდა პარლამენტის ერთიანი ბელადი ანუ „ლიდერი". ეს კაბინეტი სხვა არა იყო რა, თუ არა მუდმივი საპარლამენტო კომისია უმრავლესობაში მყოფი პარტიისა, რომელსაც მართალია, უარყოფდა ოფიციალური კანონმდებლობა, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ და მხოლოდ მას ეპყრა ხელთ მთავარი პოლიტიკური ძალაუფლება. ოფიციალური სათათბირო ორგანოები, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდნენ რეალურად გაბატონებული ძალის ანუ პარტიის

ორგანოებს და ამიტომაც არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ რეალური მმართველობითი ძალაუფლების მატარებელნი. პირიქით, გაბატონებულ პარტიას საიმისოდ, რათა ქვეყნის შიგნით თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა და მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკაც ეწარმოებინა ისეთი საიდუმლო სათათბირო ორგანო ესაჭიროებოდა, რომელიც სამდვილად ხელმძღვანელი თავკაცებისაგან იქნებოდა შედგენილი; ე.ი. ესაჭიროებოდა კაბინეტი, რომელსაც სათავეში ბელადი გინა, მინისტრთა კაბინეტის მეთაური ეყოლებოდა; სწორედ იგი იქნებოდა პასუხისმგებელი ყველა გადაწყვეტილებაზე საერთოდ საზოგადოებისა და ყოვლის უწინარეს- საპარლამენტო საზოგადოებრიობის წინაშე. შემდგომში ეს ინგლისური სისტემა საპარლამენტო სამინისტროთა სახით კონტინენტზეც გადმოიღეს. მას მხოლოდ ამერიკისა და მისი ზეგავლენით ჩამოყალიბებულ მმართველობებში დაუპირისპირდა სრულიად ჰეტეროგენული სისტემა, რომელიც პირდაპირ სახალხო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ბელადს ადგენდა მის მიერვე დანიშნული სამოხელეო აპარატის ხელმძღვანელად, რომელსაც პარლამენტის თანხმობა მხოლოდ და მხოლოდ ბიუჯეტისა და კანონმდებლობის საკითხებში ესაჭიროებოდა.

იმ ვითარებამ, რომ პოლიტიკა „წარმოებად“ გარდაიქმნა და რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლამ და მისი განხორციელების აუცილებლობამ იმ ხერხებში გაწაფვა მოითხოვა, რომელიც თანამედროვე პარტიულმა სისტემამ ჩამოაყალიბა, განაპირობა საზოგადოებრივ ფუნქციონერთა გამიჯვნა ორ, თუმც არამკვეთრად დაპირისპირებულ, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულ კატეგორიად; ერთი მხრივ — დარგის მნეებად, ხოლო მეორე მხრივ „პოლიტიკურ მოხელეებად“. „პოლიტიკური“ მოხელეები სიტყვა პოლიტიკის საკუთრივი მნიშვნელობით სხვა ჯურის მოხელეთაგან გარეგნულად მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ყოველთვის შეიძლება მათი სხვა სამუშაოზე თვითნებური გადაყვანა, სამსახურიდან დათხოვნა თუ „განკარგულებით გამწესება“ მსგავსად საფრანგეთის პრეფექტებისა და სხვა ამგვარი მოხელეე-

ბისა სხვა ქვეყნებში; ეს ვითარება მკვეთრად განასხვავებს მათ მოსამართლის ფუნქციებით აღჭურვილი ე.წ. „თავისუფალ“ მოხელეთაგან. ინგლისში ამ კატეგორიას ის მოხელეები განეკუთვნება, რომლებიც მყარი შეთანხმების საფუძველზე საპარლამენტო უმრავლესობისა და მაშასადამე კაბინეტის შეცვლისთანავე ტოვებენ თავიანთ თანამდებობებს. მათ ევალებათ ქვეყნის „საშინაო მართვის“ საერთო უზრუნველყოფა, ხოლო მათი საქმიანობის „პოლიტიკური“ შინაარსი განისაზღვრება ქვეყანაში „წესრიგის“ ანუ ბატონობის არსებულ ურთიერთობათა შენარჩუნებით. პრუსიაში ამ ყაიდის მოხელეებს პუტკამერის ბრძანებულებითა და მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელის შესაძლო დადების საფუძველზე ევალებოდათ „მთავრობის პოლიტიკის“ გატარება; და მათ, მსგავსად ფრანგი პრეფექტებისა იყენებდნენ როგორც სამსახურებრივ აპარატს, რომლის დანიშნულებაც იყო არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანული სისტემის თანახმად, „პოლიტიკური“ მოხელეები იმდენად ჰგვანან სხვა ყაიდის მოხელეებს, რამდენადაც მათ მიერ თანამდებობათა დაკავება დაკავშირებული იყო აკადემიურ განსწავლულობასა, სპეციალობაში გამოცდილებასა და გარკვეული მოსამზადებელი კურსების გავლასთან. დარგის მნეების ეს სპეციფიკური ნიშანი, ჩვენში მხოლოდ პოლიტიკური აპარატის უფროსებს ე.ი. მინისტრებს არ გააჩნიათ. პრუსიაში უკვე ძველი რეჟიმის დროსაც შეიძლებოდა კაცი კულტურის მინისტრად დამჯდარიყო ისე, რომ ცალი თვალითაც არ შეეხედა რომელიმე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, მაშინ როცა მრჩევლის პოსტზე ვერავინ დაინიშნებოდა, თუკი წინასწარ დადგენილ საგნებში გამოცდას არ ჩააბარებდა. რასაკვირველია, ამა თუ იმ დარგში განსწავლული პასუხისმგებელი რეფერენტი ანდა მრჩეველ-მომხსენებელი, მაგ. ალტროფის დროინდელ პრუსიის განათლების სამინისტროში, ბევრად უფრო ინფორმირებული იყო დარგის საკუთრივ ტექნიკურ პრობლემათა თაობაზე, ვიდრე მისი უფროსი. ასე იყო ინგლისშიც. ამრიგად, დარგის მნე ყველა ღ ნარჩენ მოხელეზე უკეთ

ერკვეოდა დარგის სადღენიადაგო საკითხებში; ეს სავსებით ბუნებრივი რამ იყო; რაკი მინისტრი მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების კონიუნქტურის წარმომადგენლად და ერთგვარ პოლიტიკურ მასშტაბად ითვლებოდა, რომელიც მისდამი რწმუნებული დარგის მნეთა მიერ შემოთავაზებული წინადადებების პოლიტიკურ შეფასებას ახდენდა და მათ პოლიტიკური ხასიათის შესაბამის დირექტივებს აძლევდა.

ზუსტად ივივე ხდება კერძო სამეურნეო საწარმოებშიც: მისი ნამდვილი „სუვერენი", აქციონერთა კრება, ისევე ვერ ახდენს ზეგავლენას საწარმოს მართვაზე, როგორც ის „ხალხი", რომელსაც დარგის მნეები მართავენ; ხოლო საწარმოს პოლიტიკას „გაბაზღერავენ ბანკებს დაქვემდებარებული საბჭოს მეთვალყურეები, რომლებიც მხოლოდ სამეურნეო დირექტივებს იძლევიან და ისეთ პირებს ირჩევენ, ვისაც ხელმძღვანელობა შეუძლიათ, ოღონდ არა აქვთ უნარი საწარმოს ტექნიკური მართვისა. ამდენად, არავითარ არსებით სიახლეს არ წარმოადგენს რევოლუციური სახელმწიფოს დღევანდელი სტრუქტურა; იმ სახელმწიფოსი, რომელშიც მართვის სადავეები მხოლოდ იმის გამო უპყრია ხელთ აბსოლუტურ დილეტანტებს, რომ ტაკიამფრქვევებით არიან შეიარაღებულნი; ისინი ამა თუ იმ დარგში გაწაფულ მოხელეებს უბრალო შემსრულებლად იყენებენ ხოლმე. სახელმწიფოს თანამედროვე სისტემის სიძნელეები სხვაგანაა საძიებელი, მაგრამ ახლა მათ ხე არ შევჩერდები.

პირიქით, ამჯერად საკითხს ვაყენებთ პროფესიონალი პოლიტიკოსის, „ბელადისა" და მისი ამალის ტიპურ თავისებურებათა შესახებ. ეს თავისებურებანი მრავალგზის შეიცვალა და დღესაც ძალზე განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი.

როგორც დავინახეთ „პროფესიონალი პოლიტიკოსები" მთავრის კარზე წარმოიშვნენ წოდებათა წინააღმდეგ მათი ბრძოლის შედეგად. ახლა მოკლედ განვიხილავთ მათ ძირითად ტიპებს.

წოდებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი ისეთ ფენებს ემყარებოდა, რომლებიც მართალია, არაწოდებრივი წარმომავლო-

ბისანი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური საქმიანობისათვის გამოდგებოდნენ. წინაინდოეთსა, ბუდისტურ ჩინეთსა და იაპონიაში, აგრეთვე ლამაისტურ მონღოლეთში, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანულ ოლქებში, ასეთ ფენებს უპირატესად კლირიკები განეკუთვნებოდნენ. ეს გამოწვეული იყო იმ ტექნიკური ხასიათის მიზეზით, რომ კლირიკები წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ. ყველგან ხდებოდა ხოლმე ბრაჰმანთა, ბუდისტ ქურუმთა, ბერ-მონაზონთა მოზიდვა, ეპისკოპოსთა და მღვდელ ოა გამოყენება პოლიტიკურ მრჩევლებად იმ განზრახვით, რათა თავი მოეყარათ წერა-კითხვის მცოდნე ისეთი სამმართველო ძალებისათვის, რომელთა გამოყენებასაც შესძლებდა კაიზერი, მთავარი ანდა ხანი არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში. კლირიკი, განსაკუთრებით კი ისეთი, ცელიბატს რომ ინახავდა, არ მონაწილეობდა ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესთა ორომტრიალში და არცა ცდუნება ერეოდა იმისა, რომ ხელმწიფისათვის პოლიტიკური ძალაუფლება გამოეძალა, რათა ის თავისი შთამომავლობისათვის დაეტოვებინა, როგორც ამას ვასალები სჩადიოდნენ ხოლმე. თავისი წოდებრივი მდგომარეობის გამოისობით იგი მოწყვეტილი იყო სამთავრო მმართველობის წარმოების საშუალებებს.

მეორე ამგვარი ფენაა ჰუმანიტარულად განათლებული მწიგნობრები. იყო დრო, როცა საიმისოდ, რათა მთავრის პოლიტიკური მრჩეველი, და ყოვლის უწინარეს, მისთვის მოხსენებითს ბარათთა შემდგენელი გამხდარიყავი, აუცილებელი იყო, ლათინურად ს. ტყვების წერა და ბერძნულად ლექსების თხზვა გესწავლა. ეს ის დროა, როცა პირველად იფურჩქნება ჰუმანიზმის სკოლები, როცა მთავრები თავად აარსებენ „პოლიტიკის კათედრებს"; ჩვენში ამ ეპოქამ სწრაფად გადაიარა; მან, რა თქმა უნდა, მძლავრი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს სასკოლო განათლებაზე, თუმც კი მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია. სხვა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ აზიაში. ჩინელი მრჩეველი, დაახლოებით ან ზუსტად, ის პირია, რაც ჩვენში — რენესანსის ეპო-

ქის ჰუმანისტი. იგივ შორეული წარსულის ლიტერატურულ ძეგლებში განსწავლული მწიგნობარი. ლი ხუ ჩჟანის დღიურებს თუ გადავიკითხავთ, ვნახავთ რომ ისიც კი ძალზე ხშირად იმით ამაყობს, რომ ლექსები უწერია და კარგი კალიგრაფოსი ყოფილა. ამ ფენამ ჩინეთის ანტიკურობაში განვითარებულ წესჩვეულებებთან ერთად ამ ქვეყნის მთელი ბედისწერა განსაზღვრა; რასაკვირველია, ასეთივე იქნებოდა გერმანიის ბედი, ჩვენშიც რომ ჰუმანისტებს უმცირესი შანსი მისცემოდათ იმავე წარმატებებისათვის მიეღწიათ.

მესამე ფენა ესაა სასახლის დიდკაცობა. მას შემდგომ, რაც მთავრებმა მიაღწიეს იმას, რომ მათთვის წაერთმიათ წოდებრივად განმტკიცებული პოლიტიკური ძალაუფლება, ისინი თავიანთ კარზე მიიწვიეს და პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ სამსახურში ჩააყენეს. XVII საუკუნეში ჩვენში განხორციელებული გადატრიალება აღზრდის სისტემისა იმანაც განაპირობა, რომ მთავრის სამსახურში ნაცვლად ჰუმანისტი სწავლულებისა სასახლის კარის დიდკაცობიდან გამოსული პოლიტიკოსები ჩადგნენ.

მეოთხე კატეგორია სპეციფიკურად ინგლისური წარმომავლობისაა; ესაა პატრიციატი, რომელიც მოიცავს წვრილ აზნაურობასა და ქალაქის რანტიებს და მისი ტექნიკური სახელწოდებაა „ჯენტრი“ (gentry); ფენა, რომელსაც მთავარი თავდაპირველად ბარონთა წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა, ხოლო შემდგომში „თვითმმართველობის“ თანმდებობათა გამგებლებად ადგენდა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ მთავარი მოგვიანებით სულ უფრო დამოკიდებული გახდა ამ ფენაზე, რაკი მან დაისაკუთრა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობა და უსასყიდლოდ ეწეოდა ამ სამსახურს მხოლოდ თავისი სოციალური ძალაუფლების ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამ ფენამ იხსნა ინგლისი ბიუროკრატიზაციისაგან, რაიც კონტინენტურ სახელმწიფოთა საერთო ბედისწერად იქცა.

მეხუთე ფენას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტებში განათლება მიღებული იურისტები. იგი დამახასიათებელია საერთოდ

დასავლეთის, უპირატესად კი ევროპული კონტინენტისათვის და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთელი დასავლური პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ძლევამოსილი ზეგავლენა რომაული სამართლისა იმ სახით, რა სახეც მას მიანიჭა გვიანრომაულმა ბიუროკრატიულმა სახელმწიფომ, არაფერში ისე ნათლად არ მჟღავნდება, როგორც იმაში, რომ პოლიტიკური წარმოების გარდაქმნა რაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიმართულებით სწორედ სწავლულმა იურისტებმა განახორციელეს; და ეს ასე მოხდა თვით ინგლისშიაც, თუმცკი იურისტთა დიდი ეროვნული ამქრები ეწინააღმდეგოდნენ რომაული სამართლის პერცეფციას.ამ მოვლენას ანალოგი არ მოეპოვება ჩვენი პლანეტის არც ერთ რეგიონში. ვერც ერთმა ჩანასახმა რაციონალური იურიდიული აზროვნების ამ ინდურ მიმანსთა სკოლაში, ისლამის მხრივ ანტიკურ იურიდიულ აზროვნებაზე ვერანაირმა ზრუნვამ ვერ შესძლო, აღეკვეთა აზროვნების თეოლოგიურ ფორმათა მიერ რაციონალური სამართლებრივი აზრის შთანთქმა. ყოვლის უწინ კი, ეს იმაში გამოიხატა, რომ არ მომხდარა საქმის წარმოების მეთოდთა სრული რაციონალიზაცია. ეს ამოცანა შეასრულეს მხოლოდ და მხოლოდ იტალიელმა იურისტებმა, რომლებმაც გადმოიღეს ანტიკურ-რომაული იურისპრუდენცია, ეს ნაყოფი სრულიად განსაკუთრებული პოლიტიკური წარმონაქმნისა, რომელიც ქალაქ-სახელმწიფოდან მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფვოდა; მათ პირველებმა დაიწყეს „თანამედროვე გამოყენება" გვიან შუა საუკუნეობრივი პანდეკტისტების, კანონიკებისა და ბუნებრივი სამართლის იმ თეორიებისა, რომლებიც იურიდიული და ქრისტიანული აზრიდან ამოიზარდნენ და რომელთა სეკულარიზებაც მოგვიანებით განხორციელდა. იტალიელი პოდესტა და ფრანგი სამეფო იურისტი, რომელთაც ფორმალური წინაპირობა შექმნეს სენიორთა ბატონობის დამხობისა სამეფო ძალაუფლების მეოხებით, კონცილიარიზმის თეოლოგები ბუნებრივი სამართლის თანახმად რომ აზროვნებდნენ, კანონისტები, კარის იურისტები და კონტინენტურ მთავართა სწავლული მოსამარ-

თლენი, ნიდერლანდური ბუნებრივი სამართლის თეორიები, მონარქომახები ინგლისის სამეფო კარისა და საპარლამენტო იურისტები, საფრანგეთის პარლამენტის noblesse drrobe, და ბოლოს რევოლუციურ ეპოქათა ადვოკატები — ესენი არიან დიადი წარმომადგენლები იურიდიული რაციონალიზმისა; მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც რევოლუცია, ასევე აბსოლუტისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თუ თვალს გადაავლებთ საფრანგეთის პარლამენტთა კონტრარგუმენტაციებს და საფრანგეთის გენერალურ შტატთა უწყისებს XVI საუკუნიდან დაწყებული ვიდრე 1789 წლამდე, ნახავთ, რომ ყველაფერი იურიდიული გონითაა გამსჭვალული; და თუ გულმოდგინედ გაეცნობით საფრანგეთის კონვენტებს მათი წევრების პროფესიული კუთვნილების კუთხით, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ იგი არჩეული იქნა თანახმად თანაბარი საარჩევნო უფლებისა, მასში აღმოაჩენთ ერთადერთ პროლეტარს, ძალზე ცოტა ბურჟუა მეწარმეს, ოღონდ — ყველა ჟურის აუარება იურისტს, რომელთა გარეშე სრულად წარმოუდგენელი იქნებოდა ის სპეციფიკური გონი სული რომ შთაუბერავს ამ რადიკალური ინტელექტუალებისა და მათი რადიკალური პროექტებისათვის. ამ დროიდან მოყოლებული გაერთიანებულა ადვოკატი და თანამედროვე დემოკრატია; ოღონდ ადვოკატი როგორც დამოუკიდებელი წოდება, ისევ და ისევ მხოლოდ დასავლეთში დამკვიდრდა შუა საუკუნეების ეპოქაში, რა დროსაც ის, ვინაც გერმანულ ფორმალისტურ სასამართლო საქმისწარმოებაში „მომრიგებელ-შუაკაცობას“ ეწეოდა, ამ წარმოების რაციონალიზების წყალობით, იქცა ადვოკატად ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით..

ამ იგად სულაც არ არის შემთხვევითი ის, რომ ადვოკატებს დასავლურ პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ დღიდან პარტიების ჩამოყალიბებისა. პოლიტიკას, როგორც წარმოებას პარტიები აწარმოებენ; იგი რომ დაინტერესებულ პირთა დაწესებულებაა ამას ახლავე ვნახავთ. სწავლულ ადვოკატთა ხელობა კი სწორედ ისაა, რომ საქმე დაინტერესებულ

მხარეთათვის ეფექტურად წარმართოს. ამ საქმეში იგი ყველა მოხელეს აღემატება; მათდამი მტრული პროპაგანდაც კი ამასვე ირწმუნება. ადვოკატს ხელეწიფება ლოგიკურად სუსტად არგუმენტირებული, და ამ აზრით, „უხეირო“ საქმე მაინც წარმატებით ე.ი. ტექნიკურად და გერგილიანად წარმართოს და რაღა თქმა უნდა, სწორედ იგი აგვირგვინებს ძლევამოსილად ე.ი. „წარმატებით“ ლოგიკურად მძლავრად არგუმენტირებულ საქმესაც. პოლიტიკური მოხელე კი პირიქით, საქმის ტექნიკურად „უგერგილოდ“ წარმართვის წყალობით ვარგისიან საქმესაც კი ძალზე ხშირად უხეიროდ შემოატრიალებს ხოლმე; რისი მოწმენიც სამწუხაროდ მრავალგზის გავმხდარვართ. ხალხთა მასებში თანამედროვე პოლიტიკის გამტარებლად დღესდღეობით სულ უფრო ხშირად გვევლინება დაწერილი თუ წარმოთქმული სიტყვა; აწონ-დაწონოს სიტყვის ზეკავლენა, სწორედ ეს შედის ადვოკატთა საკუთრივი ამოცანების სფეროში; ისე რომ ასეთი რამ სულაც არ არის დარგის მნეს საქმე, რომელიც არ არის და თავისი მიზანდასახულობით არც შეიძლება იყოს დემაგოგი; და თუ იგი მაინც იჩემებს ამას, მაშინ მისგან ყოველთვის უვარგისი დემაგოგი გამოდის ხოლმე.

ნამდვილი მოხელე — და ეს ვითარება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ჩვენი ამასწინანდელი რეჟიმის შეფასების საქმეში — პოლიტიკას კი არ უნდა აწარმოებდეს, არამედ ყოვლის უწინარეს „მიუკერძოებლად“ უნდა განაგებდეს; იგივე ითქმის პოლიტიკურად ხელმძღვანელ მოხელეებზეც; ჯერ არს, რომ იგი თავის თანამდებობრივ მოვალეობას ასრულებდეს რისხვისა და მიკერძოების გარეშე, თუ კი, რა თქმა უნდა, საფრთხე არ ემუქრება „სახელმწიფოს საფუძვლებს“ ან გაბატონებული წესრიგის სასიცოცხლო ინტერესებს; იგი არ უნდა სჩადიოდეს იმას, რასაც მარად და აუცილებლად სჩადის პოლიტიკოსი, ბელადი თუ მისი ამალა ე.ი. არ უნდა იბრძოდეს. მიკერძოება, ბრძოლა და ენება ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკოსთა, უპირატესად კი პოლიტიკურ ბელადთა სტიქიონია. მათი ქმედებანი პასუხისმგებლო-

ბის სრულიად განსხვავებული ჯურის, სწორედ რომ მოხელეთა პასუხისმგებლობისადმი საპირისპირო პრინციპს ემორჩილება. სახელმწიფო მოხელის პატივი და დიდება სწორედ მის იმ ნიჭიერებაშია, თუ რამდენად ახერხებს იგი, ბრძანების გამცემის პასუხისმგებლობის ქვეშ, კეთილსინდისიერად და ზუსტად შეასრულოს ზემდგომი უწყების დაჟინებული განკარგულება, თუნდაც იგი მას მცდარად მიაჩნდეს; და ეს ისე გააკეთოს, თითქოსდა ეს ბრძანება მის მრწამსთან თანხმობაში იყოს. ამ უაღრესად ზნეობრივი დისციპლინისა და თვითუარყოფის გაიეშე დაიმსხვრეოდა მთელი პოლიტიკური აპარატი. საპირისპიროდ ამისა პოლიტიკური ბელადის, ან ხელმძღვანელი სახელმწიფო კაცის პატივი და დიდება კი ისაა, რომ ყველაფერზე, რასაც აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ თვითონ, პირადად აგოს პასუხი; მას არც შეუძლია და არც უფლება აქვს იმისა, რომ აიცილოს ან თავიდან მოიხსნას ეს უცილობელი პირადი პასუხისმგებლობა. პოლიტიკურად თუ შევხედავთ სწორედ ბუნებით მაღალზნეობრივი მოხელეები არიან ხოლმე უპასუხისმგებლო, უვარგისი და ამდენად მდაბალი ზნეობის მქონე პოლიტიკოსები, ისეთნი, როგორნიც სამწუხაროდ ჩვენში მრავლად იყვნენ ხელმძღვანელ პოსტებზე; ეს ის ვითარებაა, რასაც ჩვენ „მოხელეთა ბატონობას“ ვუწოდებთ; და როცა პოლიტიკურად, ე.ი. იმის თანახმად ვაფასებთ ამ სისტემას, თუ რა წარმატება მოაქვს მას და ვააშკარავებთ მის პრინციპებს, რა თქმა უნდა, მიზნად არა გვაქვს ჩრდილი მივაყენოთ ჩვენი ჩინოვნიკობის პატივსა და დიდებას. მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ პოლიტიკურ ფიგურათა ტიპოლოგიის საკითხს.

კონსტიტუციური სახელმწიფოდან, სრულიად და საბოლოოდ კი დემოკრატიის პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთში პოლიტიკოსის მთავარი ტიპი არის „დემაგოგი“. იმ უსიამოელფერმა, რომელიც ამ სიტყვას დაჰკრავს, არ უნდა დაგვავიწყოს, რომ პირველი, ვინაც ამ სახელს ატარებდა კლეონი როდი იყო, არამედ პერიკლე. მას არანაირი თანამდებობა არ ეჭირა, ანდა განსხვავებით ათენის დემოკრატიაში კენჭისყრით ნარგუ-

ნები თანამდებობებისა, დაკისრებული ჰქონდა უზენაესი სტრატეგის ერთადერთი არჩევითი მოვალეობა; იგი მართავდა ათენის დემოსის სუვერენულ კრებას. სიტყვას თანამედროვე დემაგოგიც იყენებს და უსაშველოდაც კი, თუ თვალს მივადევნებთ თანამედროვე კანდიდატთა წინასაარჩევნო გამოსვლებს. მაგრამ უფრო მეტი შეუპოვრობით გამოიყენება ბეჭდვითი სიტყვა; ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით დემაგოგის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ესაა პოლიტიკური პუბლიცისტი და უპირატესად, ჟურნალისტი.

თანამედროვე პოლიტიკური ჟურნალისტიკა ცალკე თემაა და მისი მოკლე გარჩევაც კი ამ მოხსენების ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ზოგიერთი რამ ამ საკითხისა უსათუოდ ჩვენს თემასაც ეხება. ჟურნალისტის ბედი, ისევე როგორც ბედისწერა ყველა დემაგოგისა ისაა, რომ იგი არ ემორჩილება მტკიცე სოციალურ კლასიფიკაციას; ადვოკატთა და ხელოვანთა ბედიც ეგაა; და ეს ასეა სულ ცოტა კონტინენტზე მაინც, განსხვავებით ინგლისისგან და იმ საზოგადოებრივი მდგომარეობიდან, რაც ადრე პრუსიაში იყო შექმნილი. ჟურნალისტი განეკუთვნება პარიათა რაღაცნაირ კასტას, რომელიც „საზოგადოებაში“ სოციალურად ფასდება მისი იმ წარმომადგენლების მიხედვით, რომელნიც ზნეობრივი თვალსაზრისით ყველაზე დაბლა დგანან. სწორედ აქედან მომდინარეობს ჟურნალისტებსა და მათ საქმიანობაზე საყოველთაოდ გავრცელებული, ყოვლად უცნაური წარმოდგენები. ყველას როდი აქვს შეგნებული ის, რომ კარგი ჟურნალისტური ნამოღვაწარი, სულ ცოტა, იმდენივე „სულის“ შთაბერვას მაინც მოითხოვს, რამდენსაც ნებისმიერი მეცნიერული მონაპოვარი; და უპირატესად ეს ასეა იმ აუცილებლობის გამოისობით, რომ ჟურნალისტს მოეთხოვება დაუყოვნებლივ, საზოგადოებრივი აზრის შეკვეთისთანავე იღვაწოს, რათა დროული ეფექტი მოახდინოს. არას ვამბობთ ჟურნალისტისა და მეცნიერის შემოქმედების სრულიად განსხვავებულ პირობებზე. რაკი მეხსიერებაში გამუდმებით ის ზემოქმედება გვაქვს ხოლმე აღბეჭდილი,

რასაც ჩვენში უპასუხისმგებლო ჟურნალისტური ნამოღვაწარი ტოვებს; ამიტომაც არავინ უწევს ანგარიშს იმას, რომ ჟურნალისტს ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და რომ, როგორც ამაში ომმა დაგვარწმუნა მისი პასუხისმგებლობის გრძნობა საშუალოდ ჩამორჩება კი არა და, ბევრად აღემატება კიდეც სწავლულის პასუხისმგებლობის გრძნობას; ცოტა თუ ბევრად კარგი ჟურნალისტი რომ საშუალოზე მეტად შორიდებულია, ვიდრე სხვა ჯურის ხალხი — ამას არად დაგიდევენ; მაგრამ ამ ფაქტს ვერსად გაექცევი. შეუდარებლად უფრო სამძიმო ცდუნებებმა, რომელიც თან სდევს ხოლმე ჟურნალისტის პროფესიას და ჟურნალისტური მოღვაწეობის სხვა პირობებმა თან შედროვეობაში ის შედეგი გამოიღეს, რომ პუბლიკას პრესისადმი რაღაც განსაკუთრებული, სიძულვილითა და გულსაკლავი კრთომით შეზავებული გრძნობა გამოუმუშავდა. ამჯერად შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმაზე თუ რითი შეიძლება ამ მდგომარეობას ესაშველოს; გვაინტერესებს მხოლოდ ჟურნალისტის როგორც მოხელის პოლიტიკური ბედი, მისი შანსი მაღალ პოლიტიკურ პოსტებზე დაწინაურებისა. დღემდე ასეთი რამ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყო შესაძლებელი, მაგრამ მასშიაც კი რედაქტორის პოსტი უპირატესად მხოლოდ და მხოლოდ სამოხ̣ლეო თანამდებობა იყო და არანაირ საფუძველს არ იძლეოდა იმისას, რომ ჟურნალისტი პარტიის ბელადად დაწინაურებულიყო.

ბურჟუაზიულ პარტიებში ამ გზით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შანსები ერთობ გაუარესებულია, მაშინ როდესაც ჟურნალისტთა წინა თაობებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ამის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ყოველ ანგარიშგასაწევ პოლიტიკოსს ესაჭიროება ის ზეგავლენა და კავშირ-ურთიერთობანი რასაც პრესა ფლობს. შეიძლება ასეთი დასკვნა მოულოდნელიც იყოს, მაგრამ ჟურნალისტთა რიგებიდან პარტიების წინამძღოლებად დაწინაურება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჟურნალისტი, მეტადრე კი უქონელი, მხოლოდღა თავისი ხელობის იმედადაა და ამდენად სულ უფრო მეტად

„მოუცლელია“; ეს კი განპირობებულია მისი მოღვაწეობის ინტენსივობისა და აქტუალობის არაჩვეულებრივი ზრდით. ჟურნალისტს ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვა ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული სტატიებით მაინც, ლუკმა-პურის ძიება; და ზე მრავლად ვიცი მაგალითები იმისა, როცა ეს სავალალო ხელმოკლეობა გარეგნულზე მეტად შინაგანად ბორკავდა ხოლმე ბელადურ ნატურებს ძალაუფლებისაკენ აღმავალ გზაზე. პრესის დამოკიდებულებამ სახელმწიფო და პარტიულ ხელისუფალთადმი ძველი რეჟიმის პირობებში ერთობ დასცა ჟურნალისტიკის დონე; თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა. გერმანიისადმი მტრულ ქვეყნებში კი ეს დამოკიდებულება სხვა სახისა იყო. თუმცა ყველა თანამედროვე სახელმწიფოში, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მოქმედებს ერთი საერთო კანონზომიერება, რომლის ძალითაც „ლორდ“ ნორტკლიფის მსგავს პრესის კაპიტალისტურ მაგნატს ყოველთვის ბევრად უფრო მეტი პოლიტიკური გავლენის მოპოვება შეუძლია, ვიდრე გაზეთის მუშაკს.

ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო გერმანიაში მაინც; აქ მსხვილი კაპიტალისტური კონცერნები, რომელთაც იმთავითვე ხელთ იგდეს მცირე და დიდი ზომის „ცნობის ფურცლები“, პოლიტიკური ინდიფერენტიზმის ტიპურ აღმზრდელებად მოგვევლინენ. ვინაიდან დამოუკიდებელი საგაზეთო პოლიტიკით აღარ შეიძლები ეა აღარაფრის დაშსახურება, მეტადრე კი პოლიტიკურად გაბატონებულ ხელისუფალთა ისეთი კეთილგანწყობისა, რომელიც ამ საქმეს წაადგებოდა. გაზეთებში საცნობარო საქმეთწარმოება პრესაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად იქცა ომიანობის დროს და მშვიდობიანობის პირობებშიც მის ხელიდან კაშვებას, ეტყობა, აღარ აპირებენ. დიდი პრესა ახერხებს დაუსხლტეს ამ ზეგავლენას, მაშინ როცა ამ მხრივ ფრიად შეპირვებულ მდგომარეობაშია მცირე გამოცემები. მაგრამ ჟურნალისტის სარბიელი, მიუხედავად მთელი მისი ხიბლისა, ჩვენში დღემდე არასოდეს ყოფილა პარტიული ბელადის მდგომარეობამდე ამაღლების ბუნებრივი გზა, რა გინდ დიდი, უპირატესად პოლიტიკუ-

რი პასუხისმგებლობაც უნდა ეკისრებოდეს მას თავისი ნამოღვაწარის მასებში ზეგავლენაზე; სამომავლოდაც ასე იქნება თუ არა, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. ასევე ძნელია ვამტკიცოთ, შეუძლია თუ არა ამ ვითარების ძირეული შეცვლა ანონიმურობის პრინციპის მსხვრევას, რომელსაც ყველა თუ არა, ზოგიერთი ჟურნალისტი მაინც მტკიცედ იცავს. შეიძლება ვისმე ასე ეგონოს, მაგრამ პასუხისმგებლობის ამაღლებული გრძნობის გამომუშავება სულაც არაა შესაძლებელი იმ გზით, რომ გაზეთების „ხელმძღვანელებად“ მწერლური ნიჭით დაჯილდოებული პირები მოიზიდო. სამწუხაროდ, საამისო ბევრი შემთხვევაა ჩვენში ცნობილი ომიანობის წლებიდან. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პარტიას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გზით ფრთე?ი ისეთმა ვულგარულმა გაზეთებმა გაშალეს, რომლებსაც გულდასმით არავინ არასოდეს კითხულობდა. მავანმა და მავანმა პრესის უფალმა, სულ ერთია ვინ იყო იგი, გამომცემელი თუ სენსაციაზე დახარბებული ჟურნალისტი, სიმდიდრე კი მოიხვეჭა, მაგრამ აღიარება — ვერა. პრინციპის საწინააღმდეგოდ არას ვამბობ, საკითხის სირთულეზე მოგახსენებთ მხოლოდ და არც იმას ვამტკიცებ, თითქოს ეს მოვლენა საყოველთაო ხასიათისა იყოს; მაგრამ ერთი რამ კია, აქამდე ჟურნალისტის სარბიელი ჩვენში არც ნამდვილ ბელადად გახდომის გზა ყოფილა და არცა — პასუხისმგებლობით მოსილი პოლიტიკის წარმოებისა. ისღა ღაგვრჩენია, დაველოდოთ, რა იქნება სამომავლოდ. ოღონდ ნებისმიერ პირობებში ჟურნალისტური სარბიელი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზი იქნება იმისა, რომ შთაგონებული დახელოვნებით ეწეოდე პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაგრამ ყველას როდი შეუძლია, ამ გზით იაროს. განსაკუთრებით ეს ჯერ ძალუძს სუსტი ნებისყოფის ადამიანებს, რომელთაც სულიერი წონასწორობის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ხელეწიფებათ, როცა წოდებრივად უზრუნველყოფილნი არიან. მართალია, ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრებისეული გზა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ გზის აბნეევიდან მას ის მტკიცე წოდებრივი წეს-ჩვეულებანი

იფარავენ, მის ირგვლივ რომ აღმართულან. ჟურნალისტის ცხოვრებისეული გზა კი ერთი გაბმული რისკია. ცხოვრება ისეთ მძიმე გამოცდას უწყობს მას, როგორც არავის. მწარე პროფესიულ გამოცდილებას კიდევ არა უშავს, მაგრამ მეტადრე სამძიმო ის შინაგანი პრეტენზიებია, სწორედ რომ ბედისნებიერ ჟურნალისტს წაეყენება. სულაც არაა უმნიშვნელო ამბავი, ისე შეხვიდე ძლიერთა ამა სოფლისთა სალონში როგორც სწორი სწორთან; — უეცრად თავი ამოჰყო საყოველთაო პირფერობის არემოცვაში შენთან ურთიერთობის შიშს რომ უშვია და თანაც იცოდე, რომ საკმარისია კარის ‘ღურბლს გასასვლელად გადააბიჯო, რათა ოჯახის უფროსი მაშინვე თავისმართლებას მოჰყვეს სტუმრების წინაშე „გაზეთის ბიჭბუჭანასთან“ ურთიერთობის გამო. არც ისაა წვრილმანი საქმე, ნებისმიერ ცხოვრებისეულ პრობლემაზე, რომელსაც კი საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა „ბაზარი“ დაგიკვეთს, სწრაფად და დაბეჯითებით გამოთქვა საკუთარი აზრი, ამასთან ისე, რომ არც აბსოლუტურად ერთფეროვნად წარმოადგინო ისინი და არც ისე ქნა, რომ ყველაფერი წამოროშო და თავს დაიტეხო სრული თვითგაშიშვლების სამარცხვინო და ულმობელი შედეგები. გასაკვირი ის კი არა არის, რომ ამ ქვეყნად მრავლად მოიძევებიან თავგზააბნეული და შერცხვენილი ჟურნალისტები, არამედ ის, რომ მიუხედავად ყველაფრისა სწორედ ჟურნალისტთა ამქარი აერთიანებს უამრავ კაცურ კაცს; მაგრამ იოლი როდია, ეს გარეშე თვალმა შეამჩნიოს.

მართალია. ჟურნალისტი როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსი კარგა ხანია უკვე არსებობს, მაგრამ პარტიული მოხელე როგორც ასეთი, სულ რაღაც ათწლეულებისა და უფრო მეტი, უკანასკნელი წლების პირმშოც კი არის. ამიტომ აუცილებელია, გადავიდეთ პარტიული სისტემისა და ორგანიზაციის განხილვაზე, რათა გავიგოთ, თუ რა ‘ადგილი უკავია პარტიულ მოხელეს ისტორიულ განვითარებაში.

ყოველ, ცოტად თუ ბევრად დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელიც დრო და ორო თავის ხელისუფალს ირჩევს ხოლ-

მე და რომლის მოცულობაც სცილდება პატარა სასოფლო კანტონს, პოლიტიკური წარმოება სხვა არაფერია, თუ არა აუცილებლად ერთნაირი მისწრაფების მქონე პირთა დაწესებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველად შედარებით მცირე ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც დაინტერესებულია პოლიტიკური ცხოვრებით, გინა პოლიტიკურ ძალაუფლებაში მონაწილეობით, ძალდატანების გარეშე იმხრობს ადამიანებს და იქმნის თავის საკუთარ ამალას; მერე კი არჩევნებზე კანდიდატებად ასახელებენ თავიანთ თავს, ანდა მათს ზეურვეი.ბაში მყოფთ, აგროვებენ სასსრებს და ცდილობენ საარჩევნო ხმათა მონადირებას. ამგვარი ღონისძიების გარეშე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებში არჩევნების ჩატარება; იგი პრაქტიკულად მოასწავებს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა დაყოფას პოლიტიკურად აქტიურ და პასიურ ელემენტებად; და რადგან ეს დაყოფა ნებაყოფლობითია, ამიტომ, შეუძლებელია მისი თავიდან აცილება რაიმენაირი სახელმწიფო კანონმდებლობით, საარჩევნო ვალდებულება იქნება ეს, „ამქრული“ წარმომადგენლობა თუ სხვა რამ ამდაგვარი ღონისძიება, რომელიც აშკარად და ფაქტობრივად მიმართულია ზემოთ დასახელებული ვითარებისა და მაშასადამე, იმათ წინააღმდეგ ვისთვისაც პოლიტიკა მოწოდებისმიერი ხელობაა. ყოველი პარტიის აუცილებელი სასიცოცხლო სტიქიონია, ერთი მხრივ, ბელადი და მისი ამალა, როგორც ნებაყოფლობითი მიმხრობის აქტიური ელემენტები; ხოლო მეორე მხრივ — ბელადის ასარჩევად საჭირო პასიური ამომრჩევლები, რომელთა არსებობასაც ამალა განაპირობებს. პარტიები ერთმანეთისაგან მხოლოდ სტრუქტურით განსხვავდებიან. შუა საუკუნეების ქალაქთა პარტიები, ისეთები როგორებიც იყვნენ, მაგალითად გველფები და გიბელინები ბელადთა მხოლოდ და მხოლოდ პირად ამალებს წარმოადგენდნენ. თუ თვალს გადავავლებთ statuto della patre Guelfa-ს, ამ წესდებით გათვალისწინებულ ქონების კონფისკაციას ნობილებისათვის (ძირითადად ასე იწოდებოდნენ ის ოჯახები, რომლებიც რაინდული წესით ცხოვ-

რობდნენ და ლენურ ურთიერთობაში შედიოდნენ), მათს გადაყენებას სამსახურიდან და მათთვის ხმის უფლების ჩამორთმევას, ინტერლოკალურ პარტიულ კომიტეტებს, მკაცრად გასამხედროებულ ორგანიზაციებს და ბეზღობისათვის განკუთვნილ გასამრჯელოებს, მაშინ ყველაფერი ეს ცხოვლად მოგაგონებთ ბოლშევიზმს თავისი საბჭოებიანად, მისი მკაცრი შერჩევის პრინციპზე აგებული სამხედრო და ჯაშუშური „ორგანიზაციებიანად" (განსაკუთრებით რუსეთში); „ბურჟუების" ე.ი. მეწარმეების, ვაჭრების, რანტიეების, სამღვდელოების, დინასტიათა შთამომავლების, პოლიციის აგენტების კონფისკაციებს, განიარაღებასა და მათთვის პოლიტიკური მოქალაქეობის უფლების აყრას; იმასაც თუ ჩავუკვირდებით, რომ ერთი მხრივ, პარტიათა სამხედრო ორგანიზაცია სახელობითი სიების მიხედვით ჩამოყალიბებულ ნამდვილ სამხედრო ჯარს წარმოადგენდა, რომელშიც თითქმის ყველა ხელმძღვანელი პოსტი თავად-აზნაურობას ეჭირა; რომ მეორე მხრივ, საბჭოები კვლავ ინარჩუნებენ ან ისევ აღადგენენ მეწარმეთა მაღალი ანაზღაურების, განაკვეთური გასამრჯელოს, გინა ტეილორის პრინციპს, თვალი კი ისევ უცხოურ კაპიტალზე უჭირავს; ერთი სიტყვით იძულებულნი არიან თვითონვე აითვისონ ყველაფერი ის, რასაც თავათვე ებრძოდნენ, როგორც ბურჟუაზიულ-კლასობრივ დაწესებულებებს, რათა სხვა თუ არაფერი სახელმწიფოსა და მეურნეობის ფუნქციონირება მაინც შესძლონ; და თუ ყოველივე ზემოთ თქმულს იმასაც მივუმატებთ, რომ ისინი თავიანთი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მთავარ ინსტრუმენტებად ისევ ოხრანკის აგენტებს იყენებენ, მაშინ ანალოგია დასახელებულ ორ პარტიულ სისტემას შორის მეტადრე განსაცვიფრებელი იქნება. მაგრამ ჩვენი განხილვის საგანი ძალადობაზე დამყარებული ასეთი ორგანიზაციები კი არ არის; არამედ ის ხალხი, ვისთვისაც პოლიტიკა შთაგონებით ნასაზრდოები ხელობაა და რომელიც ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზას საარჩევნო ხმათა ბაზარზე პარტიის ფრთხილი და „მშვიდობიანი" აგიტაციის მეშვეობით იკაფავს.

მაგრამ ის, რასაც დღეს პარტიას ვუწოდებთ ხოლმე, ძველად არისტოკრატიის ამალას წარმოადგენდა მხოლოდ; ასე იყო მაგალითად ინგლისში; როცა პერს რაიმე მიზეზის გამო ერთი პარტიის დატოვება და სხვაში გადასვლა უხდებოდა, მის პერსონასთან ერთად იმავე პარტიის განკარგულებაში გადადიოდა ყველაფერი ის, რაც პერის საკუთრებას შეადგენდა. დიდგვაროვან ოჯახებს (გამონაკლისი არც სამეფო ოჯახი იყო) პატრონაჟი ჰქონდათ მოპოვებული საარჩევნო ოლქთა უმრავლესობაზე; და ეგი რეფორმათა კანონპროექტებზეც კი ვრცელდებოდა. დიდგვაროვანთა ასეთ პარტიებს ძალიან ჰგვანან ბობოლების პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდნენ ბურჟუაზიის ძალაუფლების აღმოცენებასთან ერთად. „განათლებულთა და შეძლებულთა“ წრეებიც, რომლებსაც სულიერად ხელმძღვანელობდნენ დასავლეთისათვის ტიპური ინტელექტუალური ფენები, მათივე გამგებლობაში მყოფ სხვადასხვა პარტიებში გადანაწილდნენ; და ეს მოხდა ცალკერძ კლასობრივ ინტერესთა, ცალკერძ კი ოჯახური ტრადიციებისა თუ წმინდა იდეოლოგიურად განპირობებულ მიზეზთა გამოისობით. სასულიერო პირები, მასწავლებლები, ადვოკატები, ექიმები, აფთიაქრები, შეძლებული ფერმერები, ფაბრიკანტები, ე.ი. ყველა ის, ვინაც ინგლისში თავის თავს ჯენტლმენად რაცხდა, თავდაპირველად გაერთიანდნენ ისეთ საზოგადოებებად, რომელიც რეგულარულად იკრიბებოდა ხოლმე; ანდა ლოკალურ პოლიტიკურ კლუბებად ჩამოყალიბდნენ. არეულობის პერიოდებში თავს წამოყოფდა ხოლმე წვრილი ბურჟუაზია და ხანდახან პროლეტარიატიც კი, თუ კი მას ბელადი მოევლინებოდა, რომელიც არასოდეს იყო ხოლმე მათი წრის კაცი. ამ სტადიაზე მთელს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსად არსებობდა ინტერლოკალურად ორგანიზებული პარტიები, როგორც მუდმივი გაერთიანებანი. პარტიათა შეკავშირებას მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტი ახდენს; საარჩევნო კანდიდატთა წამოყენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ადგილობრივ პატივცემულ გვამებს. წინასაარჩევნო პროგრამა, ნაწილობრივ, კანდიდატთა

სააგიტაციო მოწოდებების საფუძველზე იქმნება, ნაწილობრივ კი — პატივცემულ გვამთა კონგრესისა თუ საპარლამენტო გადაწყვეტილებათა თანახმად. მშვიდობიანობის დროს, კლუბების ანდა, იმ შემთხვევაში თუ ისინი არ არსებობენ, სრულიად ამორფული პოლიტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელობას შეთავსებით ეწევა ხოლმე თითო-ოროლა პირი, რომელსაც ამ საქმის მუდმივი ინტერესი აქვს და რომლისთვისაც ასეთი ხელმძღვანელობა არამთავარი და საპატიო მოვალეობაა. მხოლოდ ჟურნალისტია ანაზღაურების მქონე პროფესიონალი პოლიტიკოსი. საგაზეთო წარმოება, საზოგადოდ, მუდმივი პოლიტიკური დაწესებულებაა; ასეთივე დაწესებულებაა პარლამენტის სესიები. მართალია პარლამენტარებმა და საპარლამენტო პარტიათა ხელმძღვანელებმა უწყიან თუ რომელ ადგილობრივ პოლიტიკურ გვამებს უნდა მიმართონ სასურველი პოლიტიკური აქციების ჩასატარებლად, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობენ ადგილობრივი მუდმივი პარტიული გაერთიანებები ზომიერი საწევრო შესატანით, სადაც პერიოდულად იკრიბებიან ხოლმე და დეპუტატთა ანგარიშებს ისმენენ. მათი ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება კი მხოლოდ არჩევნების პერიოდში იწყება.

პარლამენტართა დაინტერესება ინტერლოკალურ საარჩევნო კომპრომისთა შესაძლებლობით, ერთობლივი, ქვეყნის ყველა ოლქის მიერ მოწონებული პროგრამის ძლიერებით და ერთიანი საქვეყნო აგიტაციით წარმოადგენს სწორედ იმ მამოძრავებელ ძალას, რომელიც სულ უფრო განამტკიცებდა პარტიათა შეკავშირებას. პარტიული აპარატის, როგორც პატივცემულ გვამთა გაერთიანების ბუნება არსებითად უცვლელი რჩება მიუხედავად იმისა, რომ დღეს ადგილობრივი პარტიული უჯრედების ქსელი საშუალო სიდიდის ქალაქებსაც მოედო და მთელს ქვეყანაშიც კია განფენილი „ნდობით აღჭურვილ პირთა“ მეშვეობით, რომლებთანაც მუდმივ მიწერ-მოწერას აწარმოებს საპარლამენტო პარტიის წევრი, როგორც ამ პარტიის ცენტრალური ბიუროს ხელმძღვანელი. ანაზღაურების მქონე მოხელეც ჯერ კიდევ მხო-

ლოდ და მხოლოდ ცენტრალურ ბიუროში არსებობს; ადგილობრივ პარტიულ შენაერთებს ხელმძღვანელობენ „თეალსაჩინო“ ადამიანები იმ პატივის გამო, რომელიც მათ დამსახურებული აქვთ; ესენი არიან პარლამენტს გარეთა „პატივცემული გვამები“, რომლებიც პოლიტიკური წონის მქონე ადამიანების ფენასთან ერთად ზეგავლენას ახდენენ პარლამენტის აწინდელ დეპუტატებზე. რაღა თქმა უნდა, პრესასა და ადგილობრივ კრებებს სულიერ საზრდოს სულ უფრო მეტად აწვდის პარტიის მიერ გამოცემული პარტიული კორესპონდენციები. ამასთანავე, სულ უფრო აუცილებელი ხდება რეგულარული საწევრო შესატანი, რომლის ნაწილიც პარტიის შტაბ-ბინის შენახვას ხმარდება. განვითარების ამ სტადიაზე არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იმყოფებოდა გერმანიის პარტიულ ორგანიზაციათა უმრავლესობა. საფრანგეთში კი, ამ დროისათვის ჯერ ისევ პირველი სტადია ბატონობდა; კავშირი პარლამენტარებს შორის ძალზე სუსტი იყო, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთობ მცირერიცხოვანი იყვნენ ადგილობრივი პატივცემული გვამები; კანდიდატი ან მისი მეურვე პროგრამას მხოლოდ ერთხელ ადგენდნენ, ისიც მხოლოდ და მხოლოდ კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით; თუმცა, ეს კეთდებოდა პარლამენტის გადაწყვეტილებისა და პროგრამის ამა თუ იმ საარჩევნო ოლქისადმი ცოტად თუ ბევრად მისადაგების გზით. ეს სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა. ამასთანავე, ცოტანი იყვნენ ის ადამიანები, ვისთვისაც პოლიტიკა ძირითადი ხელობაა; არსებითად, მათ რიცხვში შედიოდნენ არჩეული დეპუტატები, ცენტრალური ბიუროს ზოგიერთი თანამშრომელი, ჟურნალისტები და (განსაკუთრებით საფრანგეთში) თანამდებობათა მაძიებლები, რომლებიც „პოლიტიკურ პოსტებზე“ იმყოფებოდნენ, ანდა ასეთი პოსტებისაკენ ახლოლა ისწრაფვოდნენ; თითქმის არ მოიპოვებოდნენ „მინისტრაბელური“ დეპუტატები; და რადგანაც ამას პატივცემული გვამების მცირერიცხოვნებაც ზედ ერთვოდა, ძალზე შეზღუდული იყო საარჩევნო კანდიდატთა რაოდენობა. სამაგიეროდ, ბლომად იყვნენ პოლიტიკური წარმოებით მხოლოდღა არა-

პირდაპირ, ყოვლის უწინარეს კი მატერიალურად დაინტერესებული ადამიანები. ოღონდ, სამინისტროს თითოეული განკარგულების გამოტანა, ყოვლის უწინარეს კი პერსონალური საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეეძლო მას საარჩევნო შანსებზე; ასევე ცდილობდნენ, რომ ამომრჩეველთა ესა თუ ის სურვილი დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ადგილობრივი დეპუტატის მეშვეობით. დეპუტატს კი მინისტრი აუცილებლად ყურს უგდებდა, ავად თუ კარგად, იმისდა შესაბამისად, შედიოდა თუ არა იგი მის საპარლამენტო უმრავლესობაში, (რასაც, რა თქმა უნდა ყველა ესწრაფვოდა). ყოველი დეპუტატი თავის საარჩევნო ოლქში ანხორციელებდა არა მარტო თანამდებობრივ, არამედ ყველა სხვა სახის პატრონაჟსაც და რათა ხელახლა ყოფილიყო არჩეული, ახლო ურთიერთობაში შედიოდა ხოლმე ადგილობრივ პატივცემულ გვამებთან.

ამ იდილიურ მდგომარეობას, როცა პატივცემული გვამები, ყოვლის უწინარეს კი პარლამენტარები ბატონობენ, სადღეისოდ უპირისპირდება მისგან მკვეთრად განსხვავებული სრულიად თანამედროვე ფორმები პარტიული ორგანიზაციისა. ეს ფორმები პირმშოა დემოკრატიის, საყოველთაო საარჩევნო უფლების, მასათა ვერბირებისა და მათი ორგანიზაციის აუცილებლობისა; ასევე, მათი ერთიანი მართვის უაღრესი განვითარების და უმკაცრესი დისციპლინისა. დასრულდა პატივცემულ გვამთა ბატონობა და მასე"ის მართვა პარლამენტართა მეშვეობით. პოლიტიკის წარმოება თავის ხელში აიღო პარლამენტს გარეთა პოლიტიკოსებმა, ვისთვისაც იგი „ძირითადი ხელობაა". ესენი არიან ან პოლიტიკური „მეწარმეები", როგორც ამერიკელი ბოსსი თუ ინგლისელი „election agent", ანდა მუდმივი ანაზღაურების მქონე მოხელეები. ფორმალურად მიმდინარეობს ყოველისმომცველი დემოკრატიზაცია. ამიერიდან პროგრამებს აღარ ადგენენ საპარლამენტო ფრაქციები, აღარც პატივცემული გვამები ახდენენ კანდიდატთა წამოყენებას; არამედ კანდიდატებს თავიანთ კრებებზე ირჩევენ ხოლმე პარტი-

ის ორგანიზაციულად გაერთიანებული წევრები და მათ უფრო მაღალი დონის შეკრებებზე გზავნიან; ასეთი შეკრებები კი ბლომად იმართება, ვიდრე საყოველთაო „პარტიული ყრილობა“ მოიწვეოდეს. მაგრამ ბუნებრივია, რომ ძალაუფლება ან იმათ ხელშია, ვინაც მუდმივადაა დასაქმებული პარტიულ წარმოებაში, ანდა — ვისზეც ეს წარმოება ფინანსურად თუ პირადადაა დამოკიდებული; ასეთებია მაგ. მეცენატები ან გრანდიოზულ პოლიტიკურ კლუბთა (Tammany Hall) ხელმძღვანელები. მთავარი ისაა, რომ ადამიანთა მთელს ამ აპარატს, „მანქანას“, როგორც მას შესანიშნავად უწოდეს ანგლოსაქსურ ქვეყნებში, ანდა პირს, ვინაც ამ მანქანას მართავს, ხელეწიფება, მორჩილებაში იყოლიოს პარლამენტარები და დიდწილად თავს მოახვიოს თავისი ნება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტიის ბელადის შერჩევის საქმეში. ბელადი მხოლოდ ის ხდება, ვისაც პარლამენტის გვერდის ავლითაც ემორჩილება ადამიანთა ეს აპარატი. სხვა სიტყვებით, ამ მანქანის გამოგონება მოასწავებს იმას, რომ დამდგარა ხანა პლებისციტური დემოკრატიისა.

რასაკვირველია, პარტიული ამალა, ყოველის უწინარეს კი პარტიული მოხელე და პარტიული მეწარმე თავიანთი ბელადის გამარჯვებისაგან პირად ჯილდოს გამოელის, სულ ერთია რა რჩნება ეს, თანამდებობა თუ სხვა რამ ხეირი. მთავარი კი ისაა, რომ ყოველივე ამას ბელადისაგან მოელიან და არა რომელიმე პარლამენტარისაგან, ან თუ მარტო მისგან. ყოველის უწინარეს ამალა იმედოვნებს, რომ დემაგოგიური ეფექტი მათი ბელადის პიროვნებისა წინასაარჩევნო ბრძოლაში ხმებსა და მანდატებს მოუპოვებს და ხელისუფლებაში გასელას უზრუნველუყოფს მათს პარტიას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ მომხრეთა შანსებს, მიიღონ დაგულვებული სარფა. პარტიულ მოხელესა და პარტიულ „მეწარმეს“ იდეალურ კმაყოფილებას ჰგვრის რწმენით ნასაზრდოები მსახურება პერსონულად მადლით ცხებული პიროვნებისა და არა პარტიის აბსტრაქტული პროგრამისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უამრავი არაფრით გამორჩეული პიროვნების

ერთობლივი ნამოღვაწარი; პარტიული აპარატის მამოძრავებელი ძალა ბელადობის სწორედ ეს „ხარიზმატული“ ელემენტია.

პარტიული ორგანიზაციის ეს ფორმა თანდათანობით იკაფავდა გზას ადგილობრივ პატივცემულ გვამთა და პარლამენტართა წინააღმდეგ გამუდმებული იდუმალი ბრძოლის შედეგად ყოველ ღონეს რომ ხმარობდნენ თავიანთი ზეგავლენის შესანარჩუნებლად. თავდაპირველად ეს ფორმა დამკვიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში, შემდგომ კი — გერმანიის სოციალურ-დემოკრატიულ პარტიაში. თუკი პარტია მოკლებული იყო საყოველთაოდ აღიარებულ ბელადს, მაშინ მას ხანგრძლივი კრიზისის ხანა უდგებოდა; მაგრამ ბელადის ყოლის დროსაც კი აუცილებელი ხდებოდა ხოლმე ათასგვარი დათმობა პარტიის პატივცემულ გვამთა პატივმოყვარეობისა და ანგარებიანობის წინაშე. გამორიცხული არც ის იყო, რომ პარტიულ მანქანას ის პარტიული მოხელეები დაპატრონებოდნენ, რომლებიც გეგმაზომიერად მუშაობდნენ ხოლმე აპარატის შიგნით. ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მიაჩნდათ, რომ მათი პარტია უკვე მოიცვა სრულმა „ბიუროკრატიზაციამ“. ამასობაში კი, პარტიული „მოხელეები“ შედარებით იოლად შეეთვისნენ ბელადის პიროვნების მძლავრ დემაგოგიურ ზეგავლენას, რაკი მათი მატერიალური და იდეალური ინტერესები ორგანულად იყო დაკავშირებული იმ შედეგებთან, რასაც პარტიული ძალაუფლება მოუტანდა; ხოლო ბელადისათვის გაწეულ შრომას უდი ეს ნეტარებად რაცხდნენ. ბელადად აღზევების გზა მეტადრე გაძნელებული იყო იქ, საცა ისე, როგორც ბურჟუაზიულ პარტიათა უმრავლესობაში; მოხელეებთან ერთად პარტიაზე ზეგავლენას „პატივცემული გვამებიც“ ინარჩუნებდნენ, რაკი მათს „ცხოვრებას“ იდეალურ საზრისს ანიჭებდა ხოლმე სწორედ ის პაწია თანამდებობები, პრეზიდიუმებსა თუ კოლეგიებში რომ ეჭირათ. „პატივცემული გვამები“ შურით აღძრულან დემაგოგის როგორც homo novus-ის მიმართ; მათი საქციელი განუსაზღვრავს იმას, რომ დარწმუნებული არიან თავიანთი პარტიულ-პოლიტი-

კური „გამოცდილების“ (რასაც, მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს) უპირატესობაში; შეშფოთება დაუფლებიათ ძველი პარტიული ტრადიციების მსხვრევისა გამო; პარტიის ყოველი ტრადიციონალისტური ელემენტი ხომ წყალს მათს წისქვილზე ასხამს; სასოფლო და წვრილბურჟუაზიული ამომრჩეველი უნდობლად ეკიდება უცნობ სახელებს და ანგარიშს მხოლოდ მისთვის ოდითგანვე ნაცნობ სახელებს უწევს პარტიულ პატივცემულ გვამებისა, რათა მათი კანდიდატურების გასვლის შემთხვევაში მეტადრე განამტკიცონ მათთან ურთიერთობა. რამდენიმე ძირითადი ნიმუშის განხილვის მეშვეობით თვალი მივადევნოთ ზემოთ დასახელებულ ორ სტრუქტურულ ფორმას შორის ბრძოლის, განსაკუთრებით კი პლებისციტური ფორმის აღზევების გზას, როგორც იგი ოსტროგორსკიმ აღწერა.

თავდაპირველად განვიხილოთ ინგლისური ნიმუში. 1868 წლამდე ინგლისური პარტიული სტრუქტურა თითქმის მთლიანად პატივცემულ გვამთა ორგანიზაციას ეფუძნებოდა. თორები ემყარებოდნენ სოფლად ანგლიკანურ მღვდლებს, ხშირ შემთხვევაში — სკოლის მასწავლებლებს, უპირატესად კი. შესაბამისი საგრაფოს მიწათმფლობელებს, ვიგების საყრდენი იყო უმთავრესად ნონკონფორმისტული მქადაგებელი (სადაც იგი არსებობდა), ფოსტის გამგე, მჭედელი, მკერავი, თოკების მგრეხავი და საერთოდ ისეთი ჯურის ხალხი, რომლებიც ყველაფერზე ლაყბობენ ხოლმე და ამიტომაც იოლია მათი მოქცევა პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ. ქალაქად კი მოსახლეობა სხვადასხვა პარტიაში გადანაწილდა ცალკერძ ეკონომიკური, ცალკერძ რელიგიური და ნაწილობრივ ოჯახებში ტრადიციად დამკვიდრებული შეხედულებების მიხედვით. მაგრამ პოლიტიკურ წარმოებას ყოველთვის პატივცემული გვამები უძღვებოდნენ ხოლმე; ესენი, თავიანთს მხრივ პარლამენტისა და პარტიათა კაბინეტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ; იმ კაბინეტისა, რომელსაც სათავეში „ლიდერი“ ედგა; იგი ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ან კიდევ ოპოზიციის მეთაური; ლიდერს გვერდში ედგა ხოლმე ე.წ.

„მხმობი“ (Whip), პირი, რომელიც პროფესიონალი პოლიტიკოსი იყო და პარტიული ორგანიზაცია ევალებოდა; თანამდებობრივი პატრონაჟი მის ხელთ იყო; ამიტომაც თანამდებობებზე დაგეშილთ მისთვის უნდა მიემართათ. იგი კი, თავის მხრივ ამ საკითხზე ცალკეულ საარჩევნო ოლქთა დეპუტატებს ეთათბირებოდა ხოლმე. ამასობაში, საარჩევნო ოლქებში დაიწყო ხანგრძლივი. პროცესი პროფესიონალ პოლიტიკოსთა ფენის ჩამოყალიბებისა; გაჩნდა ადგილობრივი აგენტის ფენომენი, რომლებიც თავდაპირველად ჯამაგირს არ ღებულობდა და დაახლოებით იგივე ადგილი ეკავა, რაც ჩვენში — „ნდობით აღჭურვილ პირს“. საარჩევნო ოლქების საჭიროებათა საფუძველზე წარმოიშვა აგრეთვე კაპიტალისტური მეწარმის ე.წ. „election agent“-ის ფიგურა, მისი გაჩენა განაპირობა ინგლისურმა კანონმდებლობამ, რომელსაც ევალებოდა არჩევნების სიწმინდის უზრუნველყოფა. იგი ცდილობდა კონტროლი დაეწესებინა საარჩევნო ხარჯებზე და წინაღდგომოდა ფულის ძალაუფლებას; ავალდებულებდა კანდიდატს ანგარიში წარედგინა იმის თაობაზე, თუ რა დაუჯდა არჩევნები; გარდა იმისა, რომ ხმა ჩაეხრინწა, კანდიდატი არც იმ სიამოვნებას იყო მოკლებული, რომ გვარიანი ხარჯიც გაეწია. საარჩევნო დანახარჯები კი ინგლისში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ოდესმე ჩვენში. Election agent-ის მეშვეობით კანდიდატს, მართალია, სრულიად უნაზლაურდებოდა გაღებული თანხა, მაგრამ ამისგან აგენტსაც გვარიანი სარგებელი ჰქონდა. პარლამენტს, „ლიდერსა“ და პარტიულ პატივცემულ გვამთა შორის მთელი ქვეყნის მასშტაბით ძალთა გადანაწილების მხრივ ინგლისში პირველობა ოდითგანვე „ლიდერს“ ეპყრა ხოლმე. ამას განაპირობებდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, პირველ ყოვლისა მისი უნარი, ეწარმოებინა დიდი და რაც მთავარია მუდმივი პოლიტიკა. მაგრამ ჯერ ისევ საგრძნობი იყო პარლამენტართა და პატივცემულ გვამთა ზეგავლენა.

დაახლოებით ამგვარად გამოიყურებოდა ძველი პარტიული ორგანიზაცია: სანახევროდ პატივცემულ გვამთა შეურნეობად, სა-

ნახევროდაც მეწარმეთა და მოხელეთა წარმოებად. ხოლო 1868 წლიდან ჯერ ბირმინგემში, შემდგომ კი მთელს ქვეყანაში ადგილობრივი არჩევნების ორგანიზების მიზნით ჩამოყალიბდა Causus-სისტემა. მას სული შთაბერა ერთმა ნონკომფორმისტულმა მღვდელმა და მასთან ერთად ჯოზეფ ჩემბერლენმა. ამ სისტემის შექმნის საბაბად იქცა საარჩევნო უფლების დემოკრატიზაცია. მასათა მისამხრობად აუცილებელი შეიქნა, დაეარსებინათ დემოკრატიული იერ-სახის მქონე გაერთიანებათა გრანდიოზული აპარატი; ქალაქის ყოველ კვარტალში გაემართათ საარჩევნო შენაერთები; ხოლო ერთიანი ბიუროკრატიზაციის განსახორციელებლად საჭირო შეიქნა უწყვეტი მუშაობა მთელი საარჩევნო წარმოებისა. ამასობაში, სულ უფრო მატულობს მუდმივი ანაზღაურების მქონე მოხელეთა რიცხვი ადგილობრივ საარჩევნო კომიტეტებში, რომლებიც ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის თითქმის 10% აერთიანებს. ეს მოხელეები, როგორც ფორმალური გამტარებლები პარტიის პოლიტიკისა, აღჭურვილნი არიან კოოპტაციის უფლებით და გვევლინებიან მთავარ შუაკაცებად პარტიასა და ამომრჩეველს შორის. მთელი პოლიტიკური წარმოების მამოძრავებელი ძალა კი ეს იყო ადგილობრივი წრეები, რომელთაც უპირატესად კომუნალური პოლიტიკა აინტერესებდათ; რაკი იგი მატერიალური სარფის ყველაზე მეტ შანსებს იძლევა, და რაკი ეს მოხელეებიც გვარიანად ხელის მოთბობას ესწრაფოდნენ ხოლმე; ახლად ფეხადგმულ ბიუროკრატიულ აპარატს, რომელსაც უკვე პარლამენტი აღარ მართავდა, ძალიან ადრე მოუხდა ადრინდელ მბრძანებლებთან; ყოვლის უწინარეს კი „მხმობთან" (whip) ომში ჩაბმა. მაგრამ ადგილობრივ დაინტერესებულ წრეებზე დამყარებით მან ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა, დაიმორჩილა „მხმობი" და აიძულა იგი თანამშრომლობაზე წასულიყო. ყოველივე ამის შედეგად მთელი ძალაუფლება ჯერ რამდენიმე პირის ხელში მოექცა, მერე კი ერთი პერსონის, პარტიის თავმჯდომარის ხელში გადავიდა. მაგრამ ლიბერალურ პარტიაში ახალი სისტემის ჩამოყალიბება ხელისუფლებაში გლადსტონის მოსვლას

უკავშირდება. ახლად შექმნილი აპარატის უსწრაფესი გამარჯვება პატივცემულ გვამებზე განაპირობა სწორედ გლადსტონისეული „დიდი“ დემაგოგის თავისებურმა ხიბლმა, მისი პოლიტიკის ზნეობრივ შინაარსსა, და ყოვლის უწინარეს, პირადად გლადსტონის პერსონის მაღალზნეობრიობაში ხალხთა მასების დარწმუნებულობამ. ჰორიზონტზე ისახებოდა პოლიტიკის ცეზარულ-პლებისციტური ელემენტი: საარჩევნო ბრძოლის ველის დიქტატორი. ამ მოვლენამ მალევე იჩინა თავი. 1877 წ. Causus-ი პირველად აამოქმედეს სახელმწიფო არჩევნებზე. იგი დასრულდა ბრწყინვალე შედეგებით, დიზრაელის სრული მარცხით მისი ეგოდენი აღზევების ჟამს. 1866 წლისათვის კი ეს ბუროკრატიული მანქანა იმ ზომად იყო ხარიზმატულად ორიენტირებული ერთ პიროვნებაზე, რომ როცა ჰომ-რულის საკითხი წამოიჭრა, არვის უკითხავს მთელს აპარატში ობიექტურად ვდგავართ თუ არა გლადსტონის პლატფორმაზეო; არამედ ყველამ ერთხმად მხარი აუბა გლადსტონის სიტყვას და განაცხადა, რასაც ენდა აკეთებდეს, ჩვენ მასთან ვართო. ასე უმუხთლა ამ აპარატმა თავის შემოქმედს, ჩემბერლენს.

ამ გრანდიოზულ ბიუროკრატულ მანქანას, რა თქმა უნდა სოლიდური პერსონული აპარატიც ესაჭიროებოდა. ინგლისში ყოველთვის მოიძევება 2000 კაცი უშუალოდ პარტიის პოლიტიკის ხარჯზე რომ ცხოვრობს. თანამდებობის მაძიებელთა თუ სხვაგვარად დაინტერესებულ პირთა სახით გაცილებით მეტი ხალხია დასაქმებული სათემო პოლიტიკაში. გერგილიან პოლიტიკოსს Causus-თან რომაა დაკავშირებული, გარდა მატერიალური გამდიდრებისა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების შანსიც ეძლევა, და „მომრიგებელი მოსამართლეობა“ თუ „პარლამენტის წევრობა“ ხომ ყოველი „ნორმალური“ პატივმოყვარეობის ბუნებრივი და უზენაესი მისწრაფებაა. ეს ბედნიერება წილად ხვდება კიდეც იმ ხალხს, ვინაც კარგი აღზრდა-განათლება მიიღო და პატივი აქვს „ჯენტლმენად“ იწოდებოდეს. მსხვილ ფინანსურ მეცენატეთა თვალში კი განსაკუთრებული მომხიბლაობით გამოიყურება პერ-

სპექტივა პერის წოდების დამსახურებისა; თუმც კი უნდა ითქვას, რომ პარტიათა ბიუჯეტების თითქმის 50% ანონიმ შემომწირველთა შემოწირულობებისაგან შედგება.

რა შედეგი მოჰყვა მთელი ამ სიტემის ამოქმედებას? ის, რომ დღევანდელი ინგლისელი პარლამენტარები კაბინეტის ორიოდე წევრის (და კიდევ რამდენიმე შერეკილის) გარდა წარმოგვიღგება როგორც სანიმუშოდ გაწვრთნილი ჯოგი, რომლის საქმიანობაც მხოლოდ და მხოლოდ ხმის მიცემით ამოიწურება. ჩვენთან კი, რაიხსტაგში პარლამენტარები მხოლოდ პირადი კორესპოდენციების გარჩევით არიან დაკავებულნი და თავი ისე მოაქვთ თითქოსდა ქვეყნის სამსახურში ათენებ-აღამებდნენ. ამნაირი ჟესტები ინგლისში საჭირო არ არის; პარლამენტის წევრს მოეთხოვება მხოლოდ, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს და პარტიას არ უმუხთლოს; გამოცხადდეს „მხმობს“ დაძახილზე და მერე ის აღასრულოს, რასაც კაბინეტი ანდა ოპოზიციის ლიდერი დაავალებს. და მთელი ქვეყნის მომცველი ეს Causus-მანქანა თითქმის მთლიანად უპრინციპოა და ლიდერის ნება-სურვილსაა დამორჩილებული; მით უფრო, თუკი ეს ლიდერი ამავე დროს ძლევამოსილი ბელადიცაა. ამრიგად, პარლამენტზე ფაქტიურად ბატონობს პლებისციტური დიქტატორი, რომელსაც ამ „მანქანის“ წყალობით თავის ირგვლივ დაურაზმავს ხალხთა მასები; და ამდენად პარლამენტარები მისთვის მხოლოდ ის ხალჩია, ვისთვისაც პოლიტიკური თავშესაფარი მიუცია და თავის ამალაში ჩაურიცხავს.

მაგრამ როგორ და რა უნარის მიხედვით ხდება ხოლმე ბელადთა შერჩევა? რა თქმა უნდა, ამ საქმეში გადამწყვეტია დემამოგიური სიტყვის ძალა. თუმც კი სიტყვის აგების პრინციპი დროდადრო იცვლებოდა ხოლმე; კობდენის სიტყვაში განსჯითი ბირთვი სჭარბობდა; ხოლო გლადსტონმა მას გარეგნულად მოზომილი ელფერი მიანიჭა, აქაოდა „თავათ ფაქტებმა ილაპარაკონო“. დღესდღეობით კი ხსნის არმიის მესვეურთა დარად, პოლიტიკოსებიც წმინდად ემოციურ საშუალებებს მიმართავენ ხოლმე

ხალხთა მასების ასამოძრავებლად. არსებულ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს „დიქტატურა, რომელიც მასათა ემოციონალობის გამოყენებას ეფუძნება“. მაგრამ ინგლისის პარლამენტში ძალზე განვითარებული საკომისიო მუშაობა არათუ შესაძლებლობას აძლევს, არამედ აიძულებს კიდეც ყოველ პოლიტიკოსს, ვინაც მართვაში მონაწილეობას ესწრაფვის, კომისიებშიც იმუშაონ. ბოლო ათწლეულის ყველა ფვალსაჩინო მინისტრი ასეთი რეალური და ქმედითი საკომისიო მუშაობის სკოლაშია გაწვრთნილი; ხოლო კომისიებში დანერგილი ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა და შესაძლებლობა მისი კრიტიკისა საზოგადოებრიობის მიერ განაპირობებს იმას, რომ ეს სკოლა ნამდვილ შერჩევას აწარმოებს და გამორიცხავს წმინდაწყლის დემაგოგთა აღზევებას.

ასე იყო ინგლისში. მაგრამ იქაური caiisus-სიტემა შერბილებული ფორმაა ამერიკულ პარტიულ ორგანიზაციასთან შედარებით, რომელმაც ბევრად უთრო ადრე და მეტადრე წმინდად წამოაყენა პლებისციტური პრინციპი. იდეის თანახმად ვაშინგტონის ამერიკა უნდა ყოფილიყო ისეთი კრებითი არსი (Gemeinwesen), რომელსაც „ჯენტლმენები“ მართავენ. იმ დროისათვის, ამერიკაში ჯენტლმენებად იწოდებოდა მიწათმფლობელი, ან პირი რომელსაც განათლება კოლეჯში ჰქონდა მიღებული. თავდაპირველად ყველაფერი იდეის მიხედვით ხდებოდა. პარტიების ჩამოყალიბების შედეგად წარმომადგენლობითი პალატის წევრებმა ისევე, როგორც ინგლისში პატივცემულმა გვამებმა, თავიდანვე გააკეთეს ქვეყნის მართვაზე განაცხადი. მაგრამ პარტიული ორგანიზაციის საფუძველი ამერიკაში, ერთობ არამყარი იყო. ასე გაგრძელდა 1824 წლამდე. პარტიული მანქანის მშენებლობა ზოგიერთ ამერიკულ თემში (რომლებიც აქაც თანამედროვე ტენდენციათა კერა იყო) ჯერ კიდევ ოციან წლებში დაიწყო. მაგრამ ძველ ტრადიციებს ბოლო მოეღო მხოლოდ მას შემდგომ, რაც პრეზიდენტად ანდრიუ ჯეკსონი, დასავლეთის გლეხთა კანდიდატი აირჩიეს. ხოლო 1840 წელს, მალევე მას მერე, რაც პოლიტიკური ასპარეზი დატოვეს დიდმა პარლამენტარებმა კოლპაუნმა და ვებ-

სტერმა ფორმალურად დასრულდა პარტიათა მართვა წამყვანი პარლამენტარების მიერ; რაკი პარლამენტმა პარტიული მანქანის საპირისპიროდ თითქმის ყოველგვარი ძალაუფლება დაკარგა. პლებისციტური „მანქანის“ ადრიანი ამუშავება ამერიკის შეერთებულ შტატებში იმან გამოიწვია, რომ სწორედ ამერიკაა ის ერთადერთი ქვეყანა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და თანამდებობრივი პატრონაჟის უფროსიც პლებისციტურად არჩეული პრეზიდენტია, რომელიც „ხელისუფლების განაწილების“ საფუძველზე სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულებისას თითქმის არაა დამოკიდებული პარლამენტზე. შემოსავლიან თანამდებობათა ვითარცა ნადავლის დატაცება კი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების სა^ღაურის წარმოდგენა ხოლმე. სწორედ ეს შედეგი მოჰყვა იმას,. რომ ანდრიუ ჯექსონმა ე.წ. Spoils System სისტემური პრინციპის რანგში აიყვანა.

რა როლს თამაშობდა spoils system, გინა გამარჯვებული კანდიდატის მიერ თავისი ამალის დასაჩუქრება ფედერალური თანამდებობებით, პარტიათა ჩამოყალიბების საქმეში? იმას, რომ საბოლოოდ ერთმანეთის პირ ^პირ დადგენ სავსებით გონებაარეული პარტიები და თანამდებობზე დაგეშილი ორგანიზაციები, რომელთა პროგრამები ცალკეულ საარჩევნო ბრძოლაში წამდაუწუმ იცვლება ხოლმე იმის მიხედვით, თუ ხმათა მონადირების რა შანსებს ფლობს თითოეული მათგანი; ცვლილებები მართალია სხვაგანაც ხდება, მაგრამ ეგზომი, რაც ამ პროგრამებში — არსად. პარტიები მთელი არსებით მისცემიან საარჩევნო ბრძოლას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფედერაციის პრეზიდენტობის ან ცალკეულ შტატთა გუბერნატორობის მოსაპოვებლად. პროგრამებსა და კანდ ^დატებს პარლამენტართა ჩაურევლად ამტკიცებენ ხოლმე პარტიების „ნაციონალურ კონვენციებზე“; ეს იგივე პარტიული ყრილობაა, რომელზეც დელეგატებს აგზავნის წარმომადგენლობითი კრება. ფორმალურად ყველაფერი ძალზე გადემოკრატიულებულია, რაკი ეს დელეგეტებიც თავიანთს მანდატებს ე.წ. „primaries“, ანუ პარტიულ ამომრჩეველთა პირველა-

დი კრებების წყალობით იღებენ ხოლმე, უკვე ე.წ. „primaries"-ზე ირჩევენ დელეგატებს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მათი კანდიდატურის დასასახელებლად; თითოეულ პარტიაში გააფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული „nomation"-ის გამო; რაკი მთლიანად პრეზიდენტზეა დამოკიდებული 300000-400000 მოხელის დანიშვნა სხვადასხვა თანამდებობებზე. ამ საქმეში მის გარდა მონაწილეობას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ შტატთა სენატორები; ისე რომ სენატორები ძლევამოსილი პოლიტიკოსები არიან; მათთან შედარებით წარმომადგენლობითი პალატა ძალაუფლების არმქონეა, რაკი მას აღკვეთილი აქვს თანამდებობრივი პატრონაჟის უფლება. ხოლო მინისტრი მხოლოდ და მხოლოდ დამხმარეა პრეზიდენტისა, რომელსაც ლეგიტიმურობას ხალხი ანიჭებს და არა სხვა ვინმე, თუნდაც პარლამენტი; ამიტომ მინისტრს, მიუხედავად წარმომადგენლობათა პალატის მიერ ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებისა შეუძლია, აღასრულოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობანი. ეს არის სწორედ შედეგი „ძალაუფლების განაწილებისა".

„ძალაუფლების განაწილებაზე" დამყარებული Spoils system ტექნიკურად შესაძლებელი გახდა, რაკი ამერიკულმა კულტურამ თავისი ახალგაზრდობის გამოისობით შეძლო, აეტანა მეურნეობის ყოვლად დილეტანტური მართვა-გამგეობა. რასაკვირველია, 300000-400000 ისეთი პარტიული კაცის არსებობა, რომელთაც არა ჰქონდათ სხვა რამ კვალიფიკაცია, თუ არა პარტიის ერთგული სამსახური, არ ჩაივლიდა კორუფციის, ფლანგვისა და სხვა საზარელ მანკიერებათა გარეშე, რომელთა გაძლებაც მხოლოდ განუსაზღვრელი ეკონომიკური შესაძლებლობის ქვეყანას შეეძლო.

პლებისციტურმა პარტიულმა სისტემამ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე წამოატივტივა ბოსის ფიგურა. ვინ არის იგი? — კაპიტალისტი პოლიტიკური მეწარმე, რომელიც გაბედულად ეძიებსა და იხვეჭს საარჩევნო ხმებს. იგი შეიძლება იყოს ადვოკატი, სამეკიტნოს ან სხვა რამ ამგვარი დაწესებულების მე-

პატრონე, ანდა კრედიტორი, ერთი სიტყვით კაცი, რომელიც პირველ საქმიან კონტაქტებს თავის საწარმოშივე ამყარებს; მერე კი უფრო და უფრო ანერცობს ნაცნობთა საქმოსნურ წრეს, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოჩნდება, რომ საარჩევნო ხმათა განსაზღვრული რაოდენობის გაკონტროლება ხელეწიფება. ამის შემდგომ იგი უკავშირდება მეზობელ ბოსებს, აღწევს იმას, რომ თავისი მუყაითობით, გერგილიანობითა, და ყოველის უწინარეს, თავაზიანობით დაიმსახუროს იმათი პატივისცემა, ვინაც თანამდებობრივად უკვე საკმაოდ დაწინაურებულა და ახლა უფროორე მაღლა მიიწევს. ისე, რომ ბოსი პარტიული ორგანიზაციის აუცილებელი ელემენტია. უფრო მეტი, ამ ორგანიზაციის სადავეები ხელთ მას ერთს უპყრია, რაკი საამისო ძირითად სახსრებს თვითვე შოულობს. მაგრამ რა გზით ახერხებს ამას? ცალკერძ, საწევრო შენატანებით, ყოველის უწინარეს კი იმ მოხელეთა ჯამაგირის დაბეგვრით, სამსახურში ბოსისა და მისი პარტიის მეოხებით რომ მოწყობილან; ცალკერძ, ქრთამითა და ფეშქაშით. გარდა ამისა, თუკი ვინმეს სურს დააარღვიოს რომელიმე უამრავ კანონთაგანი, ამაში ბოსის ხელშეწყობაა საჭირო, რისთვისაც იგი საზღაურს იღებს ხოლმე; თუ არადა კანონის დამრღვევს სასჯელი არ ასცდება. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არაა საკმარისი აუცილებელი კაპიტალის მოსაგროვებლად; ამიტომაც იგი აბსოლუტურად უბადლო ფიგურაა მსხვილი ფინანსური მაგნატებიდან ფულის აკრეფის საქმეში; ისინი ხომ საარჩევნო მიზნებისათვის არასგზით ფულს არ ანდობენ ხოლმე ჯამაგირის მქონე არც ერთ პარტიულ მოხელესა, თუ საზოგადოებრივად ანგარიშვალდებულ სხვა რომელიმე პირს. და რაღა საკვირველია, რომ ბოსი ფინანსურ საქმეებში თავისი ჭკვიანური სიდარბაისლით კაპიტალისტთა იმ წრის ადამიანია, რომელიც არ ზევნებს აფინანსებს. ტიპიური ბოსი ანგარიშიანი კაცია; იგი არ ესწრაფვის სოციალურ პატივს; რაკი „მაღალ საზოგადოებაში“ „პროფესიონალს“ ათვალისწუნებით უყურებენ ხოლმე; მას ნებავს მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლება, მაგრამ ძალაუფლება არა მარტო ძალაუფლების გულის-

თვის, არამედ როგორც შემოსავლის წყარო. ბოსი ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებს, სწორედ ეს განასხვავებს მას ინგლისური ლიდერისაგან. იგი არ წარმოთქვამს საჯარო სიტყვას; დუმს, მაგრამ თავადაა ის, ვინაც ორატორს გამიზნულ სიტყვას შთააგონებს. იგი არ იკავებს ხოლმე არანაირ თანამდებობას, თვინიერ სენატორის პოსტისა ფედერალურ სენატში; და ხელმძღვანელი ბოსი თანხმდება ამ ორგანოში პერსონულ წარმომადგენლობაზე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ კონსტიტუციის თანახმად სენატორს ენიჭება უფლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობრივი პატრონაჟის განხორციელებაში. მართალია, თანამდებობათა ჩამორიგება პარტიის წინაშე დამსახურების პრინციპის თანახმად ხორციელდება, მაგრამ ხშირია სარფიანი გარიგების შემთხვევებიც; უფრო მეტი, ცალკეულ თანამდებობებზე დაწესებული იყო გარკვეული მაზანდა. ისე რომ მოქმედებდა თანამდებობათა ფულზე ყიდვის ის სისტემა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული XVII–XVIII საუკუნეების მონარქიებში თვით პაპის სამეფოს ჩათვლითაც კი. ბოსს არა აქვს ურყევი პოლიტიკური „პრინციპები“; იგი სრულიად უპრინციპო ადამიანია და მხოლოდ ერთი რამ ანაღვლებს: რა გზით მოიხვეჭოს საარჩევნო ხმები. უმეტეს შემთხვევაში იგი არც თუ კარგად აღზრდილი პიროვნებაა; მაგრამ პირად ცხოვრებაში უზადოა და კორექტული. პოლიტიკური ეთიკის თვალსაზრისით იგი კარგად მორგებია ზნეობრივობის საშუალო დონეს და ისე ცხოვრობს, როგორც მრავალი ჩვენთაგანი იძულებული იქნებოდა, ეცხოვრა ეკონომიკური ეთიკის იმ პირობებში, რომელსაც ყალთაბანდებისა და თაღლითების ბატონობა ამყარებს; არაფრად მიაჩნია ის, რომ მას, როგორც „პროფესიონალსა“ და პროფესიონალ პოლიტიკოსს საზოგადოება ზიზღით უყურებს. მაგრამ იმ ფაქტს, რომ ბოსი არ იკავებს და არც სურს დაიკავოს მაღალი ფედერალური თანამდებობანი ერთი უპირატესობაც თან ახლავს; კერძოდ კი ის, რომ არც თუ იშვიათად საარჩევნო სიებში შეჰყავთ არა ის ხალხი, ვინც მხოლოდ პარტიის წევრობის დიდი ხნის სტაჟით ფასობს,

როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე, არამედ — პარტიულად სრულიად უცხო ინტელიგენტები, გინა გამოჩენილი პირები; თუ, რასაკვირველია ბოსი დარწმუნებულია იმაში, რომ ამით ამომრჩეველთა თვალში გაიზრდება პარტიის ხიბლი. სწორედ ასეთი უპრინციპო პარტიული სტრუქტურა და მისი ის ხელისუფალნი, რომელთა მიმართ საზოგადოება ზიზღით გამსჭვალულა, განაპირობებს იმას, რომ ამერიკაში პრეზიდენტობისაკენ გზას ადვილად იკაფავს ხოლმე გაქექილი პიროვნება, ვინაც ჩვენში ასეთ რაშეს სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა. მიუხედავად ამისა, ბოსი წინააღმდეგია აუტსაიდერის, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის ფულებსა და ძალაუფლებას. მაგრამ კონკურენტებთან ბრძოლის მოგებისა და ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით იგი ხშირად დიდსულოვნად თანხმდება ხოლმე კანდიდატებად ისეთი პირები წამოაყენონ, კორუფციასთან ბრძოლით რომ გაუთქვამთ სახელი.

ამრიგად, ამერიკული პარტიული სისტემა ესაა მძლავრი კაპიტალისტური, თავიდან ბოლომდე მკაცრად ორგანიზებული წარმოება, რომელიც ემყარება tammany Hall-ის ტიპის, უკიდურესად მკაცრსა და ორდენის ყაიდაზე მოწყობილ კლუბებს, რომელთა ერთადერთი მიზანიცაა სარგებლის მოხვეჭა პოლიტიკური გაბატონების გზით; ყოვლის უწინარეს ისინი ესწრაფვიან, ხელში ჩაიგდონ კომუნალური სამმართველოები, რომლებიც ამერიკაშიაც, ისევე როგორც ჩვენთან ექსპლუატაციის უმთავრეს ობიექტებს წარმოადგენენ. პარტიული ცხოვრების ასეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახადა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ერთგვარი „ყამირი ქვეყნის“ მაღალგანვითარებულმა დემოკრატიამ. ამავე გარემოებამ განაპირობა ის, რომ ამჟამად ეს სისტემა სარბიელს ტოვებს. შეუძლებელია, ამერიკა კვლავაც დილეტანტებმა მართონ. ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ თუკი ამერიკელს ჰკითხავდი რატომ ეგუები, გმართოს ისეთმა პირმა, ვის აუტანლობასაც თვითვე აღიარებო, მოგიგებდა: „მირჩევნია მყავდეს ისეთი მოხელე, რომელსაც როცა მომესურვება

შევაფურთხებო, ვიდრე თქვენსავით კასტა გვმართავდეს რომელიც აქეთ იფურთხებაო". ასეთი იყო ამერიკული დემოკრატიის ძველი თვალსაზრისი: თუმცა სოციალისტები იმ დროშიაც სხვაგვარად ფიქრობდნენ. დღესდღეობით კი ასეთი მდგომარეობა ყოველად მოუთმენელია. დილეტანტური მმართველობა აღარაა საკმარისი; ამიტომაც Civil Service Reform შედეგად სულ უფრო მატულობს ისეთ თანამდებობათა რაოდენობა, რომელთა მუდმივობასაც საპენსიო სისტემა განაპირობებს; გარდა ამისა, სახელმწიფო სამსახურში სულ უფრო მეტად შედიან უნივერსიტეტში განსწავლული მოხელენი, რომლებიც ისევე მუყაითად და უზადოდ ასრულებენ თავიანთს მოვალეობას, როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე. დაახლოებით 100 000 პოსტი აღარ ითვლება საარჩევნო ლაშქრობათა „ნადავლად", არამედ საპენსიო უზრუნველყოფასაც გულისხმობს და მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობასაც საჭიროებს. ასეთი მიდგომა თანდათანობით განდევნის Spoils System და პარტიული ხელმძღვანელობის სტრუქტურასაც შეცვლის, ოღონდ ჯერჯერობით უცნობია რა ფორმით ჩამოყალიბდება იგი.

პოლიტიკური წარმოების ის უმთავრესი პირობები, რომელიც გერმანულ პარტიულ ორგანიზაციას განაპირობებდა, არსებითად შემდეგი სახისაა; ჯერ ერთი, პარლამენტი იყო ძალაუფლებას მოკლებული; რის გამოც მასში მოხვედრას ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა ბელადური თვისებებით აღჭურვილი პირი. მაგრამ დაუშვათ და მოხვედრილიყო, რა უნდა გაეკეთებინა იქ? მხოლოდ ის, რომ თუ კი კანცელარიაში რომელიმე ადგილი გამოთავისუფლდებოდა, მისულიყო შესაბამისი სამმართველოს უფროსთან და ეთქვა: „ჩემს საარჩევნო ოლქში ერთი ვარგებული კაცი მყავს, ეგება სამსახურში მიგეღოთო"; და ამ კაცს სიამოვნებით იღებდნენ ხოლმე. სულ ეს იყო, რისთვისაც შეიძლებოდა მიეღწია გერმანელ პარლამენტარს თავისი ძალაუფლების ინსტინქტის დასაკმაყოფილებლად; თუ, რაღა თქმა უნდა, ასეთი რამ მას ჰქონდა; მეორეც ის, რომ გერმანიაში არნახული

მნიშვნელობა შეიძინა განსწავლულმა მოხელეობამ; სწორედ ეს მეორე მომენტი განაპირობებდა პირველსაც. ამ მხრივ ჩვენ მსოფლიოში პირველნი ვიყავით. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ განსწავლული მოხელეობა ჩვენში არა მარტო ამა თუ იმ დარგის ზედამხედველობაზე, არამედ მინისტრთა პოსტებზეც კი აკეთებდა განაცხადს. ამიტომაც გასულ წელს ბავარიის ლანდტაგში, როცა იქ პარლამენტარიზაციის საკითხი ირჩეოდა, ხმამაღლა ითქვა: ნიჭიერი ადამიანები არ დადგებიან მოხელეებად, თუკი მინისტრებად კვლავაც პარლამენტარები დაინიშნებიანო. გარდა ამისა, გერმანული სამოხელეო სამმართველო გამუდმებით თავს არიდებდა ხოლმე იმგვარ კონტროლს, რაც არსებობს ინგლისში მისი მუშაობის ანგარიშის საპარლამენტო კომისიაზე მოსმენის სახით; ეს ვითარება კი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საშუალებას არ აძლევდა პარლამენტს თავისი წიაღიდან ამოეზარდა სამმართველოთა ნამდვილად ვარგებული უფროსები.

პოლიტიკური წარმოების მესამე პირობა გერმანიაში ის იყო, რომ ამერიკისგან განსხვავებით, ჩვენში პრინციპული პარტიები არსებობდნენ, რომლებიც სულ ცოტა სუბიექტური Bona fides-ით (გულწრფელობით) მაინც ამტკიცებენ, რომ მათი წევრები გარკვეულ მსოფლმხედველობას იზიარებენ. ორი უმთავრესი პარტიათაგანი, ერთი მხრივ ცენტრის პარტია, მეორე მხრივ კი — სოციალ-დემოკრატია ჰეშმარიტად უმცირესობის პარტიებს წარმოადგენდნენ; და საქმე ისაა, რომ განზრახ, პრინციპულად რჩებოდნენ ამ პოზიციაზე. ცენტრის პარტიის მმართველ წრეებს რაიხში არასოდეს დაუმალავთ, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან პარლამენტარიზმისა, რაკი ეშინიათ იმისა, რომ საპარლამენტო უმცირესობაში აღმოჩნდებიან და გაუჭირდებათ ისევ ძველებურად, მთავრობაზე დაწოლვის მეთოდით დააკმაყოფილონ თანამდებობის მაძიებელთა მადა. სოციალ-დემოკრატია კი უმცირესობის პრინციპულ პარტიად რჩებოდა, რაკიღა არ სურდა გასვრილიყო არსებულ სამოქალაქო-პოლიტიკურ წყობასთან თანამშრომლობით. პარლამენტარიზმი შეუძლებელი შეიქმნა გერმანია-

ში სწორედ იმის გამო, რომ ამ ორმა პარტიამ პრინციპულად არ მოისურვა საპარლამენტო სისტემაში მონაწილეობა.

რაღა უნდა ექნათ გერმანელ მოწოდებით პოლიტიკოსებს? მათ არც ძალაუფლება ჰქონდათ, არც პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, პატივცემულ ხელქვეითთა ერთობ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ და გამუდმებით ამქრულ ინსტინქტთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ადამიანთა ეს წრე, რომლებიც თავიანთ წუთისოფელს ამ უმნიშვნელო პოსტებზე ლევდნენ, არასოდეს დაუშვებდა ვინმე ისეთი კაცის დაწინაურებას, ბუნებრივი მონაცემებით მათ რომ ბევრად აღემატებოდა. მე შემიძლია ნებისმიერი პარტიიდან, და რა თქმა უნდა სოციალ-დემოკრატიიდანაც, ბელადის თვისებებით შემკობილი უამრავი ადამიანი დაგისახელოთ, რომელთა პოლიტიკური გზაც სიმბოლურად გამოხატავს საერთოდ ბელადური ნატურის ტრაგედიას, რაც მას თავს ატყდებოდა ხოლმე ამ ხალხის მხრივ ზიზღის გამოისობით. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც, ამქრად ქცევის ეს გზა ყველა გერმანულმა პრატიამ გამოიარა. ბებელი მაგ., რაგინდ მწირი ყოფილიყო მისი ინტელექტი, მაინც ბელადი იყო თავისი ტემპერამენტითა და გულწრფელობით. ის იყო წამებული, რომელსაც არასოდეს გაუცრუებია მასების ნდობა (მათ თვალში მაინც), ამიტომაც ყოველთვის გრძნობდა მათს მხარდაჭერას და პარტიაში არავინ არსებობდა ისეთი, ვისაც შეეძლო მისთვის რამდენადმე მაინც სერიოზული კონკურენცია გაეწია. მაგრამ ბებელთან ერთად ჩვენში პარტიული ორგანიზაციის ეს ფორმაც მოკვდა; დადგა ხანა მოხელეთა ბატონობისა. ხელმძღვანელ პოსტებზე სულ უფრო მეტად დაწინაურდა პროფკავშირული მოხელეები, პარტიული მდივნები და ჟურნალისტები; ერთი სიტყვით, სარბიელზე გამოვიდა უაღრესად ღირსეული მოხელეობა; მართალია, ეს მოხელენი გამორჩეული ღირსების პქონენი იყვნენ, თუ მათ შევუდარებთ სხვა ქვეყნის, უპირატესად კი ამერიკის სინდისგარეცხილ პროფკავშირულ მოხელეებს; მაგრამ პარტიაში სულ მეტად იკიდებდა ფეხს მოხელეთა ბატონობის შედეგები, რაც ზემოთ გავარჩიეთ.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, ბურჟუაზიული პარტიები საბოლოოდ გარდაიქმნენ პატივცემულ გვამთა ამქრებად. „სარეკლამო მიზნები“ მათ. მართალია დრო და დრო აიძულებდა, არაპარტიული ინტელიგენტები მოეზიდათ, რათა შემდგომ შეძლებოდათ თქმა: „ჩვენს პარტიაში ესა და ეს სახელგანთქმული კაციაო“; მაგრამ მთელი მონდომებით ცდილობდნენ, რომ სწორედ მათთვის არ მიეცათ საშუალება არჩევნებში მონაწილეობისა; და ყოველთვის ახერხებდნენ კიდეც ამას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხსენებული ინტელიგენტები მაგრად იდგნენ და თავს არ აჩაგვრინებდნენ. პარლამენტშიც იგივე სულისკვეთება სუფევდა. ჩვენი საპარლამენტო პარტიები ადრეც ამქრები იყვნენ და დღესდღეობითაც ამქრებად რჩებიან. ყოველი სიტყვა, რომელიც რაიხსტაგის პლენუმზე წარმოითქმება, წინასწარაა გამოწვლილივით გარჩეული პარტიულ კრებაზე; ამიტომაცაა იგი უსაშველო მოწყენილობის მომგვრელი. სიტყვა მხოლოდ იმას ეძლევა, ვისაც წინდაწინვე ნიშნავენ ორატორად. ძნელი წარმოსადგენია უფრო მეტი განსხვავება როგორც ინგლისური, ისე ფრანგული საპარლამენტო წეს-ჩვეულებებიდან; თუმცა საფრანგეთის პარლამენტისაგან განსხვავებას სრულად სხვა მიზეზები განაპირობებენ.

ძალუმმა ნგრევამ, რომელსაც რევოლუციას უწოდებენ ხოლმე, სადღეისოდ ეგების ყველაფერი შეცვალოს; მაგრამ უეჭველად კი არა, ეგების შეცვალოს-მეთქი. ყოვლის უწინარეს ამას გვაფიქრებინებს ის, რომ შეინიშნება პარტიული აპარატის ახალ სახეობათა აღმოცენების ნიშნები. ჯერ ერთი — ესაა აპარატი, რომელშიც გაერთიანებულია მოყვარული პოლიტიკოსები; მათ როლში ძალზე ხშირად გვევლინებიან სხვადასხვა უმაღლესი სკოლის სტუდენტები; ისინი მიდიან ხოლმე მათ მიერ ბელადად შეგულვებულ პირთან და სთავაზობენ: გვითხარით რისი გაკეთებაა საჭირო და შეგისრულებთო. მეორე ესაა, საქმოსანი კაცების აპარატი. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ ეს კაცები მისულან პირთან, რომელიც ბელადად მიუჩნევიათ და მის წინაშე აუღიათ ვალდებულება ამომრჩეველთა ვერბირების უზრუნველყოფისა,

თითოეული საარჩევნო ხმისთვის მტკიცე ანაზღაურების სანაცვლოდ. თუკი ჩემგან მოითხოვდით, ალალად მეპასუხნა თქვენს შეკითხვაზე: წმინდა ტექნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ორი აპარატიდან რომელს მიიჩნევდით უფრორე საიმედოთო, მე ალბათ უპირატესობას მეორეს მივანიჭებდი. ისე კი, ორივე მათგანი მეტად უდღეური წარმონაქმნი აღმოჩნდა. ნამდვილად კი — არსებულ აპარატში შესაკრებთა უბრალო ადგილგადანაცვლება მოხდა, არსებითად იგი ისევ ძველებურად განაგრძობდა სიცოცხლეს. ხსენებული მოვლენები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ პარტიული აპარატის ახალ ნაირსახეობათა წარმოქმნა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ბელადის არსებობაზე. მაგრამ პროპორციული საარჩევნო უფლების ტექნიკურ თავისებურებებს უკვე ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელი გაეხადა მისი აღზევება. ხანდახან თავს წამოყოფდა ხოლმე და უმალვე უჩინარდებოდა ქუჩის თითო-ოროლა დიქტატორი; ეს იყო და ეს. ამ მსწრაფლწარმავალ უმცირესობათა ძალაუფლების სათავე სწორედ ისაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქუჩის დიქტატორის ეს ამალაა შედუღაბებული მკაცრი დისციპლინით.

ვთქვათ, ვითარება შეიცვალა და პარტიათა ხელმყღვანელებად მოგვევლინენ პლებისციტური ბელადები, მაშინ ზემოთქმულის თანახმად ცხადია, რომ მოხდება ამალის „სულიერობისაგან დაცალიერება“, გნებავთ, მისი ერთგვარი პროლეტარიზება. იმისათვის, რათა ბელადის აპარატად გამოდგეს, იგი იძულებული შეიქნება ბრმად დაემორჩილოს მას, იქცეს მანქანად ამ სიტყვის ამერიკული გაგებით; ე. ი. მანქანად, რომლის გამართული მუშაობაც გამორიცხავს, როგორც პარტიულ პატივცემულ გვამთა ამპარტაენობას, ისე მათს პრეტენზიებს იქონიონ პირადი შეხედულებანი. ლინკოლნის არჩევა პრეზიდენტად პარტიული ორგანიზაციის სწორედ ამ თავისებურებამ განაპირობა, ხოლო — გლადსტონისა, როგორც უკვე ითქვა, შესაძლო გახდა Causus საფუძველზე. ბელადის მიერ პარტიის წინამძღოლობის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მას

პრეზიდენტად ირჩევენ. ამრიგად, ერთადერთი არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან ბელადური დემოკრატია „მანქანიოურთ“, ანდა უბელადო დემოკრატია. ეს უკანასკნელი ისეთი ხალხის ბატონობას მოასწავებს, რომელნიც „ხელობით პოლიტიკოსები“ კი არიან, მაგრამ საამისო მოწოდება არ გააჩნიათ, რაკი მოკლებულნი არიან ბელადობისათვის აუცილებელ ხარიზმატულ თვისებებს. ამიტომაც, ეს მდგომარეობა პარტიული ქაოსის სახელს იმსახურებს და „ხროვის“ ბატონობის მომასწავებელია. გერმანიაში დღესდღეობით სწორედ ასეთი ქაოსია გამეფებული. ერთ მშვენიერ დღეს რაიხი ისევ აღადგენს ფედერალურ საბჭოს, ეს კი გამოიწვევს რაიხსტაგის ძალაუფლების შესუსტებას და მეტადრე დააკნინებს მის როლს ბელადთა შერჩევის საქმეში; ეს კი ქაოსის შენარჩუნებისა და გაღრმავების ხელშემწყობად მოგვეევლინება. გარდა ამისა, პროპორციული საარჩევნო სისტემა ტიპური გამოვლინებაა უბელადო დემოკრატიისა; და ეს ასეა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს პარტიულ პატივცემულ გვამებს, რათა მათ მალულად აწარმოონ ბინძური თანამდებობრივი გარიგებანი; არამედ იმიტომაც, რომ დაინტერესებულ პირთა ამხანაგობებს იგი საშუალებას აძლევს, მოახერხონ თავიანთი მოხელეების შეყვანა საარჩევნო სიებში, რაც საბოლოოდ განაპირობებს კიდეც არაპოლიტიკური პარლამენტის ჩამოყალიბებას; — პარლამენტისა, რომელისაც არაფრად ესაჭიროება ბელადი. თუმცა ბელადის საჭიროება შესაძლოა, რამდენადმე მაინც დააკმაყოფილოს რაიხსპრეზიდენტმა, თუკი მას აირჩევს არა პარლამენტი, არამედ პლებისციტი, ასევე შეიძლება ბელადის შერჩევა მისი უნარების კონკრეტულ საქმეში შემოწმების გზით; როცა მაგ., ქალაქის პლებისციტურ დიქტატორს უფლება ენიჭება პირადად ჩამოაყალიბოს თავისი ბიურო, რათა შედეგიანი ბრძოლა აწარმოოს კორუფციის წინააღმდეგ; როგორც ეს ხდება ხოლმე ხალხთა ისეთ უზარმაზარ ერთობაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ ეს გამოიწვევდა პარტიათა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ამგვარ შერჩევას მიესადაგება; ოღონდ ის ფაქტი, რომ ჩვეში ყვე-

ლა პარტია და მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც ბელადობისადმი წმინდაწყლის წვრილბურჟუაზიული მტრობითაა გამსჭვალული. ბურუსში ჰხვევს მათი ახლებური ორგანიზაციის პერსპექტივებს.

ამიტომ დღესდღეობით სრულიად შეუძლებელია იმის წინასწარი განჭვრეტა, თუ საბოლოოდ რა გარეგნული ფორმით ჩამოყალიბდება პოლიტიკური წარმოება, ვითარცა სამოხელეოდ მოწოდება; მეტადრე შეუძლებელი კი იმის წინასწარ თქმაა, თუ რა გზას უნდა ეწიოს პოლიტიკოსის ნიჭით დაჯილდოებული კაცი, რათა მას თავისი უნარის ძესაფერისი ამოცანა მიეცეს. ჟურნალისტობა და პარტიულ სამოხელეო აპარატში რაიმე თანამდებობის დაკავება ამ ამოცანისკენ უმოკლესი გზაა უქონელი ხალხისთვის, ვინაც იძულებული გამხდარა პოლიტიკით მოიწყოს ცხოვრება; მათი არჩევანის სფერო შეზღუდულია; შეუძლიათ მხოლოდ, დაინტერესებულ პირთა ამხანაგობების წარძიმადგენლობა გასწიონ პროფკავშირებში, ვაპროთის, სოფლის მკურნეობის, ხელოსნობისა თუ შრომის პალატებში; ორგანიზაციებში, რომლებიც სამუშაოთი უზრუნველყოფას ემსახურებიან; ანდა შესაფერისი თანამდებობა დაიკავონ კომუნალურ სამსახურებში. პოლიტიკური წარმოების გარეგანი ფორმის თაობაზე სხვა არაფრის თქმაა შესაძლო გარდა იმისა, რომ ჟურნალისტიცა და პარტიული მოხელეც „დეკლასირებულის“ სამარცხვინო იარლიყს ატარებს. შეიძლება ყოველთვის ხმამაღლა არ ეუბნებოდნენ, მაგრამ მათ ყურთასმენას არასოდეს სცილდება ზიზღით სავსე შეძახილები: ერთი შეხედეთ ამ „დაქირავებულ მწერალს“, ამ „მოსყიდულ ორატორსო“ და მას, ვისაც ღონე არ შესწევს მათ საკადრისი პასუხი მიაგოს უჯობს, განერიდოს ამ სარბიელს, რაკი იგი გარდა იმისა, რომ საეალალო შეცოდებებში გვხვევს, გამუდმებულ იმედგაცრუებათა მომტანიცაა. მაგრამ შეუძლია თუ არა ამ გზას სულიერი ნეტარებაც მოჰგვაროს ყველას, ვისაც მასზე ფეხი შეუდგამს და თუკი ეს შესაძლოა, მაშინ რა და რა წინაპირობაა საჭირო საამისოდ?

ყოვლის უწინარეს, იგი ადამიანს ჰგვრის ძალაუფლების გრძნობას. რაგინდ უმნიშვნელოც იყოს თანამდებობა მას თან ახლავს შეგნება იმისა, რომ ზეგავლენას ახდენ ადამიანებზე., მონაწილეობ მათზე ძალაუფლების განხორციელებაში; რაკი ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენათა ცენტრში იმყოფები, გეუფლება გრძნობა, რომ უფრო მეტი ხარ, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავი. მაგრამ აქვე წამოიჭრება შეკითხვა: გაქვს კი სათანადო უნარები საიმისოდ, რათა თავი გაართვა ძალაუფლებასა (რაგინდ უმნიშვნელოც იყოს იგი) და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობას? ამრიგად, შევაბიჯეთ ეთიკის სფეროში. მთავარი აქ შემდეგი საკითხია: როგორი უნდა იყოს ადამიანი, რათა მან ისტორიის ბორბლის ტრიალში ჩარევის უფლება მოიპოვოს?

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსს არსებითად სამი ძირითადი უნარის ქონა მოეთხოვება; ვნება, პასუხისმგებლობის გრძნობა და გონების თვალი. პოლიტიკური ვნება ნიშნავს იმას, რომ აუტანიხარ, მგზნებარედ მისცემიხარ „საქმეს", თავგამეტებით ემსახურები მის სულისჩამდგმელ დემონსა თუ ღმერთს. ვნება სხვა რამაა და არა ის სულიერი ტყლარჭვა, რომელსაც ჩემი აწგანსვენებული მეგობარი გეორგ ზიმელი „სტერილურ აღფრთოვანებას" ეწოდა ხალმე; ასეთი რამ უპირატესად რუს ინტელიგენტთა გარკვეულ ტიპს (და არა ყველას) ახასიათებდა; ეს ის გრძნობაა, დღესდღეობით რომ ჩვენს ინტელექტუალებსაც ასე ძალუმად დაუფლებია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ კარნავალში რევოლუციის ამაყი სახელით რომ შეუმოსავთ; ესაა „უსაგნო რომანტიკა" იმ ხალხისა, რომელთაც მარტოოდენ „ინტელექტუალური მიზნები ამოძრავებთ" და არ გააჩნიათ ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ ვნება, რაგინდ მხურვალე იყოს იგი მაინც არაა საკმარისი; იგი ვერ გაქცევს პოლიტიკოსად თუკი გარდა იმისა, რომ ერთგულად ემსახურები „საქმეს", მის წინაშე პასუხისმგებლობაც არ გინათებს მოღვაწეობის ასპარეზს. სწორედ ამისათვის საჭიროა უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური თვისება გონების თვალი. ეს ნიშნავს, შინაგანი წონასწორობითა

და სიმშვიდით მინებდე ცხოვრებისეულ რეალობებს, დაიცვა დისტანცია საგნებთან და ადამიანებთან მიმართებაში. მარტო ამ ერთი თვისების, „დისტანციის უქონლობაც“ კი მომაკვდინებელი ცოდვაა ყოველი პოლიტიკოსისათვის; ხოლო, აღზარდო „დისტანციის უქონელი“ ინტელექტუალური შთამომავლობა იმის ტოლფასია, რომ პოლიტიკური სიბერწისათვის გასწირო იგი. ამრიგად, საკითხი ასე ისმის: როგორ ჩავტიოთ ერთსა და იმავ სულში მხურვალე ენება და ცივი გონების თვალი? პოლიტიკა თავით კეთდება და არა ტანისა თუ სულის სხვა რაიმე ორგანოთი; და მიუხედავად ამისა მაინც, პოლიტიკისადმი თავდადება ენების წიაღშია ნაშობიცა და ნაზარდიც; თუკი, რა თქმა უნდა, იგი ჭეშმარიტი ადამიანური მოღვაწეობაა და არა რაიმე უგვანი თამაში. როგორაც უნდა გვესმოდეს დისტანცია, მაინც მისდამი მიჩვევაა საფუძველი სულის იმ მძლავრი მოთოკილობისა მგზნებარე ენების პოლიტიკოსს „უსაგნოდ აღფრთოვანებული“ დილეტანტიდან რომ გამოარჩევს. პოლიტიკური პიროვნების ძლიერებას, ყოვლის უწინარეს სწორედ ეს სამი თვისება განაპირობებს.

ამიტომაც აუცილებელია, რომ პოლიტიკოსი განუწყვეტლივ ებრძოდესა და სძლევდეს თავის ყველაზე ტრივიალურსა და ადამიანურ მტერს, ყოვლად ჩვეულებრივ ამპარტავნობას. სწორედ იგია დაუძინებელი მტერი ყოველგვარი თავდადების და დისტანციისა; ამ შემთხვევაში კი — დისტანციისა საკუთარი თავის მიმართ.

ამპარტავნობა ძალზე გავრცელებული თვისებაა და არავინაა მისგან დაზღვეული. უფრო მეტი, აკადემიურსა და სამეცნიერო წრეებში იგი ერთგვარი პროფესიული დაავადებაც კია. მაგრამ მეცნიერის ამპარტავნობა, რაგინდ ანტიპარტიურადაც გამოიყურებოდეს იგი შედარებით მაინც უწყინარია, რაკი თითქმის არასოდეს უშლის ხელს მეცნიერების წარმოებას. ოღონდ სხვაა პოლიტიკოსი. მისი მოღვაწეობის მიზანია ძალაუფლება, როგორც აუცილებელი საშუალება; ამიტომ „ძალაუფლების ინსტინქტი“, როგორც უწოდებენ ხოლმე ამ მისწრაფებას, პოლიტიკოსის ერთ-

ერთი სავსებით ნორმალური თვისებათაგანია. მაგრამ იგი სცოდავს თავისი მოწოდების წმინდა სულის წინაშე, როგორც კი ძალაუფლებისაკენ მისწრაფებას ჭეშმარიტი საგანი გამოეცლება და ზერელე ლტოლვად იქცევა. როგორც კი ნაცვლად „საქმის“ მსახურებისა იგი წმინდა პიროვნულ თვითტკბობას ემსახურება. პოლიტიკის სფეროში ორი ყაიდის მომაკვდინებელი ცოდვა ბატონობს: ზერელობა და უპასუხისმგებლობა; ამასთანავე ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად ეს ორი რამ ერთმანეთს ემთხვევა. და სწორედ ამპარტავნობა ანუ ყველაფერში თავის გამოჩენის სურვილია ის, რასაც პოლიტიკოსი ხან ერთ ცოდვაში შეჰყავს ხან მეორეში; ანდა ორივეში ერთდროულად. რაც უფრო ძლიერაა შემართული დემაგოგი „ზემოქმედების“ მოსახდენად მით მეტია საფრთხე, როგორც მსახიობად ქცევისა, ასევე იმისა, რომ ზერელედ მოეკიდოს თავისი მოღვაწეობის შედეგებს და მარტოოდენ მოხდენილი შთაბეჭდილებით დაინტერესდეს; რაკიღა ზერელედ მოქმედებს, ამიტომ ნამდვილ ძალაუფლებას კი არ მიელტვის, არამედ მის — ბრჭყვიალა ანარეკლს; უპასუხისმგებლოც რომაა, ამის გამო რაიმე ღირებულ მიზანს კი არ ესწრაფვის, არამედ ტკბება ძალაუფლებით მარტოოდენ ძალაუფლების გულისთვის; და რადგანაც ძალაუფლება აუცილებელი საშუალებაა, ხოლო მისკენ სწრაფვა ყოველი პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა, სწორედ ამიტომ პოლიტიკურ ნიჭს ვერაფერი რყვნის ისე, როგორც ძალაუფლებით მატრაბაზული ტრაბახი თუ მედიდური თავმოწონება; ერთი სიტყვით ყველანაირი თაყვანისცემა წმინდა ძალაუფლებისა. ცარიელა „ძალაუფლების პოლიტიკოსი“, რომლის კულტის დანერგვას ჩვენშიაც თავგამოდებით ცდილობენ, შეიძლება მძლავრ ეფექტსაც ახდენდეს, მაგრამ მისი ზემოქმედება ამაოა და აზრს მოკლებული. ამაში სავსებით მართლები არიან „ძალაუფლების პოლიტიკოსის“ კრიტიკოსები. ასეთი შეგნების მქონე ტიპურ პოლიტოკოსთა უეცარი პიროვნული რღვევა გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენი სულიერი სისუსტე და უძლურება იმალება ამ გარეგნულად ბღენძიასა, მაგრამ შინაგანად გამოფიტულ ქეს-

ტებში. იგი ნაყოფია ადამიანური მოღვაწეობას საზრისის წინაშე ყოვლად შესაბრალისი და ქარაფშუტული ქედმაღლობისა; რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს იმ ტრაგიზმზე, რომელსაც მოუცავს ყველანაირი ადამიანური მოღვაწეობა და მეტადრე პოლიტიკური.

ახლა ამის გამოწვლილვით გარჩევის დრო არა გვაქვს, მაგრამ ისტორია ადასტურებს, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო შედეგი არათუ ხშირად, არამედ რეგულარულადაც სრულიად შეუფერებელ, უფრო მეტი, პარადოქსულ მიმართებაშია მის თავდაპირველ საზრისთან. მაგრამ თუ აუცილებელია, რომ ამ მოღვაწეობას შინაგანი საყრდენი ჰქონდეს, მაშინ არაფრით არ შეიძლება იგი საზრისს მოკლებული იყოს. ოღონდ მისი საზრისი სხვა არაფერია, თუ არა საქმის სამსახური. ხოლო რანაირი იქნება ის საქმე, რომლის მსახურების გულისთვისაც პოლიტიკოსი ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის და მას ანხორციელებს, ეს მრწამსის საკითხია. პოლიტიკოსი შეიძლება ემსახურებოდეს ეროვნულ, საკაცობრიო, სოციალურ, ეთიკურ, კულტურის, საერისა თუ რელიგიურ მიზნებს; შეიძლება მტკიცედ სწამდეს „პროგრესისა" (სულ ერთია რანაირი იქნება იგი), ან თამამად უარყოფდეს ამნაირ რწმენას; შეიძლება „იდეის" სამსახურში დგომის პრეტენზია ჰქონდეს, ანდა ასეთი რამ ყოველდღიური ცხოვრების მიზნებს ანაცვალოს. ერთი სიტყვით, რაგინდ განსხვავებული იყოს მისი მიზნები მაინც აუცილებელია, რომ მას რაღაცნაირი რწმენა ჰქონდეს. თუ არადა სავსებით მართებული იქნება, რომ ისევე როგორც ყველა შემოქმედებითი უბადრუკობა, შეჩვენებულ იქნეს გარეგნულად თუნდაც ეგზომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატებები.

ზემოთქმული იმას მოასწავებს, რომ მივადექით დღეს გასარჩევი საკითხებიდან ყველაზე მთავარს; ესაა კითხვა იმის თაობაზე, თუ რაა პოლიტიკური საქმის ეთოსი; მიზანდასახულობათა სხვადასხვაობის მიუხედავად რა დანიშნულების აღსრულება ძალუძს მას მთელი ცხოვრებისეული მეურნეობის ზნეობრივად

მოწყობაში? სად არის მისი, ასე ვთქვათ, ეთიკური კერა? რა თქმა უნდა აქ ერთმანეთს ეჯახება მრავალი გადამწყვეტი მსოფ-მხედველობა და მთავარი მათ შორის არჩევანის გაკეთებაა.მო-დით, გულმოდგინეთ გამოვიკვლიოთ ეს საკითხი, რომელიც ამ ბოლო დროს მართალია ისევ წამოიჭრა, მაგრამ ჩემი აზრით, სავსებით უმართებულოდ განიმარტა.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, თავიდან მოვიცილოთ ერთი მეტად ტრივიალური უმართებულობა, რომლის დროსაც ეთიკა უკიდურესად ფატალურ როლში გვევლინება. გავარჩიოთ მაგალი-თები. იშვიათად შეგხვდებათ კაცი, რომელსაც ერთი ქალი მიუ-ტოვებია და ახლა მეორეს ჰყვარობს და ამავე დროს არ გრძნობდეს საჭიროებას იმისას, რომ თავი იმართლოს: არ აღმო-ჩნდა ჩემი სიყვარულის ღირსი, მოლოდინი გამიმტყუნაო, თუ კი-დევ ვინ იცის რას მოიმიზეზებს; ქალი აღარ უყვართ და იძულე-ბულია აიტანოს ასეთი მდგომარეობა; ამაშია მისი აებედი და მა-მაკაცის უსაზმნო სიმდაბლეც ეგაა; უფრო მეტი, ამ სიმდაბლეს ზედ ერთვის „ლეგიტიმურობის“ ძიება, ე.ი. მამაკაცის განაცხადი იმაზე, რომ სიმართლე მის მხარესაა; ოღონდ მისი ეს სიმართლე ქალს უცილობლივ უსამართლობად შემოუტრიალდება ხოლმე. ზუსტად ასევე იქცევა ღბლიანი ეროტიული პარტნიორი; იგი გამუდმებით ამტკიცებს, რომ ულირსი მოცილე ჰყავს. ეს რომ არა, მის გამარჯვებას გამართლება არ ექნებოდა. ამგვარივე უკადრისი სიჯიუტით დაუჩემებია ომში გამარჯვებულს: გავიმარ-ჯვე რაკიღა მართალი ვიყავიო. კაცი, რომელიც სულიერად გაუ-ტეხია ომის საშინელებებს ნაცვლად იმისა, რომ გულწრფელად აღიარებდეს ეს ყველაფერი ჩემს ძალღონეს აღემატებაო, იმ მი-ზნით, რათა თავისი მხედრული უძლურება გაამართლოს, უეცრად თავს იტყუებს და ამბობს: ვერ გავუძელი ამ სისაზარლეს, რად-გან იძულებული ვიყავი ზნეობრივად უგვანი საქმისთვის მებრძო-ლაო. დამარცხებულებიც ამასვე სჩადიან. მაგრამ რაკი ომი საზო-გადოებრივმა სტრუქტურამ გარდუვალი გახადა, აღარაა საკად-რისი ბებერი დედაკაცივით ვიშვიშს მოჰყვე და „დამნაშავენი“

ეძებო. არამედ საჭიროა, მტერს კაცურად და პირდაპირ უთხრა: „ჩვენ დაგმარცხდით, თქვენ გაიმარჯვეთ. ყველაფერი გათავებულია. მოდით მოვილაპარაკოთ თუ რა დასკვნების გამოტანა გვმართებს იმ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რომლის გამოც ვომობდით; და რაც მთავარია მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გათვალისწინებით უწინარესად გამარჯვებულს რომ ეკისრება". სხვანაირი ლაპარაკი ულირსი იქნებოდა და ისტორია ძვირად დაგვისვამდა, რადგან ერი გაპატიებს ინტერესთა შელახვას, მაგრამ არასოდეს — ღირსების შებღალვას; განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ამას ხუცესური სიჯიუტით აკეთებენ. ათეული წლების შემდგომ გამოქვეყნებულ ყოველ ახალ დოკუმენტს ულირს გოდებათა, რისხვათა და სიძულვილთა ახალი ტალღა მოყვება ხოლმე, ნაცვლად იმისა, რომ ომი მისი დამთავრებისთანავე ზნეობრივად მაინც ერთხელ და სამუდამოდ დასამარებულიყო. ასეთი რამ მხოლოდ გულითადობისა და კეთილშობილების, უპირატესად კი ღირსების საფუძველზეა შესაძლებელი; მაგრამ ეს არასოდეს მოხერხდება „ეთიკის" წყალობით, რაკი იგი სინამდვილეში ორივე მხარის ღირსებას აკნინებს. ნაცვლად იმისა, რომ მომავალი და მის წინაშე პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა ანაღვლებდეს, ეთიკა ერთთავად წარსულზეა ორიენტირებული და იქ ეძებს დამნაშავეს. ოღონდ ეს ძიება პოლიტიკურად უსარგებლოა, რაკი ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება ხოლმე. ესაა სწორედ პოლიტიკური დანაშაული, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს. ამასთანავე, სრულიად შეუმჩნეველი რჩება, ის რომ ერთობ მატერიალურ ინტერესთა გამოისობით გარდუვალად მახინჯდება საკითხის არსი; მისი ასეთი შერყვნა, ერთი მხრივ განპირობებულია იმით, რომ გამარჯვებული მიისწრაფვის რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად; ხოლო, მეორე მხრივ იმით, რომ დამარცხებულს ეიმედება გვარიანად გაბმორჩება გამარჯვებულს, თუკი დანაშაულს მთლიანად თავის თავზე აიღებს.ეს არის უდიდესი „უზნეობა" და იგი გამომდინარეობს სწორედ „ეთიკიდან", როცა მას იყენებენ საშუალებად, რათა ყვე-

ლამ თავ-თავისი „სიმართლე“ ამტკიცოს.

მაგრამ მაშინ როგორია ჭეშმარიტი კავშირი ეთიკასა და პოლიტიკას შორის? მართლა არაფერი აქვთ მათ საერთო, როგორც ჟამიდან ჟამს უმტკიცებიათ ხოლმე? თუ, პირიქით მართალია ის, რომ „ერთი და იმავე“ ეთიკით ფასდება როგორც პოლიტიკური, ისე ყველა სხვა სახის მოღვაწეობა? დრო და დრო ისიც უფიქრიათ, რომ ეს ორი რამ ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებაა, რომელთაგან ან ერთია სწორი ან მეორეო. მაგრამ განა რომელიმე ეთიკას ამ ქვეყნად ხელეწიფება, შინაარსობრივად იგივეობრივი მცნებები წამოაყენოს ადამიანებს შორის სამეჯნურო და საქმიან, ოჯახურ და სამსახურებრივ ურთიერთობებზე, მათს დამოკიდებულებაზე ცოლის, მემწვანილე ქალის, ვაჟიშვილის, კონკურენტების, მეგობრისა თუ მსჯავრდებულისადმი? განა შეიძლება, პოლიტიკისადმი წაყენებული ეთიკური მოთხოვნები ანგარიშს არ უწევდეს იმას, რომ პოლიტიკა არის მოღვაწეობა ფრიად სპეციფიკური ღონისძიებით ე.ი. ძალაუფლებით, რომლის მიღმაც ძალადობა იმალება? განა ვერა ვხედავთ, ბოლშევიკური და სპარტაკისტული იდეოლოგები, რაკი ისინიც პოლიტიკის ამ საშუალებას იყენებენ ზუსტად იმავე შედეგებს იხვეჭენ, რასაც რომელიმე მილიტარისტული დიქტატორი? განა რითი განსხვავდება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ბატონობა ძველ რეჟიმთა ნებისმიერი მბრძანებლისაგან, თუ არა მხოლოდ ხელისუფალთა თვითნებობითა და დილეტანტიზმით? ჩვენი დროის ვითომდა ახალი ეთიკის მქადაგებელთა უმრავლესობის პოლემიკა ძველი ეთიკის წარმომადგენლებთან, განა რითიმე განსხვავდება ნებისმიერი სხვა დემაგოგიისაგან? კეთილშობილური მიზნითო, მოგვიგებენ. კი, მაგრამ ჩვენ საშუალებაზე ვლაპარაკობთ და არა მიზანზე. მიზნის კეთილშობილებაზე პრეტენზიას ხომ მთელი სუბიექტური გულწრფელობით აცხადებს ჩვენი მოწინააღმდეგეც, ვის მიმართაც მტრობით აღვძრულვართ. „ვინც მახვილი აიღოს, მახვილითვე მოიკვეთოსო“, ნათქვამია; ხოლო ბრძოლა ყველგან ბრძოლაა. გამოდის, რომ მართალი ყოფილა მთიდან ნაქადაგები

ეთიკა. მთის ქადაგება ე.ი. სახარებათა აბსოლუტური ეთიკა ბევრად უფრო სერიოზული რამაა, ვიდრე იმათ მიუჩნევიათ, ვინაც დღეს წამდაუწუმ ახდენს მის ციტირებას. ეს არ არის სახუმარო საქმე. მის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რაც მეცნიერებაში მიზეზობრიობის პრინციპზე თქმულა, ის არ არის ფიაკრი შენს ნებაზე, რომ გააჩერო და როცა მოგესურვება კვლავ დასძრა. ყველაფერი ან არაფერი. ესაა მისი საზრისი; სხვა რამ ტრივიალობა იქნებოდა. გავიხსენოთ მდიდარი ჭაბუკი: „დაღონებული განშორდა, ვინაიდან ბევრი ქონება ჰქონდა". სახარების მცნება ერთმნიშვნელოვანია და უპირობო: გაიღე ყველაფერი, რაც გაბადია, აბსოლუტურად ყველაფერი. პოლიტიკოსი ამაზე იტყვის, უაზრო მოთხოვნაა, სანამ იგი ყველას მიმართ არ განხორციელებულაო. მაშასადამე საჭიროა ყველას ჩამოეწეროს ქონება; ყველა გაკოტრდესა და კონფისკებულ იქნას ე.ი. ყველას მიმართ გატარდეს იძულებისა და წესრიგის პრინციპი. ეთიკურ მცნებას ეს სულაც არ ანაღვლებს, ასეთია მისი არსება. ანდა „მეორე ლოყაც მიუშვირეო"; სავსებით უპირობო მოთხოვნაა; იგი არ კითხულობს, შეეფერება კი ასეთი საქციელი იმ კაცის ღირსებას, ვინაც ლოყაში უნდა გაგვაწნას. ესაა ან უღირსებო კაცის, ანდა წმინდანის ეთიკა. ხამს ყველაფერში ზრახვებით მაინც, წმინდანი იყო; ჯერ არს ისე იცხოვრო, როგორც იესოს, მოციქულებს, წმინდა ფრანცისკო ასიზელს ანდა მათს ბადალს ვინმეს უცხოვრია; მხოლოდ მაშინ იქნება ეს ეთიკა აზრიანი და ღირსების გამომხატველი; სხვა დროს კი არა. სიყვარულის აკოსმიური ეთიკა ქადაგებს: „წინ ნუ აღუდგებით ბოროტს". ხოლო პოლიტიკა გვავალდებულებს: შენი ვალია ძალისმიერად წინ აღუდგე ბოროტებას, თუ არა და მის აღზევებაზე პასუხისმგებლობა პირადად შენ დაგეკისრება. თუ ვინმეს განუზრახავს სახარებათა ეთიკის თანახმად ცხოვრება, მაშინ იგი დაე, შევიდეს ყვითელ პროფკავშირებში და ნურასოდეს გაიფიცება, რაკი გაფიცვა სხვა არაფერია, თუ არა ძალადობა. დაე, ნურც რევოლუციის სახელს ახსენებს იგი; რადგან სახარებათა ეთიკა არც იმას გვასწავლის, ერთადერ-

თი სამართლიანი ომი სამოქალაქო ომიაო. პაციფისტები ამ ეთიკის პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდნენ ისე მოიქცევიან, როგორც გერმანიაში არაერთგზის ურჩევიათ ხოლმე მათთვის, ხელს არ ახლებენ იარაღს ან დაჰკრიან მას; რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ამ ომსა და ყველა სხვა ომსაც;ომის დისკრედიტაციისათვის სადღეისოდაც და უახლოესი მომავლისთვისაც ყველაზე უებარი საშუალება სტატუს-კვოს საფუძველზე ჩამოგდებული მშვიდობა იქნებოდაო, ხალხი დაფიქრდებოდა და იკითხავდა რისთვისღა ვომობდითო? მოხდებოდა ომის დაყვანა AD ABSURDUM; ახლა კი ასეთი რამ შეუძლებელია. რაკი გამარჯვებულთა ერთი ნაწილისათვის მაინც ომი პოლიტიკურად მოგებიანი რამაა. ამაზე პასუხისმგებლობა კი ქცევის იმ წესებს ეკისრებათ ჩვენთვის ყოველგვარი წინააღმდეგობა რომ აღუკვეთიათ. და მას შემდგომ, რაც ჩაივლის ეს ქანცისგამცლელი ეპოქა აღმოჩნდება, რომ დისკრედიტებულია მშვიდობა და არა ომი. აი, შედეგი აბსოლუტური ეთიკისა.

დაბოლოს ერთი საკითხიც: მოვალეობა მართლის თქმისა. აბსოლუტური ეთიკა მიიჩნევს, რომ უნდა ითქვას სრული სიმართლე. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა იმისა, რომ გამოქვეყნდეს ყველა საბუთი; განსაკუთრებით — მშობლიური ქვეყნის მამხილებელი დოკუმენტები. ესაა ცალმხრივი პუბლიკაცია, რომელიც ბრალის ასევე ცალმხრივ, უპირობო აღიარებას გულისხმობს და სრულიადაც არაა გათვალისწინებული ის შედეგები, რაც შეიძლება ამგვარ პუბლიკაციას მოჰყვეს. პოლიტიკოსი კი თვლის, რომ ასეთი ქმედება სულაც არ უწყობს ხელს ჭეშმარიტების დადგენას; არამედ პირიქით, იგი ვნებათა ბურუსში ეხვევა, საგულდაგულოდ უკუღმართდება და ირყვნება; საკითხის მხოლოდ და მხოლოდ მიუდგომელი განხილვა გამოიღებდა სასურველ ნაყოფს. სხვაგვარ მოქმედებას ერისათვის ისეთი სავალალო შედეგები მოსდევს ხოლმე, რომელთა გამოსწორებას ათწლეულებიც კი არ ეყოფა. მაგრამ სწორედაც რომ „შედეგია“ ის, რაც არად ანაღვლებს აბსოლუტურ ეთიკას.

მივადექით მთავარ საკითხს. საჭიროა კარგად გავერკვეთ იმაში, რომ ეთიკურად ორიენტირებული ქმედებანი შეიძლება ექვემდებარებოდნენ ორ, ერთმანეთისადმი ძირეულად დაპირისპირებულსა და ურთიერთგამომრიცხავ მაქსიმას. ისინი შეიძლება ორიენტირებულები იყვნენ ან „მრწამ ს ეთიკაზე", ანდა „პასუხისმგებლობისაზე". მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოსდა მრწამსის ეთიკა უპასუხისმგებლობის ტოლფასი იყოს, ხოლო პასუხისმგებლობის ეთიკა-უმრწამსობისა. რასაკვირველია, ამას არ ვამბობთ. არამედ მხოლოდ იმას, რომ ძირეულადაა ერთმანეთისაგან განსხვავებული ისეთი ქმედება, რომელიც მრწამსის ეთიკის მაქსიმას ემორჩილება და ქრისტიანობის ენაზე შემდეგნაირად გამოითქმება: „ქრისტიანი ისე იქცევა, როგორც ჯერ არს, ხოლო შედეგზე პასუხისმგებლობა მთლიანად ღმერთისთვის მიუნდვია"; და ის ქცევა პასუხისმგებლობის ეთიკის მაქსიმით რომ ხელმძღვანელობს და ადამიანს ავალდებულებს, პასუხი აგოს თავისი საქციელის (შესაძლო) შედეგებზე. თქვენ იქნებ ძალზე დამაჯერებლადაც განუმარტოთ მტკიცე ეთიკური მრწამსის სინდიკალისტს, რომ მისი საქმიანობის შედეგები გაზრდის რეაქციის შანსებს, მეტადრე გაამძაფრებს მისი კლასის ჩაგვრას და დააბრკოლებს მის წინსვლას; მაგრამ ამისას მას ვერაფერს შეაგონებთ, რადგან თუკი მრწამსის თანახმად მოქმედება უკეთურ ნაყოფს გამოიღებს, ამაზე პასუხისმგებელია არა ის, ვინაც მოქმედებს, არამედ-სამყარო, სხვა ადამიანთა სიბრიყვე ანდა ღვთის ნება, რომელმაც ეს სამყარო სწორად ასეთი შექმნა. ის კი, ვინაც პასუხისმგებლობის ეთიკას ემყარება ანგარიშს უწევს სწორედ იმ ნაკლს ადამიანს რომ ახასიათებს ხოლმე. ასეთი პიროვნება, როგორც ეს სავსებით სწორად შენიშნა ფიხტემ, არ იჩენებს უფლებას იმისას, რომ თავის ქმედებაში წინასწარ მოცემულად დაიგულვოს სიკეთე და სრულყოფილება; რაკიღა შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქმედების მოსალოდნელი შედეგები, ამიტომ თავს ნებას არ აძლევს სხვას დააკისროს მათზე პასუხისმგებლობა; ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მოქმე-

დების შედეგებიაო, ამბობს იგი. მრწამსის ეთიკოსს კი ერთადერთი „პასუხისმგებლობა“ ასულდგმულებს; არ განელდეს წმინდა მრწამსის ალი, არ დაივსოს სოციალური წესრიგის უსამართლობათა წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ნაპერწკალი; მისი მიზანია, მარად და მარად სული უბეროს პროტესტის ნაღვერდალს; რა თქმა უნდა, თუ მოსალოდნელ შედეგთა მიხედვით განვსჯით, მაშინ მისი ასეთი საქციელი სრულიად ირაციონალური ბუნებისაა. მაგრამ მას შეიძლება და ჯერ არს კიდეც ჰქონდეს მაგალითის მნიშვნელობა.

საკითხი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, ვერც ერთი ეთიკა გვერდს ვერ აუქცევს იმ ფაქტს, რომ ძალზე ხშირად „კეთილი“ მიზნის მისაღწევად ყურიგდებით ხოლმე ზნეობრივად საეჭვო თუ სახიფათო საშუალებათა გამოყენებას; თვალს ვხუჭავთ იმაზე, რომ ამგვარ ქმედებას აუცილებლად ან შესაძლებლობაში მაინც თან ახლავს უკეთური შედეგები. ამასთანავე არც ეთიკას ძალუძს განსაჯოს ის, თუ რა სიდიდის უნდა იყოს ეთიკურად კეთილი მიზანი, რომ მან შეძლოს „კურთხევა“ ზნეობრივად სახიფათო საშუალებების და მისი თანამდევი შედეგებისა.

პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა. ეთიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საშუალებასა და მიზანს შორის ურთიერთობა ყოველთვის ერთობ დაძაბულია. ამის მიხვედრა არ არის ძნელი, თუ გავიხსენებთ ყველასათვის ცნობილ ფაქტს; (ციმერვალდური ორიენტაციის) რევოლუციონერ-სოციალისტები უკვე ომის დროსვე ერთგულნი იყვნენ პრინციპისა, რომლის მოკლე და ზუსტი ფორმულირება შემდეგნარიად შეიძლება: „თუ დავდგებით არჩევანის წინაშე, ან ომის განგრძობა კიდევ რამენიმე წლით, ხოლო შემდეგ რევოლუცია, ანდა ზავის ჩამოგდება დღესვე, ხოლო სამომავლოდ — არავითარი რევოლუცია, მაშინ რამდენიმე წლით ომის განგრძობას ვამჯობინებდითო“! ხოლო შეკითხვაზე: რას მოიტანდა რევოლუციაო, ყოველი მეცნიერულად განსწავლული სოციალისტი გიპასუხებდა: რა თქმა უნდა, ლაპარაკი არც შეიძლებოდა ყოფილი-

ყო ვითომდა სოციალისტურ მეურნეობრიობაზე გადასვლის შესახებ, არამედ ბურჟუაზიული მეურნეობრიობის ისეთი ფორმის დამყარებაზე, რომლიდანაც აღმოფხვრილი იქნებოდა ფეოდალური ელემენტები და დინასტიური ნაშთები. მაშ რა, ასეთი, ერთობ მოკრძალებული შედეგი და „ომი' განგრძობა კიდევ რამდენიმე წლით"! უნდა ითქვას, რომ რაგინდ მტკიცე იყოს სოციალისტური მრწამსი ვინძლო ხელი აგველო იმ მიზანზე, რომელიც ამგვარ უკეთურ საშუალებას საჭიროებს. ზუსტად ასეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ბოლშევიზმის, სპარტაკიზმის და საერთოდ ყველა ჯურის რევოლუციური სოციალიზმის სახითაც; და ფრიად სასაცილოა, როცა ამ ყაიდის ხალხი ზნეობრივად კიცხავს ხოლმე ძველი რეჟიმის „მოძალადე პოლიტიკოსებს" იმავე საშუალებათა გამოყენებისათვის, რომლებსაც თვითვე ხმარობენ; რაგინდ გამართლებულიც იყოს მათ მიერ ძველი მიზნების უკუგდება.

მრწამსის ეთიკა, ეტყობა, სრულ მარცხს განიცდის საშუალებათა კურთხევის საკითხში. სინამდვილეში მას რჩება ლოგიკურად ერთადერთი შესაძლებლობა უარყოს ყოველი ქმედება, რომელიც ზნეობრივად სახიფათო საშუალებას იყენებს. რეალური ცხოვრების გამოცდილება კი სხვა რამეზე მეტყველებს; მრწამის ეთიკის მიმდევარი ანაზდეულად გადაიქცევა ხოლმე ხილიასტურ წინასწარმეტყველად, ახლახანს რომ „ძალადობის" წინააღმდეგ „სიყვარულს" ჰქადაგებდა; ცოტა ხნის მერე ისევ ძალადობისაკენ მოუწოდებს; აქაოდა, ესაა უკანასკნელი ძალადობა, რომელიც ქვეყნად ყოველ ძალადობას ბოლოს მოუღებს. ზუსტად ასევე იქცეოდნენ ჩვენი სამხედრო მეთაურები, ყოველი შეტევის წინ რომ მიმართავდნენ ჯარისკაცებს: ეს იქნება უკანასკნელი შეტევა, რომლის შემდგომ გამარჯვება და მშვიდობა დასადგურებსო. მრწამსის ეთიკოსს სძაგს სამყაროს ზნეობრივი ირაციონალობა; იგი კოსმიურ-ეთიკური „რაციონალისტია". ყველას, ვისაც დოსტოევსკი წაგვიკითხავს, გვახსენდება დიდი ინკვიზიტორის სცენა, სადაც ეს საკითხი გამოწვლილვითაა გარჩეული. რანაირ დათმობაზეც უნდა წავიდეთ, მაინც შეუძლებელი იქნება მრწამსისა და

პასუხისმგებლობის ეთიკთა მორიგება ე.ი. ვერასოდეს მოხერხდება ეთიკური დადგენა იმისა, თუ რომელი სიშუალება რომელი მიზნითაა ნაკურთხი.

ჩემი კოლეგა ფ.ვ. ფიორსტერი, რომელსაც დიდად ვაფასებ მისი სუფთა მრწამსის გამო, მაგრამ ასევე უპირობოდ უარვყოფ მას როგორც პოლიტიკოსს დარწმუნებულია, თავიდან მოიშორა ეს სიძნელე, რაკი წამოაყენა შემდეგი თეზა: ბოროტიდან მხოლოდ ბოროტი გამოვა, კეთილიდან კი მხოლოდ — სიკეთეო. ეს რომ სწორი ყოფილიყო, მაშინ პრობლემაც აღარ იარსებებდა. მაგრამ საოცარი სწორედ ის არის, რომ უპანაშიდებიდან 2500 წლის მერე კვლავ შესაძლებელი გახდა ქვეყანას მოვლინებოდა ამგვარი თეზა. არა თუ მსოფლიო ისტორია, არამედ ყოველდღიური გამოცდილების ყოველი გულახდილი გამოკვლევაც ამ თეზის საპირისპიროდ მეტყველებს. სწორედ ამ საპირისპიროს ემყარება მსოფლიო რელიგიათა განვითარება. თეოლოგიის ძველთაძველი პრობლემა გამოთქმულია შეკითხვით: როგორ მოხდა, რომ ძალამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ყოვლად ძლიერიც არის და ყოვლად კეთილიც, შექმნა ეგზომ ირაციონალური სამყარო დაუმსახურებელი ტანჯვის, დაუსჯელი უსამართლობის და უიმედო სისულელისა. გამოდის, რომ ეს ძალა ან ყოვლად ძლიერი არ ყოფილა, ან — ყოვლად კეთილი. მაშინ ცხოვრებას განაგებენ საზღაურისა და მისაგებლის სრულიად სხვა პრინციპები, რომელთა მეტაფიზიკური წვდომა ძალგვიძს, ანდა ისეთები, რომლებზეც ხელი არასოდეს მიგვიწვდება. საკითხი იმის თაობაზე, შეგვიძლია თუ არა, მოვიპოვოთ სამყაროს ირაციონალობის გამოცდილება, იყო სწორედ მამოძრავებელი ძალა ყოველი რელიგიური განვითარებისა. ასეთი გამოცდილებიდან იშვნენ კარმეს შესახებ ინდური მოძღვრება, სპარსული დუალიზმი, პირველი ცოდვა, წინასწარგანსაზღვრულობაც და DEUS ABSCONDITUS. პირველმა ქრისტიანებმაც კარგად იცოდნენ, რომ სატანურ ძალებთანაა შეკრული ის, ვისაც პოლიტიკისათვის ხელი მიუყვია ე.ი. საშუალებად მოუმარჯვებია ძალაუფლება და ძალადობა. მათ

ისიც კარგად მოეხსენებოდათ, რომ არ არის მართებული ამ ხალხის მოღვაწეობა შეაფასო პრინციპით: ბოროტიდან ბოროტი გამოვა, კეთილიდან კეთილიო; არამედ მათ სრულიად საპირისპირო პრინციპი უნდა მიუყენო. ვინც ამას ვერა ჰხედავს, იგი ჯერაც ვერ გამოსულა პოლიტიკოსის სიყმაწვილის ასაკიდან.

ყოველი რელიგიური ეთიკა უწევდა ხოლმე ანგარიშს იმ ფაქტს, რომ ადამიანები ყოველთვის ჩაყენებულნი არიან სხვადასხვა ცხოვრებისეულ წესრიგში, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ კანონებს რომ ემორჩილებიან. ელინური პოლითეიზმი მსხვერპლს სწირავდა, როგორც აფროდიტეს, ისე ჰერას, როგორც დიონისეს, ისე აპოლონს. თუმცა ძველმა ბერძნებმა კარგად იცოდნენ, რომ ოლიმპიელთა შორისაც ყოველთვის არ სუფევდა თანხმობა. ცხოვრების ინდუისტურ წესრიგში ყოველი ხელობის ხალხს განკუთვნილი ჰქონდა განსაკუთრებული ზნეობრივი კანონი, დრაჰმა; ყოველი ხელობა ცალკე კასტას წარმოადგენდა და ერთხელ და სამუდამოდ იყო სხვისგან გამიჯნული; ყოველ მათგანს დაბადებიდანვე განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიჩენილი ამ ულმობელ იერარქიაში და არავის შეეძლო მისგან თავის დაღწევა; ასეთი რამ შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვა ცხოვრებაში გარდასახვის შედეგად: ისე რომ, მათთვის უმკაცრესად იყო განსაზღვრული შესაბამისი დისტანცია რელიგიური ხსნის საუნჯეებთან მიმართებაში. ამრიგად, ინდუისტურმა რელიგიამ მოახერხა, შეექმნა ყოველი კასტისათვის ცალკე დრაჰმა, დაწყებული ასკეტებითა და ბრაჰმანებით, თაღლითებისა და მეძავთა კასტით დამთავრებული. ყოველი დრაჰმა ითვალისწინებდა ცალკეულ პროფესიათა იმანენტურ კანონზომიერებებს. ომიცა და პოლიტიკაც ასეთ ხელობათა რიგს განეკუთვნებოდა. ბჰაგავადგიტაში, კრიშნასა და არდუნას შორის დიალოგში ნახავთ, რომ ომებიც ცხოვრების საყოველთაო წესრიგშია შეტანილი. „ჰქმენ აუცილებელიო“ ე. ი. ისე მოიქეცი, ის „საქმე“ ჰქენი, რასაც შენგან მეომართა კასტის დრაჰმა მოითხოვს, აღასრულე ვალი მისი წესების თანახმად, გარდუვლად დამორჩილდი ომის მიზანსო. ამ რწმენის

თანახმად ომი კი არ უშლის, არამედ უწყობს კიდეც ხელს რელიგიურ ხსნას. ინდოელ მეომარს, თუკი იგი გმირულად დაეცემოდა ბრძოლის ველზე, ოდითგანვე ისევე ჰქონდა განაღდებული ინდრას ზეცა, როგორც გერმანელს — ვალჰალა. (ომში გმირულად დაღუპულ მეომართა სულების სასუფეველი გერმანულ მითოლოგიაში (მთრ. შენიშვნა)). ნირვანა ისევე აუტანელი იქნებოდა მისთვის, როგორც გერმანელი მეომრისთვის — ქრისტიანული სამოთხე ანგელოსთა დასებიანად. ზნეობის ამგვარმა სპეციალიზაციამ ინდურ ეთიკაში შესაძლებელი გახადა ჩამოყალიბებულიყო პოლიტიკაზე მზრუნველობის ისეთი ურყევი ფორმა, რომელიც არა მარტო მისთვის დამახასიათებელი შინაგანი კანონების თანახმად სრულდებოდა, არამედ განვითარების უმაღლეს ხარისხამდეც აჰყავდა ეს მეფური ხელოვნება. კაუტილიას „ართჰაშასტრაში“, ინდური ლიტერატურის ამ ძველთუძველეს ძეგლში (ბევრად ადრე ქრისტეს შობამდე; სავარაუდოა, თშანდვა-გუპტის ხანაში) კლასიკურადაა წარმოდგენილი ნამდვილი რადიკალური მაკიაველიზმი, ამ სიტყვის პოპულარული მნიშვნელობით. მასთან შედარებით ერთობ უწყინარია მაკიაველის „Principe“. ცნობილია, რომ კათოლიკურ ეთიკაში, რომელსაც პროფესორი ფიორსტერიც იზიარებს არსებობს ეთიკის განსაკუთრებული სახეობა ე.წ. „Consilia Evangelica“ იმათთვის, ვინაც წმინდა ცხოვრების მადლითაა ცხებული. ესაა ეთიკა, როგორც ბერ-მონაზვნის, ვინაც ეკრძალება სისხლისღვრა და სარგებლის ძიება, ასევე ღვთისმოსავი რაინდის და ბიურგერისა, რომელთაგანაც პირველს ნება-დართული აქვს სისხლისღვრა, ხოლო მეორეს — სარგებლის მოხვეჭა. მართალია, კათოლიკური ეთიკის სპეციალიზაცია, მისი ჩართვა ხსნის შესახებ მოძღვრების ერთიან ორგანიზმში ოდნავ უფრო არათანამიმდევრულია, ვიდრე ეს არის ინდურ ეთიკაში; მაგრამ კათოლიციზმშიც ასეთი რამ ხდებოდა და უნდა მომხდარიყო კიდეც. ქრისტიანული რწმენის წინამძღვართა თანახმად. პირველი ცოდვით სამყაროს დაცემის ფაქტი შედარებით აიოლებდა კიდეც, რომ ეთიკაში შეეტანათ ძალადობა, როგორც

დამსჯელობითი ღონისძიება ცოდვისა და ადამიანთა სულების სათრფხეში ჩამგდები ერეტიკოსების წინააღმდეგ. მთის ქადაგების წმინდა მრწამსისმიერი, აკოსმიური მოთხოვნები და მასზე დამყარებული რელიგიური ბუნებრივი სამართალი, როგორც აბსოლუტური მოთხოვნა ყოველთვის ინარჩუნებდა რევოლუციურ ძალას და გასაქანს ნახულობდა ხოლმე სოციალურ კატაკლიზმათა თითქმის ყოველ ეპოქაში. მათს საფუძველზე შეიქმნა უკიდურესად პაციფისტური სექტები; პენსილვანიაში, ერთ-ერთმა ასეთმა სექტამ სცადა, ჩამოეყალიბებინა გარეგნულად არაძალადობრივი სახელმწიფო წყობილება; ეს იყო ერთობ ტრაგიკული წამოწყება, რაკი გაჩაღდა თუ არა დამოუკიდებლობისათვის პირველი ბრძოლა კვაკერები ვეღარ გამოვიდნენ იარაღით ხელში, რათა დაეცვათ საკუთარი იდეალები. ზომიერმა პროტესტანტიზმმა, პირიქით სახელმწითო ღვთაებრივ დაწესებულებადაც შერაცხა და ამრიგად ლეგიტიმირება უყო ძალადობის ამ საშუალებას. ლუთერმა გაათავისუფლა ცალკეული ინდივიდი ომზე ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან და იგი მთლიანად ხელისუფალთ დააკისრა, ვისდამი მორჩილებაც, გარდა რწმენის საკითხში დაქვემდებარებისა, ცოდვად არასოდეს არავის შეერაცხებოდა. კალვინიზმიც, არსებითად სცნობდა ძალადობას, როგორც რწმენის სადამცველო საშუალებას ე.ი. სარწმუნეობრივ ომს, რომელიც ისლამში ოდითგანვე სასიცოცხლო ელემენტად ითვლებოდა. ცხადია, რომ პოლიტიკური ეთიკის პრობლემა სულაც არ ამოზრდილა თანამედროვე ადამიანის იმ ურწმუნოებიდან, რომელიც თავის მხრივ, რენესანსის ეპოქაში წარმოშობილმა გმირების კულტმა დაბადა. ყველა რელიგია, მართალია მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც თავგამოდებით ცდილობდა, გადაეჭრა ეს პრობლემა. ზემოთთქმულიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. პოლიტიკის ყოველი ეთიკური პრობლემის თავისებურება განპირობებულია იმით, რომ ადამიანთა ერთობებს ხელთ უპყრიათ პირწმინდად ლეგიტიმური ძალადობა, როგორც განსაკუთრებული ღონისძიება.

ყველა, ვინც კი, სულერთია რა მიზნით, მაგრამ მაინც კავშირშია ამ ღონისძიებასთან (და ეს ითქმის ნებისმიერ პოლიტიკოსზე) თავის თავზე წვნეულობს მისგან გამომდინარე სპეციფიკურ შედეგებს. განსაკუთრებით მისცემია მათ ის, ვინაც რელიგიური, თუ რეოლუციური მრწამსისთვის იბრძვის. მოდით, გულდამშვიდებით განვიხილოთ ეს თანამედროვეობის მაგალითზე. ვისაც სურს, ძალით დაამყაროს ამ ქვეყნად სამართლიანობა იგი საამისოდ საჭიროებს ამალას ე.ი. ადამიანთა „აპარატს". იგი ვალდებულია, აღუთქვას მას აუცილებელი შინაგანი თუ გარეგანი ჯილდო, ზეციური თუ მიწიერი მისაგებელი, სხვანაირად აპარატი არ იმუშავებდა. თანამედროვე კლასობრივი ბრძოლის პირობებში შინაგანი ჯილდო ისაა, რომ ამალას აძლევ საშუალებას, დაიკმაყოფილოს მოწინააღმდეგის მიმართ სიძულვილისა და შურისგების გრძნობა; ყოვლის უწინარეს კი, ხელს უწყობ, ამოანთხიოს ღვარძღლი და დაიცხროს ფსევდო ეთიკური სამართლიანობის ნდობა ე.ი. გული მოიოხოს მოწინააღმდეგის ძაგებითა და ღალატში მხილებით. გარეგანი ჯილდო ეს იქნება ავანტიურა, გამარჯვება, დაცვა, ძალაუფლება და ხელისმოსაობრ თანამდებობათა ჩამორიგება. ბელადის წარმატება მთლიანად არის დამოკიდებული მისი აპარატის ფუნქციონირებაზე. ამიტომაც ბელადი განსაზღვრულა არა პირადული, არამედ ამალის მოტივებით. ამრიგად, მისი ბედი იმაზე ჰკიდია მოახერხებს, თუ არა იგი რაც შეიძლება მეტ ხანს ასაჩუქრებდეს თავის წითელ გვარდიას, ჯაშუშებსა და აგიტატორებს; ერთი სიტყვით-თავის ამალას. ისე რომ ის, რისი მოპოვებაც ბელადს ასეთ პირობებში ძალუძს, სულაც არ არის პირადად მასზე დამოკიდებული, არამედ-წილად ერგება ხოლმე ამალის წყალობით; ამალისა, რომელიც უპირატესად მდაბალი ზნეობრივი მოტივებით ხელმძღვანელობს. ბელადს კი, მანამ ხელეწიფება ამალის მართვა, სანამ ამბანაგობის ნაწილს მაინც მუდმივად შთააგონებს მისი პიროვნება; და არსად მთელს ქვეყანაზე ჯერ არ მომხდარა, რომ მას ამალის უმრავლესობა ჰყოლოდა შთაგონებული. რაგინდ სუბიექტურად ალალი იყოს

ასეთი რწმენა, მარტო იგი თითქმის არასოდეს არის ხოლმე ერთადერთი ზნეობრივი „ლეგიტიმირება“ შურისგების, ძალაუფლების, დავლისა თუ სარფიანი პოსტებისადმი ლტოლვისა: ნუ ვიწამებთ ასეთ რამეს, რაკი მატერიალისტურად განმარტებული ისტორიაც როდი არის ის ფიაკრი, რომელშიც შეგიძლია ჩაჯდე როგორც კი მოგესურვება; არა, იგი არ ჩერდება იმათ ნება-სურვილზე, ვინაც რევოლუციებს ახდენენ! ჩვეულებრივი ყოველდღიურობა მხოლოდ და მხოლოდ ემოციონალურ რევოლუციათა შემდგომად ისადგურებს; რწმენის გმირი და უპირატესად თავათ რწმენა ან უჩინარდება, ანდა, რაც მეტადრე შთამბეჭდავია, პოლიტიკური ობივატელისა თუ პოლიტიკის უბრალო ტექნიკოსის ტრადიციული სიტყვის ნაწილად იქცევა ხოლმე. ასეთი რამ განსაკუთრებით სწრაფად ხდება სარწმუნოებრივი ომის პირობებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ან შთააგონებენ ჰეშმარიტი ბელადები თუ რევოლუციათა წინასწარმეტყველნი. ეგ იმიტომ, რომ აქაც ისე, როგორც ნებისმიერი ბელადის აპარატში წარმატების ერთ-ერთი პირობაა „დისციპლინის“ ინტერესთა გამოისობით ამალის დაცარიელება სულიერობისაგან, მისი განივთება, გინა მისი ერთგვარი სულიერი პროლეტარიზება. ამიტომაცაა, რომ სარწმუნოებისათვის მებრძოლი ბელადის ამალა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ იოლად გადაჯიშდება ხოლმე ადამიანთა იმ არაფრით გამორჩეულ ფენად შემოსავლიან თანამდებობებზე რომ მოკალათებულა.

მას, ვისაც სურს რაიმე ფორმით პოლიტიკურად იღვაწოს, ანდა იგი ხელობად გაიხადოს შეგნებული უნდა ჰქონდეს ეს ეთიკური პარადოქსები და პასუხისმგებლობაც იმაზე, თუ როგორი პოლიტიკოსი დადგება მისგან მათი ზეგავლენის შედეგად. ვიმეორებ, პოლიტიკოსი საქმეს იჭერს სატანურ ძალებთან ძალადობის ყოველ აქტს რომ მალულად ადევნებენ თვალს. დიადი ვირტუოზები ადამიანისა და სიკეთის სიყვარულისა, საიდანაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ნაზარეთიდან, ასიზიდან თუ ინდოეთის სამეფო ციხე-კოშკებიდან, არასოდეს იყენებდნენ პოლიტი-

კურ საშუალებას: ძალადობას. მათი სამეფო არ იყო „ამქვეყნიური“; მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც, ისინი თავგამოდებით იღვწოდნენ და იღვწოდნენ სწორედ ამ ქვეყნად; პლატონ კარატაევიცა და დოსტოევსკის წმინდანებიც მათს ხატად და მსგავსად არიან შექმნილნი. ის, ვინაც ეძიებს საკუთარი სულისა და სხვათა სულების ხსნას, როდი ირჩევს პოლიტიკის სარბიელს, რაკი პოლიტიკას სხვა ამოცანა აკისრია; ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ და მხოლოდ ძალადობით შეიძლება. პოლიტიკის გენია, თუ დემონი უკიდურესად მძაფრ შინაგან ურთიერთობაშია სიყვარულსა და ქრისტიანულ ღმერთთანაც კი იმ სახით, როგორსაც მას ეკლესია წარმოგვიდგენს. ისე რომ, ყოველ წამსაა შესაძლო, იგი მოურიგებელ კონფლიქტში გადაიზარდოს. ადამიანებმა, ჯერ კიდევ ეკლესიის ბატონობის ხანაში კარგად უწყოდნენ ეს. ფლორენციას წამდაუწუმ ინტერდიქტს (Interdictum) ადებდნენ; ეს იყო უკიდურესად უხეში ძალა, რომელსაც უპირისპირებდნენ ადამიანებსა და მათი სულების ხსნას; თავისი სიტლანქით ბევრად რომ აღემატებოდა (ფიხტეს სიტყვით თუ ვიტყვით) „მკაცრ სანქციას“ კანტიანური ეთიკური მსჯელობისა. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც, ადამიანები განაგრძობდნენ ეკლესიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. მაკიაველმა, თუ არ ვცდები, „ფლორენციის ისტორიის“ ერთს უმშვენიერესს პასაჟში სწორედ ამასთან დაკავშირებით აღავლენინა თავის ერთ-ერთ გმირს ხოტბა იმ მოქალაქისადმი, ვისთვისაც საკუთარი სულის ხსნაზე უფრო დიადი მშობლიური ქალაქის ხსნაა.

„მშობლიური“ ქალაქი და „სამშობლო“ დღესდღეობით შეიძლება არც ყოს ყველასათვის ერთნაირად ღირებული, მაგრამ თუ თქვენ, მათ ნაცვლად „სოციალიზმის მომავლისა“ ანდა „საყოველთაო მშვიდობის“ შესახებ ლაპარაკობთ, მაშინ თქვენს წინაშე ისევ იგივე საკითხი დამდგარა თავისი აწინდელი სახით; რაკი ყველაფერი ის, რაც მოპოვებულია პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად ე.ი. ძალადობრივ საშუალებათა გამოყენებით და პასუხისმგებლობის ეთიკის საფუძველზეა შესრულებული, მართალია

ემუქრება „სულის ხსნას“, მაგრამ იგი შეიძლება მაშინაც საფრთხეში აღმოჩნდეს, როცა მას მხოლოდ და მხოლოდ მრწამსის ეთიკის თანახმად წარმოებული ომის წიაღში ეძიებენ, რაკიღა ამ ეთიკას არად ანაღვლებს შედეგებზე პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოღვაწისათვის ფარული რჩება ის საკანური ძალები, რომლებიც პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედებენ; და თუ კი იგი მათ ვერ ამჩნევს, მაშინ უმწეოდაა მიგდებული იმ შედეგთა ანაბარად, რასაც ეს ძალები მოუვლენენ ხოლმე, როგორც პოლიტიკოსის საქმიანობას, ისე მის სულიერ საზრდოს. ამბობენ „ეშმაკი ბებერიაო“; მაგრამ ეს თქმულება არ გულისხმობს წლებსა და ასაკს; აქაოდა, „საჭიროა ასაკში შეხვიდე, რათა მას ჩასწვდე“. ვერასოდეს შეევურიგდებოდი, კამათში მხოლოდ იმიტომ დავმარცხებულიყავი, რომ მოპაექრე ჩემზე ადრეა დაბადებული. მაგრამ არც იმის უფლებას მივცემდი თავს, ოდესმე დიდ მონაპოვრად და მოწიწების ღირსად მიმეჩნია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩემი მეტოქე ოციოდე წლისაა, ხოლო მე ორმოცდაათს ვარ გადაცილებული. მთავარი ასაკი როდია; არამედ ის, რომ გაწაფული შემართებით ჭვრეტდე ცხოვრების რეალობებს, შეგწევდეს ღონე, გაუძლო და სულიერად გაუმკლავდე მათ.

და მართლაც, პოლიტიკა თავით კეთდება, მაგრამ რაღათქმა უნდა არამარტო თავით; ამაში სავსებით სწორია ის, ვინაც მრწამსის ეთიკას აღიარებს. არაევის ძალუძს წინასწარ მიგვითითოს, როგორ მოვიქცეთ მრწამსისა თუ პასუხისმგებლობის ეთიკის თანახმად; არც იმის წინასწარ თქმაა შესაძლო, როდის მივდიოთ პირველს, ან როდის — მეორეს. ერთი რამ კი უეჭველია: თუ ჩვენს ეპოქაში, რომელიც თქვენი ფიქრით არ არის ეპოქა „სტერილური აღფრთოვანებისა“ (თუმცა აღთრთოვანება ყოველთვის არ არის ჭეშმარიტი ვნების ბადალი) უეცრად ეგზომ მომრავლებულან მრწამსის პოლიტიკოსები; და თუკი ისინი ღაღადებენ: „მე კი არა, სამყარო არისო სულელი და საძაგელი; შედეგებზე პასუხისმგებლობა მე კი არ მეკისრება, არამედ იმას, ვის სამსახურშიაც ვდგავარ და ვისი სიბრიყვისა და სისაძაგლის ძირ-

ფესვიანად ამოგდება მწადიანო"; მაშინ გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, უწინარესად ის მაინტერესებს, თუ რა შინაგანი ავლა-დიდების პატრონები არიან მრწამსის ეთიკის ეს დამქაშები; ათიდან ცხრა შემთხვევაში ისინი წმინდა წყლის ქარაფშუტები არიან ხოლმე; რეალურად რომ ვერ უგრძვნიათ, თუ რა საქმე უტვირთიათ და რომანტიკული გრძნობით ტკბობას მისცემიან. როგორც ადამიანს ეს მე ლამის არ მაინტერესებს და სრულიადაც არ მაძრწოლებს; მაგრამ არაადამიანურად შემაძრწუნებელია, როცა ზრდასული კაცი, სულ ერთია ასაკოვანი იქნება იგი, თუ ახალგაზრდა; კაცი რომელიც რეალურად, მთელი თავისი სულიერობით გრძნობს შედეგებზე პასუხისმგებლობას და „პასუხისმგებლობის ეთიკის" თანახმად მოქმედებს, თავისი მოღვაწეობის რომელიღაც მომენტში იტყვის: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო". არის ამაში რაღაც ადამიანურად ჰეშმარიტი და ამაღელვებელი; რადგან, თუკი შინაგანად დამახინჯებული არ ვართ, ასეთი რამ ერთხელაც იქნება ჩვენს ცხოვრებაშიც დადგება. ისე რომ, პასუხისმგებლობისა და მრწამსის ეთიკა არ არიან ერთმანეთისადმი აბსოლუტურად დაპირისპირებულნი, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ერთობლივად ქმნიან ნამდვილ ადამიანს ე.ი. ისეთ ადამიანს ვისაც შეიძლება, პოლიტიკისადმი მიწოდება ჰქონდეს

პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ, მოდით და კვლავ მივუბრუნდეთ ამ საკითხს ათი წლის შემდგომ. ეშიშობ და მრავალი საბაბიც მაქვს ამ შიკისა, რომ კვლ ვაც დიდხანს იბოგინებს თავსდატეხილი რეაქცია; ასრულება არ უწერია იმას, რაც თქვენ გინატრიათ და რაც, უნდა ვაღიარო ჩემი ოცნებისა და სასოების საგანიც ყოფილა; არ ვამბობ, არც ერთ ნატვრას აცხადება არ ეღირსება მეთქი, არამედ ყველაფრიდან ჩანს, ძალზე ცოტა რამ ახდება. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ეს იმედგაცრუება ვერ გამტეხს, მაგრამ არც ისაა გასაკვირი მისი წინათგრძნობა სულზე ტვირთად მაწვეს; და სწორედ მაშინ, ათი წლის მერე სიამოვნებით ვნახავდი, რა „იქმნა" თქვენგან ამ სიტყვის ყველაზე ჰეშმარიტი მნიშვნელობით; თქვენგან ვისაც თავი ნამ-

დვილ „მრწამსის პოლიტიკოსად“ მიგიჩნევიათ და ხარბად დასწაფებიხართ იმ მათრობელა სასმელს, რომელსაც რევოლუცია ჰქვია. რაღა აჯობებს, თუკი საქმე ისე იქნება, რომ მას შექსპირის 102-ე სონეტი მიესადაგოს:

> როდესაც ტრფობის გაზაფხული გვედგა ახალი,
> ჩემი ლექსები იყო მისი დიდებით სავსე;
> ბულბულმაც სწორედ მაშინ იცის სტვენა მაღალი
> და გვიან ისიც საგალობელს ივიწყებს ასე.*

მაგრამ ასე სულაც არ არის. არც ერთი დაჯგუფების გამარჯვება გაზაფხულის ყვავილობას არ გვიქადის, არამედ — პოლარულ ღამეს თავისი წყვდიადითა და გამყინავი სუსხით. რადგან იქ, სადაც არაფერი არსებობს, არა მარტო კაიზერი, არამედ პროლეტარიც უფლება აყრილია. და როს იმ კუნაპეტ ღამეს ოდნავ მაინც დასძლევს რიჟრაჟი, იქნება კი მაშინ ცოცხალი რომელიმე თქვენთაგანი, ვისაც დღეს ვითომდა უეჭველობი ყვავილობის ჟამი დადგომია? რა მოელით მაშინ თქვენს სულებს? გააკეთა დაგეუფლებათ, მორჩილად შეეთვისებით სამყაროსა და ხელობას, თუ მესამე, არც თუ იშვიათ გზას აირჩევთ; მისტიკურად განუდგებით სამყაროს და იმათთან ჰპოვებთ თავშესაფარს, ვისაც საამისო ნიჭი აქვს თუ იმათ მიეკედლებით, ვისაც ეგზომი ტვინის ჭყლეტად დასჯდომია მისტიციზმის აგრერიგად გავრცელებული და საძაგელი მოდის დამკვიდრება? ნებისმიერ შემთხვევაში მე დავასკვნიდი, რომ თავი ვერ გაართვით საკუთარ საქმეს, ვერ გამკლავებიხართ სამყაროს, როგორც ის არის, მის ყოველდღიურობას; გეგონათ კია, მაგრამ თურმე არა გქონიათ პოლიტიკისადმი მოწოდება, ამ სიტყვის ობიექტური, ფაქტიური და უშინაგანესი მნიშვნელობით. უმჯობესი იქნებოდა, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ადა-

---

*თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა

მიანებს ცხოვრებაში ძმად მოკიდებოდათ, ხოლო ნამდვილი საქ-მიანი თავდადება მხოლოდ სადღენიადაგო საქმეში გამოგეჩინათ.

ეწეოდე პოლიტიკას იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალ-ღონის მოკრებით ნელი-ნელ ბურღავდე მაგარ ქანებს, ამ საქმეში აქ-სოვდე ენებას და გონების თვალსაც. საკვლევით სწორი შეხედუ-ლებაა; და მთელი ისტორიული გაპოცდილებაც ადასტურებს იმას, რომ ადამიანი ვერასოდეს ეწეოდა შესაძლებელს, თუკი გუ-ლი გამუდმებით შეუძლებლის სამყაროსკენ არ გაუწევდა. მაგრამ ეს რომ შეიძლო, არა მარტო ბელადი, არამედ გმირიც უნდა იყო ამ სიტყვის ყველაზე უბრალო გაგებით. ხოლო მან, ვინაც არც ბელადია და არც გმირი დაე, დღესვე მოიცეს გულის სიმხნევე, რათა დაითმინოს ყველა იმედების ულმობელი მსხვრევა. და მო-წოდებით პოლიტიკოსი ის არის, ვისაც სჯერა, არასოდეს შე-დრკება, თუნდაც სამყარო მის თვალში სულელი და საძაგელი ჩანდეს; თუნდაც არ იყოს ღირსი იმისა, რისი მიძღვნაც მას უნ-დოდა ამ სამყაროსთვის; ვისაც ძალი შესწევს, ყველაფრისდა მი-უხედავად თქვას: „და მაინც“.